ნიჭიერი ბავშვების განათლების ხელშეწყობა



გზამკვლევი სკოლებისა
და
მშობლებისთვის

გზამკვლევის შესახებ

წინამდებარე გზამკვლევის მიზანია სკოლის წარმომადგენლებსა და მშობლებს გააცნოს ნიჭიერი მოსწავლეების თვისებები, მათ განათლებასთან დაკავშირებული საჭიროებები და მხარდაჭერის გზები.

გზამკვლევი არ კარნახობს მკითხველს თუ რა უნდა ასწავლონ ნიჭიერ მოსწავლეებს, არამედ, აცნობს ნიჭიერი მოსწავლეების სპეციფიკურ მახასიათებლებს, სწავლასთან დაკავშირებულ საჭიროებებს და სასწავლო პროცესის ორგანიზების და მხარდაჭერის გზებს, რათა კლასში სწავლის გამოცდილება შეესაბამებოდეს ნიჭიერი მოსწავლის საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს.

გზამკვლევი ორი ძირითადი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში განმარტებულია ტერმინი „ნიჭიერი მოსწავლე“ და აღწერილია ნიჭიერი ბავშვების განვითარებასა და სწავლასთან დაკავშირებულ თავისებურებები, ასევე, ნიჭიერი მოსწავლეების განათლების მხარდამჭერი ზოგადი პრინციპები. გზამკვლევის მეორე ნაწილში, განხილულია ნიჭიერი მოსწავლეების განათლების ხელშემწყობი სხვადასხვა მიდგომა ის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა, რომელიც ნიჭიერი მოსწავლეების საგანმანათლებლო და ცხოვრებისეულ წარმატებას უწყობს ხელს.

ვიმედოვნებთ, რომ გზამკვლევი დაეხმარება სკოლებსა და მშობლებს უკეთ დაინახონ და გააცნობიერონ ნიჭიერი მოსწავლეების თვისებები, ძლიერი მხარეები და საგანმანათლებლო საჭიროებები, ასევე, მათი მხარდაჭერის გზები. გზამკვლევი შექმნილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამის „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა“ ფარგლებში.

გზამკვლევის ავტორები:

ანა ლაღიძე
მაია წულაძე

გზამკვლევის კოორდინატორი:
თათია პაჭკორია

2022 წელი

საქართველოს განათლებისა
და მეცნიერების სამინისტრო

შინაარსი

შესავალი - საკლასო მრავალფეროვნება და ინკლუზიური განათლება 3

პირველი ნაწილი - ნიჭიერი ბავშვების განვითარებასა და სწავლასთან დაკავშირებული თავისებურებები და მათი განათლების მხარდამჭერი ზოგადი პრინციპები 6

ვის მოვიაზრებთ ნიჭიერ/განსაკუთრებული ნიჭის მქონე ბავშვებად? 7

ტერმინის - „ნიჭიერი“ - განმარტება 7

ერთი თუ რამდენიმე ნიჭი? 12

ნიჭიერი ბავშვების განვითარების თავისებურებები 17

ნიჭიერი ბავშვების ასინქრონული განვითარება 17

ნიჭიერი ბავშვების მახასიათებლები 21

ნიჭიერი ბავშვების სწავლასთან დაკავშირებული საკითხები 25

ნიჭიერი მოსწავლეები დაბალი აკადემიური მიღწევებით 26

ნიჭიერი ბავშვების სასწავლო მახასიათებლები 28

ნიჭიერი მოსწავლეების იდენტიფიკაცია 32

ნიჭიერი მოსწავლეების მხარდაჭერის ზოგადი პრინციპები 34

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ნიჭიერი მოსწავლეები 37

მეორე ნაწილი - ნიჭიერი ბავშვების განათლების მხარდამჭერი მიდგომები და სტრატეგიები 48

ნიჭიერი ბავშვების საგანმანათლებლო მხარდაჭერა 49

ინტერვენციაზე რეაგირების მოდელი 50

1.* საგანმანათლებლო გარემოს/განთავსების ადაპტაცია *(სად ვასწავლოთ ნიჭიერ ბავშვებს?) 54

2. სასწავლო გეგმის ადაპტირება *(რა ვასწავლოთ ნიჭიერ ბავშვებს)* 59

3.* სასწავლო სტრატეგიების ადაპტირება *(როგორ ვასწავლოთ) 62

4. დამხმარე ტექნოლოგიების როლი ნიჭიერი მოსწავლეების განათლებაში 65

5. კულტურულ განსხვავებულობაზე ადაპტირება 66

6. სასწავლო გარემოს ემოციური კლიმატი და ემოციური კეთილდღეობა 67

პრაქტიკული რეკომენდაციები და ინტერვენციები ნიჭიერი მოსწავლეების მასწავლებლებისთვის 69

გამოყენებული წყაროები: 74

შესავალი - საკლასო მრავალფეროვნება და ინკლუზიური განათლება

თანამედროვე განათლების სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს, საკლასო მრავალფეროვნება წარმოადგენს და სწორედ ამ მრავალფეროვნებას სათანადოდ უნდა უპასუხოს თანამედროვე სკოლამ და მასწავლებელმა.

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელიც სავალდებულო მოთხოვნად აყენებს (1) სწავლა-სწავლების პროცესის ორიენტირებას მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე; (2) სასწავლო პროცესის დაფუძნებას კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე და (3) ზრუნვასა და მხარდაჭერაზე ორიენტირებული სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას - ზედმიწევნით ზუსტად პასუხობს საკლასო მრავალფეროვნების საჭიროებებს, აღიარებს რა თითოეული მოსწავლის უნიკალურობას და მის საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე მორგებული სწავლა-სწავლების აუცილებლობას.

ინკლუზიური განათლების მიდგომის ფარგლებში იქმნება სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები დაკმაყოფილებულია და ყველა მოსწავლეს თანაბრად ეძლევა წარმატების მიღწევის, საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად რეალიზების და განვითარების შესაძლებლობა (გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია, UNESCO).

ინკლუზიური განათლების ცნების საფუძველს ქმნის სწორედ იმის აღიარება, რომ მოსწავლეებს აქვთ მრავალფეროვანი შესაძლებლობები, საჭიროებები და ინტერესები და სხვადასხვა ეთნიკური, სოციალური, კულტურული და სხვ. კონტექსტიდან მოდიან. შესაბამისად, ინკლუზიური განათლება შეიძლება განისაზღვროს, როგორც საგანმანათლებლო მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა მრავალფეროვნებას და შეესაბამება ყველა მოსწავლეს. ინკლუზიური განათლება, რომელიც ყველა მოსწავლისთვის თანაბრად ხელშემწყობი სასწავლო გარემოს ორგანიზებას გულისხმობს, თანამედროვე განათლების სისტემის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს და ამავდროულად, გამოწვევას წარმოადგენს.



მაგალითისთვის განვიხილოთ ერთი კლასი, რომელშიც ოთხ მოსწავლეს ფორმალურად დადასტურებული სხვადასხვა ტიპის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება აქვს, სამ მოსწავლეს განსაკუთრებული ნიჭი აღმოაჩნდა განსხვავებული მიმართულებით (ორს მათემატიკაში, ხოლო ერთს - საბუნებისმეტყველო საგნებში), ორი მოსწავლე ცოტა ხნის წინ ჩამოვიდა ქვეყანაში და ამჟამად ეუფლება ქართულ ენას, ერთი მოსწავლე ახლახან გადმოვიდა სხვა სკოლიდან და ახალ კლასთან შეგუების ეტაპს გადის, ხოლო ერთმა მოსწავლემ, ცოტა ხნის წინ საყვარელი ადამიანი დაკარგა და საკმაოდ მძიმე ემოციურ მდგომარეობაში იმყოფება. კლასის დანარჩენ თოთხმეტ მოსწავლეს, იდენტიფიცირებული სპეციფიკური საჭიროება არ აქვს, თუმცა, მოსალოდნელია, რომ მათაც სწავლასთან და თანატოლებთან ურთიერთობის უნიკალური საჭიროება ჰქონდეთ.

მოსწავლეთა მსგავსი მრავალფეროვნება გვხვდება ან შეგვხვდება ყველა სკოლაში და ყველა კლასში, თუმცა, ყველა მოსწავლეს ერთნაირი დონის განსაკუთრებული მხარდაჭერა არ დასჭირდება და სწავლის უნივერსალური დიზაინის გამოყენებით, [1] მასწავლებელი შეძლებს კლასში მოსწავლეთა უმეტესობისთვის მათზე მორგებული სასწავლო პროცესის შეთავაზებას, ძირითადი სასკოლო სასწავლო გეგმის ფარგლებში. მოსწავლეთა გარკვეულ ჯგუფს დასჭირდება უფრო მეტად ექსპლიციტური სწავლება და დამატებითი ადაპტაციები, ხოლო მოსწავლეთა მცირე ნაწილს, ინდივიდუალიზებული მიდგომები და სასწავლო სტრატეგიები მათ სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებზე საპასუხოდ. მითუმეტეს, რომ ამგვარი მიდგომა, დიფერენცირებული და მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე ორიენტირებული სწავლება, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, არა მხოლოდ შესაძლებელი, არამედ აუცილებელია გრძელვადიანი მიზნების, საგნობრივი სამიზნე ცნებებისა და ყოველი საფეხურის შედეგების მიღწევისთვის.

მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი, რომელიც კომპლექსური დავალებებისა, თუ სხვადასხვა პროექტების განხორციელების გზით, შესაძლებლობას აძლევს თითოეულ მოსწავლეს საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისად, დაეუფლოს ცნებებს, ქვეცნებებს, მკვიდრ წარმოდგენებს და გამოიყენოს მიღებული ცოდნა ყოველდღიურ ცხოვრებაში - იდეალური გარემოა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის.

[1] სწავლის უნივერსალური დიზაინის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად მიჰყევით ბმულს http://inclusion.ge/res/docs/2021090400193979992.pdf

საერთაშორისო ლიტერატურის თანახმად, ტერმინი „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე“, როგორც წესი, ასოცირდება იმ ბავშვებთან, რომელთაც განვითარებასთან დაკავშირებული სირთულეები აქვთ და ტიპური განვითარების მქონე თანატოლებისგან გამოირჩევიან:

(ა) მენტალური მახასიათებლებით

(ბ) სენსორული უნარებით

(გ) კომუნიკაციის უნარებით

(დ) ქცევითა და ემოციური განვითარებით და ან

(ე) ფიზიკური განვითარებით და მახასიათებლებით

(ვ) განსაკუთრებული ნიჭით

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებში განსხვავებულობა იმ სახით არის გამოხატული, რომ ბავშვი საჭიროებს სასკოლო პრაქტიკის მორგებას და /ან სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას საკუთარი უნიკალური უნარების გასავითარებლად. მოსწავლეთა იმ ჯგუფში, რომლებიც სასკოლო პრაქტიკის მორგებას საჭიროებენ, შედიან განსაკუთრებული ნიჭის მქონე/ნიჭიერი მოსწავლეებიც. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სხვა მოსწავლეების მსგავსად, ნიჭიერი მოსწავლეებიც საჭიროებენ მათ უნიკალურ უნარებზე, ნიჭსა და სწავლასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე ინდივიდუალურად მორგებულ საგანმანათლებლო პროცესსა და პირობებს; გარემოს, სადაც მათი ნიჭი იქნება დაფასებული და წახალისებული, ხოლო სირთულეები და გამოწვევები სათანადოდ შეფასებული და გათვალისწინებული.

როდესაც მოსწავლეთა მრავალფეროვნებაზე ვსაუბრობთ, უნდა გვახსოვდეს არამარტო *ინტერინდივიდუალური* განსხვავებულობა, რომლითაც განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვები გამოირჩევიან მათი ტიპური განვითარების თანატოლებისგან, არამედ, ასევე *ინტრაინდივიდუალური*, რომელიც ცალკეულ მოსწავლეში გვხვდება და მის უნარებს შორის გარკვეულ განსვლას გულისხმობს (მაგ.: წერისთვის საჭირო მოტორულ უნარებსა და კოგნიტურ უნარებს შორის განსვლა). *ინტრაინდივიდუალური* განსხვავებულობა განსაკუთრებულად ხშირად გვხვდება ნიჭიერ მოსწავლეებში - მაგალითად, 9 წლის ნინა, რომლის ინტელექტუალური განვითარება 12 წლის ბავშვისას შეესაბამება, ხოლო ქცევა და ემოციური განვითარება 7 წლის ბავშვისას. ასეთ შემთხვევაში, მასწავლებელმა ნინას როგორც ინტერ, ასევე ინტრაინდივიდუალური განსხვავებულობა უნდა გაითვალისწინოს, რაც ერთგვარ გამოწვევას, მაგრამ იმავდროულად, სწავლა-სწავლების პრაქტიკის განვითარების საწინდარს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, ინკლუზიური განათლება განიხილება როგორც მუდმივი განვითარების პროცესი, რომლის მიზანია ხარისხიანი განათლების შეთავაზება ყველასთვის, მრავალფეროვნების, განსხვავებული საჭიროებებისა და შესაძლებლობების პატივისცემით (UNESCO, 2008).

პირველი ნაწილი

ნიჭიერი ბავშვების განვითარებასა და სწავლასთან დაკავშირებული თავისებურებები და განათლების მხარდამჭერი ზოგადი პრინციპები

ვის მოვიაზრებთ ნიჭიერ/განსაკუთრებული ნიჭის მქონე ბავშვებად?

ალბათ, ყველას გვსმენია ადამიანებზე, ან შევხვედრივართ ადამინებს, რომლებსაც განსაკუთრებული უნარები აქვთ და მათ ცოდნასა და შესაძლებლობებს მნიშვნელოვანი შთაბეჭდილება მოუხდენია ჩვენზე. გვსმენია ადამინებზე, რომლებსაც არაერთი მნიშვნელოვანი მეცნიერული აღმოჩენა გაუკეთებიათ ან შეუქმნიათ ხელოვნების უნიკალური ნიმუშები.

ხშირად ისმის კითხვა, თუ საიდან მოდის მათი ეს განსაკუთრებული ნიჭი, არის ეს თანდაყოლილი უნარი თუ მშობლებისა და მასწავლებლების დიდი ძალისხმევის შედეგი? ეს ადამიანები ერთეულ გამონაკლისს წარმოადგენენ, თუ სხვაც ბევრია ჩვენს ირგვლივ მსგავსი განსაკუთრებული ნიჭით? იქნებ ჩვენს სკოლაშიც ან თუნდაც კლასში ყოფილა ესეთი ნიჭის მქონე მოსწავლეები, თუმცა, მათი ნიჭი არ ყოფილა შემჩნეული და ხელშეწყობილი?

უდავოა, რა განსაკუთრებული ნიჭითაც არ უნდა იყოს ბავშვი ბუნებრივად დაჯილდოვებული, ყველა ბავშვს სჭირდება განსაკუთრებული პირობების შექმნა ამ ნიჭის განვითარებისა და რეალიზებისთვის. ათწლეულების გამოცდილებამ აჩვენა, რომ განსაკუთრებული ნიჭის მქონე მოსწავლეებს შეუძლიათ ძალიან დიდი გავლენის მოხდენა ჩვენი საზოგადოების და ზოგადად, კაცობრიობის მომავალზე.

ტერმინის - „ნიჭიერი“ - განმარტება

დღესდღეობით, არ არსებობს „ნიჭიერი ბავშვის“ ერთიანი, შეთანხმებული განმარტება. შესაბამისად, შესაძლოა სხვადასხვა ქვეყანის განათლების სისტემაში ნიჭიერ ბავშვებში განსხვავებული უნარების და შესაძლებლობის მქონე ბავშვებს მოიაზრებდნენ. თუმცა, ყველა თანხმდება იმაზე, რომ ნიჭიერი ბავშვი თავისი მოწინავე განვითარებით განსხვავდება თანატოლებისგან და განათლების სისტემა მზად უნდა იყოს ნიჭიერი და არაორდინალური უნარების მქონე ბავშვების აღმოსაჩენად და სათანადო მხარდაჭერის გასაწევად.

აშშ-ის ნიჭიერი მოსწავლეების ფედერალური განმარტება თავდაპირველად გაჩნდა 1972 წელს „მარლანდის ანგარიშში“ კონგრესისთვის და მას შემდეგ, რამდენჯერმე შეიცვალა. ამჟამინდელი განმარტება, რომელიც მოცემულია დაწყებითი და საშუალო განათლების აქტში, შემდეგია:

მოსწავლეები, ბავშვები ან ახალგაზრდები, რომლებსაც აქვთ მაღალი მიღწევები ინტელექტუალურ, შემოქმედებით, ხელოვნების ან ლიდერობის უნარებში, ან სპეციფიკურ აკადემიურ სფეროებში და საკუთარი შესაძლებლობების/უნარების სრულად განვითარებისთვის სჭირდებათ სერვისები და აქტივობები, რომლებიც, ჩვეულებრივ, არ არის გათვალისწინებული სკოლის მიერ.

განსაკუთრებული ნიჭის მქონე მოსწავლეებს ესაჭიროებათ საგანმანათლებლო პირობების მორგება, რათა ისწავლონ და მაქსიმალურად მოახდინონ საკუთარი პოტენციალის რეალიზება.

წყარო: P. Ross (Ed.) (1993). National Excellence, D.C.: U.S. Department of Education.

აშშ-ის ფედერალური განმარტების თანახმად[2], ნიჭიერი/განსაკუთრებული ნიჭის მქონე მოსწავლეები ავლენენ უფრო მაღალი დონის შესრულებას, ან შესრულების პოტენციალს ერთ ან რამდენიმე სფეროში, ვიდრე იმავე ასაკის, გამოცდილების და გარემოს/კონტექსტის მქონე თანატოლები.

ამრიგად, ნიჭიერი მოსწავლეები არიან სასკოლო ასაკის ის ბავშვები, რომელთა შესაძლებლობები, ნიჭი და მიღწევის პოტენციალი იმდენად განსაკუთრებული და განვითარებულია, რომ აუცილებელი ხდება მათთვის სასწავლო გეგმების, პროცესისა და გარემოს ადაპტირება მათი განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების შესაბამისად.

ნიჭიერი მოსწავლეები:

- გვხვდება ყველა რასობრივ, ეთნიკურ და კულტურულ პოპულაციაში, ისევე, როგორც ყველა ეკონომიკურ ფენაში;
- საჭიროებენ სათანადო წვდომას სწავლის შესაძლებლობებზე, რათა მოახდინონ თავიანთი პოტენციალის რეალიზება;
- შეიძლება ჰქონდეთ სწავლისა და ინფორმაციის დამუშავების დარღვევები, რომლებიც საჭიროებენ სპეციალიზებულ ჩარევას და აკომოდაციებს;
- საჭიროებენ მხარდაჭერას და ხელშეწყობას/გაძღოლას სოციალური და ემოციური განვითარებისთვის, ისევე, როგორც საკუთარი ნიჭის სფეროებში;

[2] *შტატებსა და ოლქებს არ მოეთხოვებათ ფედერალური განმარტების გამოყენება, თუმცა, ბევრი შტატის განმარტება ემყარება ფედერალურ განმარტებას.*

ბავშვი, რომელიც თამაშობს ჭადრაკს თავისთავად არ წარმოადგენს ფენომენს, მაგრამ ბავშვი, რომელიც სერიოზულად თამაშობს ჭადრაკს 5 წლის ასაკში, უკვე ფენომენალურია. ბევრი ბავშვი წერს ლექსს, მაგრამ არა 6 წლის ასაკში, მაშინ, როდესაც ამ ასაკის ბავშვების უმეტესობა ჯერ კიდევ კითხვის სწავლას იწყებს. ადრეული სწრაფი განვითარება წარმოადგენს ერთ-ერთ ნათელ ინდიკატორს მაღალი ინტელექტუალური უნარებისა. სწორედ ამიტომ, ათწლეულების მანძილზე ნიჭიერება პირდაპირ იყო დაკავშირებული ინტელექტის ტესტის ქულებთან. ბავშვები, რომელთა ინტელექტის კოეფიციენტი იყო 130-140 ქულაზე მეტი, განიხილებოდნენ, როგორც განსაკუთრებული ნიჭის მქონენი. თუმცა, კვლევების შედეგად დაგროვილი ცოდნის თანახმად, ინტელექტის კოეფიციენტის ქულა იცვლება თაობების მიხედვით და შესაძლოა ერთი რომელიმე ქვეყნის პოპულაციას უკეთესი ქულები ჰქონდეს, ვიდრე მათ წინარე თაობებს. გარდა ამისა, ინტელექტის კოეფიციენტის ქულა არ არის ფიქსირებული ერთი ადამიანის თუ მთლიანი საზოგადოების/მოსახლეობისთვის და მისი გაუმჯობესება შეიძლება განათლებისა და გამოცდილების საფუძველზე.

შედეგად, უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე, გაჩნდა ნიჭიერი ბავშვების განსაზღვრების გაფართოვების ტენდენცია, რომელმაც თავის თავში მოიაზრა იმაზე მეტი, ვიდრე უნარები, რომელთა სწავლაც შესაძლებელია სკოლაში ან ზოგადად, განათლების მიღების შედეგად. თავად აშშ-ის ფედერალურ განმარტებაში ტერმინი *„ავლენს შესრულების პოტენციალს“* უკვე მიანიშნებს იმაზე, რომ ბავშვს აქვს რაიმე სპეციფიკური ნიჭი, თუმცა, შესაძლოა არ ავლენდეს მაღალ, სანიმუშო შესრულებას, თუმცა ავლენდეს შესრულების პოტენციალს. გარდა ამისა, ფედერალურ განმარტებაში შემოდის გარემოს, კონტექსტის მნიშვნელოვანი როლი ნიჭის განვითარებაში. ამასთანავე, აღნიშნული განმარტება ყურადღებას ამახვილებს სერვისების საჭიროებაზე, რომლებიც, როგორც წესი, იმთავითვე არ არის განსაზღვრული სკოლაში. ამრიგად, სკოლის სისტემამ უნდა მოახდინოს არსებული სერვისების და პროგრამების მოდიფიცირება, რათა მაქსიმალურად გაითვალისწინოს განსაკუთრებული ნიჭის მქონე ბავშვების განვითარების განსხვავებული დონეები.

ნევროლოგია და ტვინის განვითარება - რა ვიცით ნიჭიერი ბავშვების შესახებ

ტვინის ფუნქციონირებაზე არსებული კვლევების უმეტესობა ეძღვნება იმას, თუ რა ხდება მაშინ, როდესაც ტვინი სათანადოდ არ ფუნქციონირებს (Newman, 2008). თუმცა, მეორე მნიშვნელოვანი საკითხია, თუ რა ხდება, როდესაც ტვინი ფუნქციონირებს ეფექტურად, როგორც ეს განსაკუთრებული ნიჭის მქონე ბავშვების შემთხვევაშია.

ნევროლოგიაში არსებული ადრეული მოსაზრების თანახმად, შუბლის წილი კავშირშია ინტელექტუალურ უნარებთან და აღმასრულებელ ფუნქციებთან. ისეთ ფუნქციებთან, როგორიცაა ინფორმაციის დამუშავების კონტროლი, სტრატეგიის ჩამოყალიბება და მონიტორინგი.

თუმცა, შედარებით ახალი მტკიცებულებები მაგნიტურ რეზონანსული გამოსახულების (MRI) კვლევებიდან გვთავაზობს ნიჭის ნევროლოგიური საფუძვლის განსხვავებულ ახსნას, რომლის თანახმადაც, ნიჭის ნევროლოგიური მიზეზი გადანაწილებულია მთელს ტვინში და ტვინის კავშირები (ბოჭკოები, რომლებიც ტვინის ერთ ნაწილს მეორესთან აკავშირებს) განსაზღვრავს მისი მუშაობის ეფექტურობას (Just & Varma, 2007). ტვინის სპეციფიკური ფუნქციების მქონე უბნების ერთმანეთთან სინერგიაში მუშაობის უნარს შეაქვს ძირითადი წვლილი განსაკუთრებული ნიჭის არსებობაში.

ამასთანავე, კვლევა, რომელიც გამოქვეყნდა 2006 წლის მარტში აშშ-ს ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტის მიერ, ამტკიცებდა, რომ 370 ბავშვის MRI სკანირების შესწავლის შემდეგ, უფრო მაღალი ინტელექტის მქონე ადამიანებს ჰქონდათ ტვინის განსხვავებული განვითარება, ვიდრე მათ თანატოლებს.

ამ ტიპის კვლევები უკანასკნელ წლებში საკმაოდ აქტუალურია და მომავალში უფრო მეტი საინტერესო აღმოჩენაა შესაძლებელი.

მიუხედავად იმისა, რომ სფეროს სპეციალისტები მემკვიდრეობითობასა და ნიჭის ძლიერ კავშირზე საუბრობენ, ბავშვის გარემო თუ კონტექსტი, თავის მხრივ, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია. ექსტრაორდინარული ნიჭი შეიძლება განპირობებული იყოს მემკვიდრეობით, მაგრამ ის „აღზრდილი“ და გამოწვრთნილი სწორედ გარემოს მიერ არის. ინტელექტუალური „წარმოება“ მოითხოვს მეტს, ვიდრე ნიჭია. მას სჭირდება მუდმივი, ინტენსიური შრომა/ძალისხმევა და სურვილი. ამრიგად, თანდაყოლილი ნიჭის განვითარებასა და ფორმირებაში განსაკუთრებული როლი სწორედ გარემოს - ოჯახსა და სკოლას მიუძღვის.

! არ აქვს მნიშვნელობა რამდენად ძლიერი თანდაყოლილი ნიჭით არის ბავშვი დაჯილდოვებული, ის ვერ აღმოაჩენს ალგებრას თავისით და ვერც ვიოლინოზე დაკვრას ისწავლის შესაბამისი პირობების შექმნის გარეშე. ბავშვის აღნიშნული უნარები წარმოადგენს ნედლ მასალას, რომელიც არსებული ნიჭის განვითარებისთვის საჭიროებს შესაბამის გარემო პირობებს.

ზოგ შემთხვევაში, განსაკუთრებული ნიჭის არსებობა ბავშვებში საკმაოდ ადრეულ ასაკში, ჯერ კიდევ სკოლაში შესვლამდე ვლინდება, ხოლო ზოგჯერ, მოგვიანებით, უკვე სკოლაში ან თუნდაც სკოლის დასრულების შემდეგ. ქვემოთ, ორი ნიჭიერი ბავშვის შემთხვევაა წარმოდგენილი.

შემთხვევა N1	**შემთხვევა N2**
დემეტრემ 2 წლის ასაკში თავისით ისწავლა კითხვა ერთ-ერთი ტელეგადაცემის ყურებისას. 3 წლისთვის ის უკვე კითხულობდა, ბეჭდავდა და ასრულებდა მათემატიკურ ფაზლებს, რომლებიც 8 წლის ბავშვებისთვის იყო განკუთვნილი. 5 წლის ასაკში ის უკვე ირიცხებოდა პირველ კლასში. მეორე კლასში სწავლისას, დემეტრე ძირითადად მე-5 კლასისთვის განკუთვნილი მათემატიკის სახელმძღვანელოს დავალებებს ასრულებდა. 3 წელიწადში მან დაძლია დაწყებითი და საბაზო საფეხურის მათემატიკის სასწავლო პროგრამა და მე-11 კლასის მათემატიკას ასრულებდა. 15 წლის ასაკში დემეტრე უკვე სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობდა თავისი ინტერესის სფეროში. დემეტრეს ოჯახის წევრები და მასწავლებლები მუდმივად ზრუნავდნენ, რომ მას სოციალური ურთიერთობები ჰქონოდა თავის თანატოლებთან მიუხედავად მისი ატიპური განვითარებისა. ის ყოველთვის უყვარდათ თანატოლებს და მასწავლებლებს და შემდგომაც, ის ყოველთვის მისაღები იყო თანაკურსელებისა და კოლეგებისთვის. დემეტრე ამჟამად დაოჯახებულია, ჰყავს შვილები და არის მათემატიკის პროფესორი ერთ-ერთ უნივერსიტეტში.	**ქეთევანმა** ყურადღება მიიქცია, როდესაც 11 წლის ასაკში მათემატიკის ტესტში მიიღო სანიმუშო ქულა და შემდეგ, ერთ-ერთ ეროვნულ მათემატიკურ შეჯიბრში გაიმარჯვა. მიუხედავად განსაკუთრებული ნიჭისა, ის ყოველთვის იყო ძალიან მეგობრული ბავშვი, რომელიც ავლენდა ინტერესს ბევრი რამის მიმართ - მუსიკა, სპორტი. 12 წლის ასაკში ქეთევანი უძღვებოდა ეროვნულ გუნდს მათემატიკის საერთაშორისო ოლიმპიადაზე და დაეხმარა გუნდს ორი ოქროს და ერთი ვერცხლის მედლის მოპოვებაში. ქეთევანის მშობლებმა უპირატესობა მიანიჭეს მის სოციალურ განვითარებას და თანატოლებთან ურთიერთობას. მიუხედავად ამისა, უკვე საშუალო საფეხურზე სწავლისას ის პარალელურად ესწრებოდა სხვადასხვა საუნივერსიტეტო კურსსაც. ამჟამად ის ერთ-ერთი უნივერსიტეტის პროფესორია.

ორივეს, დემეტრესაც და ქეთევანსაც, ჰყავდათ ძალიან განათლებული მშობლები, რომლებსაც საკუთარი შვილებისთვის უნდოდათ როგორც მაღალი მიღწევები, ასევე, სათანადო სოციალური ურთიერთობები და ბედნიერი სოციალური და ემოციური განვითარება. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ განსაკუთრებულ ნიჭს სჭირდება გაძღოლა სწორი მიმართულებით, საგანმანათლებლო სისტემის მოქნილობა და მორგება კონკრეტული მოსწავლის საჭიროებებზე. თუმცა, ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია სპეციფიკური ნიჭის გარდა, ბავშვის სხვა უნარების, მათ შორის სოციალურ, განვითარებაზე ზრუნვაც.

ერთი თუ რამდენიმე ნიჭი?

ხშირად ისმის კითხვა, უნდა განიხილებოდეს ნიჭი, როგორც ძირითადი უზენაესი მენტალური უნარი, თუ განსაკუთრებული უნარების სერია, ერთობლიობა. მაგალითად, ფსიქოლოგი ჰოვარდ გარდნერი ნიჭს განიხილავს, როგორც სპეციფიკური უნარების სერიას (Ramos & Gardner, 2003).

მან ჩამოაყალიბა სპეციფიკური უნარების ჩამონათვალი, დაარქვა რა მათ **მრავალმხრივი (მრავლობითი) ინტელექტი** და განაცალკევა აღნიშნული უნარები ერთმანეთისგან, რომელთაც სპეციალური ყურადღება უნდა დაეთმოს განათლებისას: ლინგვისტური, ლოგიკურ-მათემატიკური, მუსიკალური, სივრცითი, კინესთეტიკური, ინტერპერსონალური, ინტრაპერსონალური და ნატურალისტური.

გარდნერის მრავლობითი ინტელექტი

1. **ვიზუალურ-სივრცითი ინტელექტი -** ვიზუალურ-სივრცითი ინტელექტის მქონე ადამიანებს კარგად აქვთ განვითარებული საგნების ვიზუალიზაციის, მიმართულებების, რუკების, სქემების, დიაგრამების, გრაფიკების, ვიდეოების და სურათების ინტერპრეტაციის, ფაზლების აწყობის, პატერნების, შაბლონების მარტივად ამოცნობის უნარი. ამრიგად, ძლიერ მხარეს წარმოადგენს ვიზუალური და სივრცითი ანალიზი. ვიზუალურ-სივრცითი

ინტელექტის მქონე ადამიანები კითხულობენ და წერენ სიამოვნებისთვის, კარგად აწყობენ თავსატეხებს, სიამოვნებას იღებენ ხატვით და სხვა ვიზუალური ხელოვნებით. პოტენციური კარიერული არჩევანი: არქიტექტორი, მხატვარი, ინჟინერი.

2. **ენობრივ-ვერბალური ინტელექტი** - ენობრივ-ვერბალური ინტელექტის მქონე ადამიანებს შეუძლიათ კარგად გამოიყენონ სიტყვები, როგორც წერისას, ასევე საუბრისას. ეს ადამიანები, როგორც წესი, ძალიან კარგად წერენ მოთხრობებს, კარგად იმახსოვრებენ წერილობით და ზეპირ ინფორმაციას, სიამოვნებას იღებენ კითხვით და წერით, დებატებით ან აუდიტორიის წინაშე სიტყვით გამოსვლით. შეუძლიათ საგნების კარგად ახსნა, ისტორიების თხრობისას იუმორის გამოყენება. პოტენციური კარიერირული არჩევანი: მწერალი/ჟურნალისტი, ადვოკატი, მასწავლებელი.

3. **ლოგიკურ-მათემატიკური ინტელექტი** - ლოგიკურ-მათემატიკური ინტელექტის მქონე ადამიანებს კარგად შეუძლიათ მსჯელობა, შაბლონების ამოცნობა და პრობლემების ლოგიკურად გაანალიზება. ეს ინდივიდები მიდრეკილნი არიან კონცეპტუალურად იფიქრონ რიცხვებზე, ურთიერთობებსა და შაბლონებზე. ძლიერი მხარეებია ამოცანებისა და მათემატიკური მოქმედებების გაანალიზება. მათ აქვთ პრობლემების გადაჭრის შესანიშნავი უნარები, სიამოვნებთ აბსტრაქტულ იდეებზე ფიქრი, ისევე როგორც სამეცნიერო ექსპერიმენტების ჩატარება, შეუძლიათ რთული გამოთვლების ამოხსნა. პოტენციური კარიერული არჩევანი: მეცნიერი, მათემატიკოსი, კომპიუტერის პროგრამისტი, ინჟინერი, ბუღალტერი.

4. **სხეულებრივ-კინესთეტიკური ინტელექტი** - მაღალი სხეულებრივ-კინესთეტიკური ინტელექტის მქონე ადამიანებს კარგად ეხერხებათ სხეულის მოძრაობა, მოქმედებების შესრულება და ფიზიკური კონტროლი. მათ აქვთ შესანიშნავი ხელისა და თვალის კოორდინაცია და მოხერხებულობა. ძლიერი მხარეებია ფიზიკური მოძრაობა, მოძრაობის კონტროლი. დახელოვნებული არიან ცეკვაში და სპორტში, სიამოვნებთ ნივთების შექმნა საკუთარი ხელებით, აქვთ შესანიშნავი ფიზიკური კოორდინაცია. უკეთესად იმახსოვრებენ კეთებით, ვიდრე მოსმენით ან ყურებით. პოტენციური კარიერის არჩევანი: მოცეკვავე, მშენებელი, მოქანდაკე, მსახიობი.

5. **მუსიკალური ინტელექტი** - ადამიანები, რომლებსაც აქვთ ძლიერი მუსიკალური ინტელექტი, კარგად აზროვნებენ შაბლონებში, რიტმებსა და ბგერებში. ისინი ძლიერ აფასებენ მუსიკას და ხშირად კარგად ერკვევიან მუსიკალურ კომპოზიციასა და შესრულებაში. ძლიერი მხარეებია რიტმი და მუსიკა, სიამოვნებას იღებენ სიმღერით და მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრით, ადვილად ამოიცნობენ მუსიკალურ ნიმუშებს და ტონებს, იმახსოვრებენ სიმღერებს და მელოდიებს, ფლობენ მუსიკალური სტრუქტურის, რიტმისა და ნოტების შესახებ მდიდარ ცოდნას. პოტენციური კარიერული არჩევანი: მუსიკოსი, კომპოზიტორი, მომღერალი, მუსიკის მასწავლებელი, დირიჟორი.

6. **ინტერპერსონალური ინტელექტი** - მათ, ვისაც აქვთ ძლიერი ინტერპერსონალური ინტელექტი, კარგად ესმით და ურთიერთობენ სხვა ადამიანებთან. ამ ადამიანებს აქვთ უნარი შეაფასონ გარშემომყოფების ემოციები, მოტივაციები, სურვილები და განზრახვები. ძლიერი მხარეებია გაგება და სხვა ადამიანებთან ურთიერთობა. კარგად არიან დახელოვნებული არავერბალურ კომუნიკაციაში, ხედავენ სიტუაციებს სხვადასხვა პერსპექტივიდან, ქმნიან პოზიტიური ურთიერთობებს სხვებთან, აგვარებენ კონფლიქტებს ჯგუფში; პოტენციური კარიერული არჩევანი: ფსიქოლოგი, ფილოსოფოსი, მრჩეველი, გამყიდველი, პოლიტიკოსი.

7. **ინტრაპერსონალური ინტელექტი** - ინტრაპერსონალური ინტელექტის მქონე ინდივიდებს კარგად შეუძლიათ საკუთარი ემოციური მდგომარეობის, გრძნობების და მოტივაციის გაცნობიერება. მათ აქვთ მიდრეკილება საკუთარი თავის რეფლექსიის და ანალიზის მიმართ, უყვართ ოცნება, აინტერესებთ ურთიერთობის შესწავლა და პიროვნული ძალების, ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასება/ანალიზი, ინტროსპექცია და თვითრეფლექსია; სიამოვნებთ თეორიებისა და იდეების, საკუთარი მოტივაციისა და გრძნობების ანალიზი. პოტენციური კარიერული არჩევანი: ფილოსოფოსი, მწერალი, თეორეტიკოსი, მეცნიერი.

8. **ნატურალისტური ინტელექტი** - ნატურალისტური ინტელექტი გარდნერის თეორიაში შედარებით მოგვიანებით დაემატა და მას უფრო მეტი წინააღმდეგობა შეხვდა, ვიდრე მის თავდაპირველ შვიდ ინტელექტს. გარდნერის აზრით, ამ ტიპის ინტელექტის მქონე პირები უფრო მეტად არიან შერწყმული ბუნებასთან და ხშირად ინტერესდებიან აღზრდით, გარემოს შესწავლით და სხვა სახეობების შესწავლით. ეს პიროვნებები კარგად აცნობიერებენ თავიანთ გარემოში ცვლილებებს. ძლიერი მხარეებია ბუნებრივი ნიმუშების პოვნა და ბუნებასთან ურთიერთობა. დაინტერესებული არიან ისეთი საგნებით, როგორიცაა ბოტანიკა, ბიოლოგია და ზოოლოგია, ინფორმაციის კატეგორიზაცია და კატალოგირება, სიამოვნებთ ლაშქრობები, მებაღეობა და გარემოს შესწავლა. პოტენციური კარიერული არჩევანი: ბიოლოგი, კონსერვატორი, მებაღე, ფერმერი.

წყარო: Kendra Cherry, Updated on July 28, 2021

ალბათ, ყველა ვიცნობთ ადამიანებს, რომლებიც ძლიერები არიან გარდნერის მიერ შემოთავაზებულ ერთ ან მეტ სფეროში, მაგრამ არ არიან საუკეთესოები ყველა მათგანში. მაგალითად, ასეთია მოსწავლე, რომელიც ძლიერია მათემატიკაში, მაგრამ არა ლინგვისტიკაში ან ინტერპერსონალური ინტელექტის მხრივ. მიუხედავად იმისა, რომ ყველა განსაკუთრებული უნარი ხშირად დადებით კორელაციაშია ერთმანეთთან და მოსწავლე, რომელსაც აქვს ძლიერ განვითარებული უნარი ერთი რომელიმე მიმართულებით, სხვა სფეროებშიც ძლიერია, არიან ბავშვები, რომლებიც ერთი რომელიმე უნარით გამოირჩევიან, მაგრამ სხვა უნარის მხრივ, შესაძლოა სირთულეც კი ჰქონდეთ.

ქვემოთ ორი ბავშვის შემთხვევაა წარმოდგენილი. ერთი, განსაკუთრებულად განვითარებულ უნარებს ავლენს არაერთ სფეროში, ხოლო მეორეს, განსაკუთრებულ უნარებთან ერთად, გარკვეული სირთულეები გააჩნია რამდენიმე სფეროში.

შემთხვევა 1

გიგა მე-2 კლასის მოსწავლეა, რომელიც ეხლახანს 8 წლის გახდა. გიგა ძალიან კარგად და სიამოვნებით ასრულების მისი კლასის დონისთვის შედარებით რთულ დავალებებს და აკადემიურად წინ უსწრებს თავის კლასელებს. გიგა კითხვაშიც საკმაოდ უსწრებს თანატოლებს, კითხულობს გამართულად, ბევრს და დიდი სიამოვნებით. კითხვის კარგად განვითარებული უნარი გიგას ეხმარება

დამოუკიდებლად მოიძიოს მისთვის საინტერესო ინფორმაცია და დაიკმაყოფილოს სპეციფიკური ინტერესი ცხოველთა სამყაროს მიმართ.

გიგა ინიცირებს კომუნიკაციას თანატოლებთან და უფროსებთან, ადვილად შედის კომუნიკაციაში და იწყებს საუბარს მისთვის თუნდაც სრულიად უცნობ ადამიანებთან. საუბრის დროს, გიგა ძირითადად მისთვის საინტერესო თემებს იყენებს. მაგალითად, იწყებს დისკუსიას სხვადასხვა ცხოველის, ფრინველის და მწერის ცხოვრების თავისებურებების შესახებ და შეუძლია აღნიშნულ თემაზე უსასრულოდ საუბარი. უჭირს თემის შეცვლა, კონკრეტული სასაუბრო-საკომუნიკაციო სიტუაციის და სხვათა ინტერესების გათვალისწინება, ასევე, საუბრის დასრულება. ამის გამო, მის თანატოლებს ზოგჯერ ბეზრდებათ გიგას მოსმენა და შესაძლოა თავიც აარიდონ მასთან კომუნიკაციას.

შემთხვევა 2

თორნიკეც 8 წლის ბიჭუნაა. თორნიკეს ძალიან კარგად გამოსდის სხვადასხვა კონსტრუქციის შექმნა, შაბლონების და სქემების ამოცნობა-გამოყენება. თორნიკე ადრეული ბავშვობიდან მისი ასაკისთვის საკმაოდ რთულ კონსტრუქციებს აწყობდა სხვადასხვა მასალისგან. ამ ტიპის აქტივობებზე თორნიკეს შეუძლია საკმაოდ დიდხანს კონცენტრირება თუმცა, უჭირს სათანადო დროით ყურადღების შენარჩუნება სხვადასხვა აკადემიურ დავალებაზე. აქვს სირთულეები კითხვასა და წერაში, უჭირს გარკვეული ცნებების, მიმართებების გაგება-გამოყენება, გრამატიკულად გამართული წინადადებების გამოყენება. ასევე, ნაკლებად ინტერესდება საკლასო მათემატიკური დავალებებით.

სხვადასხვა ანიმაციის ყურების და კომპიუტერული თამაშის საშუალებით, თორნიკემ დამოუკიდებლად ისწავლა ორი უცხო ენა და ზოგჯერ, ქართულზე უფრო გამართულ წინადადებებს იყენებს უცხო ენაში. თორნიკეს არ იზიდავს სპორტული აქტივობები და ყოველთვის ცდილობს მათთვის თავის არიდებას. უყვარს თანატოლებთან ურთიერთობა, ხშირად პოულობს თანატოლებთან საზიარო ინტერესს, როგორიცაა სხვადასხვა კომპიუტერული თამაში და ტელე-გმირი. თორნიკე ავლენს დიდ მგრძნობელობას ისეთი ადამიანური საკითხების მიმართ, როგორიცაა უსამართლობა, ჩაგვრა, ომი. თავის თანატოლებზე მეტად არის გათვითცნობიერებული მსგავს საკითხებში და საკმაოდ ძლიერადაც განიცდის ადამიანურ ყოფასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ნეგატიურ მოვლენას.

ნიჭიერი ბავშვების განვითარების თავისებურებები

ნიჭიერი ბავშვების ასინქრონული განვითარება

ნიჭიერ ბავშვებს ხშირად აქვთ არათანაბრად განვითარებული უნარების სხვადასხვა ვარიაცია. მაგალითად, ნიჭიერი ბავშვი შეიძლება იყოს შესანიშნავი მათემატიკაში, მაგრამ შედარებით სუსტი კითხვაში ან პირიქით. აღნიშნულ ასინქორნულ განვითარებაში ხშირად ინტელექტუალური უნარები საკმაოდ დაწინაურებულია, ხოლო მოტორული და/ან სოციალური უნარები ჩამორჩება.

ნიჭიერი ბავშვების კოგნიტურ, ემოციურ და ფიზიკურ განვითარებას შორის შეუსაბამობის აღსაწერად, ხშირად გამოიყენება ტერმინი ასინქრონია[3]. იმის გამო, რომ ასინქრონულობა საკმაოდ ხშირად არის გამოხატული ნიჭიერ ბავშვებში, სფეროს ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ სწორედ ასინქრონული განვითარება და არა უნარი ან პოტენციალი არის ნიჭიერების განმსაზღვრელი მახასიათებელი[4]

ნიჭიერების განმარტება, რომელიც ამ არათანაბარი განვითარების არსს ასახავს შეიმუშავა Columbus Group-მა 1991 წელს, აღნიშნული განმარტების თანახმად:

„ნიჭიერება არის ასინქრონული განვითარება, რომელშიც მოწინავე კოგნიტური შესაძლებლობები და გაზრდილი ინტენსივობაა გაერთიანებული და ქმნის შინაგან გამოცდილებას და გაცნობიერებულობას, რომლებიც ხარისხობრივად განსხვავდება ნორმისგან. მაღალ ინტელექტთან ერთად იზრდება ეს ასინქრონულობაც. ნიჭიერი ბავშვების უნიკალურობა მათ განსაკუთრებით დაუცველს და მოწყვლადს ხდის და მოითხოვს მოდიფიცირებას აღზრდაში, სწავლასა და კონსულტირებაში, რათა ნიჭიერი ბავშვები ოპტიმალურად განვითარდნენ “.

[3] მორლოკი, 1992 წ. As cited in National Association of the Gifted Children.
[4] Web et al, 2007 As cited in National Association of the Gifted Children.

რაც უფრო ნიჭიერია ბავშვი, მით უფრო ასინქრონული შეიძლება იყოს მისი განვითარება სხვადასხვა სფეროს მიხედვით. ასინქრონულ განვითარების შემთხვევაში, ნიჭიერ ბავშვებში ინტელექტი უფრო სწრაფად და უფრო მეტად ვითარდება, ვიდრე სხვა ატრიბუტები, როგორიცაა სოციალური, ემოციური და ფიზიკური განვითარება. მაგალითად, უჩვეულო არ არის, რომ 7 წლის ნიჭიერი ბავშვი კითხულობდეს მე-6 კლასის დონეზე, ასრულებდეს მათემატიკის დავალებებს მე-4 კლასის დონეზე და მოტორული უნარები მე-2 კლასის დონეზე ჰქონდეს განვითარებული. ზოგჯერ, შეიძლება იგივე ბავშვი სოციალურად თავის თანატოლებზე ბევრად უფრო დაბალ დონეზე ფუნქციონირებდეს.

მაღალი შემეცნებითი შესაძლებლობების და ინტენსივობის გამო, ნიჭიერი ბავშვები აღიქვამენ სამყაროს და ურთიერთობენ მასთან უნიკალური გზებით. შედეგად, ნიჭიერ ბავშვებს ხშირად სჭირდებათ დიდი მხარდაჭერა და გაგება როგორც სახლში, ასევე სკოლაში. შესაძლოა, ბავშვიძლიერად განიცდიდეს იმას და უსაფუძვლოდ ნერვიულობდეს იმაზე, რაც სხვებს უმნიშვნელოდ და „წვრილმანად“ მიაჩნიათ. მათ შესაძლოა უჭირდეთ მეგობრების შეძენა და შენარჩუნება სკოლაში თანატოლების წრეებში, რადგან სხვებს ისინი ცოტა „უცნაურად“ მოაზროვნედ ეჩვენებოდეთ. სწორედ ამიტომ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით დაწყებითი სკოლის მასწავლებლებს ჰქონდეთ სპეციალური მომზადება ნიჭიერი ბავშვების მხარდაჭერის სფეროში, რაც მათ დაეხმარებათ გააცნობიერონ ბავშვების აზროვნებისა და ქცევის თავისებურებები.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია, მშობლებმა, მასწავლებლებმა და სხვა სპეციალისტებმა გააცნობიერონ, რომ „ერთი ზომა ყველას არ ერგება“ და იმ ნიჭიერ ბავშვებსაც კი, ვისაც ინტელექტის კოეფიციენტის ერთნაირი ქულები აქვთ, შეიძლება არ ჰქონდეთ მსგავსი უნარები, პიროვნული მახასიათებლები, განვითარების ტემპი, შესაძლებლობები ან ინტერესები. ერთი ნიჭიერი ბავშვის ინდივიდუალური თვისებები შეიძლება ძალიან განსხვავდებოდეს მეორისგან.

ნიჭიერი ბავშვების სოციალური და ემოციური განვითარება

მიუხედავად იმისა, რომ ნიჭიერი ბავშვები ხშირად ავლენენ მეგობრების შეძენის და ზოგადად, ადვილად ადაპტირების უნარს, ბევრ ნიჭიერ ბავშვს შესაძლოა, ჰქონდეს მათი „განსაკუთრებულობით“ განპირობებული სირთულეებიც.

ერთი მხრივ, სოციალური უნარები, მეგობრების შეძენა-შენარჩუნება და ზოგადად, სოციალური სფერო, ალბათ ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი სფეროა ნიჭიერი ბავშვებისთვის. მეორე

მხრივ, სწორედ მეგობრების ყოლას და მათთან ურთიერთობას, ცენტრალური ადგილი უკავია ბავშვის ბედნიერებასა და მაღალ თვითშეფასებაში.

განსაკუთრებული ნიჭის მქონე ბავშვები შესაძლოა მათი თანატოლებისგან განსხვავებულად განიცდიდნენ სამყაროსა და მოვლენებს და ამით, ხშირად განსხვავდებოდნენ თანატოლთა ჯგუფისგან. მათი იზოლაცია თანატოლებისგან შეიძლება საკმაოდ მარტივად მოხდეს, განსაკუთრებით სკოლაში, სადაც ნიჭიერი ბავშვების თანდაყოლილი მგრძნობელობა და მათ მიერ სამყაროს „ზრდასრული“ აღქმა, კიდევ უფრო ართულებს მეგობრობის დამყარებისა და შენარჩუნების შესაძლებლობას. ნიჭიერი ბავშვები თანატოლებმა შეიძლება ჩათვალონ ცოტა „უცნაურად“ მათი ზრდასრული ენისა და ინტერესების გამო. გარდა ამისა, შესაძლოა, ნიჭიერმა ბავშვებმა თანატოლებზე მენტორობის ტენდენცია გამოავლინონ, რაც მათი კლასელებისთვის სრულიად მიუღებელი იყოს და შედეგად, ნიჭიერ ბავშვთან ურთიერთობის სურვილის არქონა განაპირობოს.

ნიჭიერი ბავშვებისთვის აშშ-ის ეროვნულმა ასოციაციამ[5] მოამზადა მასალა, რომელშიც შეჯამებულია ნიჭიერი ბავშვების ემოციური და სოციალური სტატუსის შესახებ დაგროვილი ცოდნა. აღნიშნულ მასალაში საუბარია გარკვეულ კავშირზე ნიჭის ქონასა და ისეთ გამოწვევებთან, როგორიცაა: დეპრესია, ქცევითი გადახრა/კანონდარღვევა, პერფექციონიზმი, სუიციდის ტენდენცია და სტრესზე რეაგირების განსხვავებული ფორმები.

ამრიგად, ნიჭის ქონა, თავის მხრივ, არ წარმოადგენს ემოციური პრობლემებისგან დაცვას. სწორედ ასინქრონული განვითარება, რომელიც ხშირად ვლინდება

[5] https://www.nagc.org/

განსაკუთრებული ნიჭის მქონე ბავშვებში, რაც გამოიხატება იმაში, რომ ინტელექტუალური განვითარება არის 14 წლის ასაკის შესაბამისი და ფიზიკური და სოციალურ-ემოციური განვითარება 8 წლის ასაკის ბავშვის შესაბამისი, ქმნის გარკვეულ გამოწვევებს როგორც თავად ბავშვისთვის, ასევე, მისი გარშემომყოფებისთვის, რომლებიც არ არიან გაცნობიერებულები ატიპური განვითარების ეფექტის შესახებ.

მაგალითად, პერფექციონიზმი წარმოადგენს ფიქრების და ქცევის კომბინაციას, რომელიც საკუთარი შესრულების მაღალ სტანდარტთან და მოლოდინებთან არის დაკავშირებული. უმაღლესი შესრულება დამოკიდებულია საკუთარი თავისთვის მაღალი სტანდარტების დასახვასთან და ეს სტანდარტები როგორც ჩანს, აუცილებელი შემადგენელია მაღალი პროდუქტიულობისა, რომელსაც მოელიან ნიჭიერი მოსწავლეებისგან. თუმცა, ზოგჯერ პერფექციონიზმი გადაიზრდება ხოლმე ნევროტულ შესრულებაში. ადრეული ასაკიდან ნიჭიერ ბავშვებს გამოცდილებაში აქვთ იყვნენ ყველაფერში წარმატებული რასაც კი აკეთებენ, რადგან როგორც წესი, გარშემომყოფები მათ შესაძლებლობაზე ნაკლებ გამოწვევას სთავაზობენ. იმ შემთხვევაში, თუ პერფექციონიზმი იქცევა ნევროზად, მოსწავლე შესაძლოა გახდეს „წარუმატებლობისთვის თავის ამრიდებელი“. მაგალითად, პერფექციონისტ მოსწავლეს შესაძლოა ჰქონდეს დეპრესიული რეაქცია თუ ის დავალებაში 100 ქულიდან თუნდაც 95-ს მიიღებს. ასეთ შემთხვევაში, ძალიან მნიშვნელოვანია მასწავლებლებმა და სხვებმა, ხაზი გაუსვან, რომ მაღალ მიღწევებს ცხოვრებაში რაღაც დონეზე თან სდევს წარუმატებლობებიც. მეორე მხრივ, აუცილებელია მოსწავლემ იცოდეს, რომ 100 ქულიდან 95 ქულის მიღება, მისი წარუმატებლობის ინდიკატორი არ არის. ბავშვს, რომელიც მიჩვეულია, რომ ყველაფერს საუკეთესო შედეგით აკეთებს და მუდმივად წარმატებულია, შეიძლება ძალიან მტკივნეული რეაქცია ჰქონდეს თუ ვერ შეძლებს გამარჯვებას რაიმე სპორტულ თამაშში; ასეთ შემთხვევაში, თუ ბავშვი ამტკიცებს, რომ „მე წარუმატებელი ვარ“, ნიშნავს, რომ შედეგი/ქცევა არ დაემთხვა მის მიერ საკუთარი თავისთვის დასახულ მოთხოვნებსა და მოლოდინებს.

რაც შეეხება კავშირს სუიციდის შედარებით მაღალ შემთხვევებსა და ნიჭს შორის, მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურაში აღნიშნული კავშირი ზოგჯერ განიხილება, არ არსებობს დამაჯერებელი მტკიცებულებები ასეთი კავშირის შესახებ. ძირითადი ლოგიკა რითაც მეცნიერები ამ დროს ხელმძღვანელობენ, არის სუიციდსა და დეპრესიას შორის კავშირი, ხოლო ამ უკანასკნელს ხშირად მიაწერენ ნიჭიერ ადამიანებს. მიუხედავად იმისა, რომ პოპულარულია მოსაზრება ნიჭიერ ბავშვებში დეპრესიის საშუალოზე მაღალი მაჩვენებლის და თვითმკვლელობის რისკის თაობაზე, არცერთი ემპირიული მონაცემი არ ადასტურებს ამ რწმენას. აღნიშნულიდან გამონაკლისს წარმოადგენს ვიზუალურ ან ლიტერატურულ ხელოვნებაში შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანები.

ამავდროულად, არ არსებობს არც იმის საკმარისი მტკიცებულება, რომ დეპრესიისა და სუიციდის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად დაბალია ნიჭიერი ბავშვების პოპულაციაში.[6]

ნიჭიერ მოსწავლეებს სჭირდებათ მხარდაჭერა და გაძღოლა რათა განვითარდნენ სოციალურად და ემოციურად, ისევე, როგორც მათი ნიჭის სფეროში. ამრიგად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს განვითარდეს როგორც თვითრეალიზაციისკენ სწრაფვა, ასევე, ისეთი თვისებები, როგორიცაა ემოციების რეგულირება, სოციალური უნარები, რისკების აღების სურვილი, გამოწვევებთან გამკლავების და კრიტიკის უნარი, თავდაჯერებულობა, საკუთარი თავის აღქმა და მოტივაცია. ეს თვისებები კიდევ უფრო უნდა იყოს დიფერენცირებული ნიჭის სფეროსა და ნიჭის განვითარების სტადიის მიხედვით. ნიჭიერი მოსწავლეები საჭიროებენ მრავალფეროვან მხარდაჭერას მათი ცვალებადი საჭიროებიდან გამომდინარე.

ნიჭიერი ბავშვების მახასიათებლები

არსებული ლიტერატურის თანახმად, ნიჭიერი ბავშვები ავლენენ სხვადასხვა მახასიათებელს, რომლებიც ხშირად განასხვავებენ მათ თანატოლებისგან. ამასთანავე, ყველა ბავშვი განსხვავებულია და შეიძლება იყოს უფრო ძლიერი ერთ ან რამდენიმე სფეროში და უფრო სუსტი სხვა სფეროებში.

ქვემოთ წარმოდგენილი ჩამონათვალი, შეიძლება გამოყენებულ იქნას ნიჭის შესაძლო ინდიკატორად:

- დაკვირვების კარგად განვითარებული უნარი;
- კითხვის სწავლა ძალიან ადრე, ხშირად სასკოლო ასაკამდე.
- სწრაფად კითხვის უნარი;

[6] From Gifted Children and Depression by Maureen Neihart, in the book The Social and Emotional Development of Gifted Children: What Do We Know? by Maureen Neihart, Sally M. Reis, Nancy Robinson, Sidney Moon.

- კარგად განვითარებული ლექსიკა - მოსწონს უჩვეულო და ახალი სიტყვების გამოყენება;
- ძლიერი „ინტელექტუალური ცნობისმოყვარეობა“;
- ინფორმაციის სწრაფად შთანთქმის უნარი - ხშირად ღრუბლებს უწოდებენ;
- ძალიან კარგი მეხსიერება - შეუძლია ინფორმაციის გახსენება სხვადასხვა ვითარებაში;
- ძლიერი კონცენტრაციის უნარი ხანგრძლივი პერიოდით;
- მსჯელობისა და პრობლემის გადაჭრის ძალიან კარგი უნარი;
- ინტენსიური სპეციფიკური ინტერესები;
- არაჩვეულებრივი ფანტაზიის ფლობა;
- დიდი ინტერესი „დიდი“ კითხვების მიმართ, მაგ. სამყაროს არსი, მსოფლიოში უსამართლობის პრობლემა, გარემოსდაცვითი საკითხები;
- ძალიან მგრძნობიარე - შესაძლოა ბევრ რამეზე ნერვიულობდეს, წუხდეს და ადვილად გაუცრუვდეს იმედი;
- ძალიან მაღალი შეშფოთება უფლებების დარღვევაზე, დანაშაულის ჩადენაზე, და ზოგადად, უსამართლობაზე.

სფეროს ზოგიერთი სპეციალისტი ნიჭის თორმეტ ძირითად თვისებას გამოყოფს:

(1) მოტივაცია

სწავლის განსაკუთრებული სურვილი. ძლიერი შინაგანი წახალისება, წარმართვა ინდივიდუალური ან ჯგუფური მოთხოვნილების დაკმაყოფილების ან მიზნის მისაღწევად.

(2) ინტერესები

ინტენსიური, ზოგჯერ უჩვეულო ინტერესები. აქტივობები, საგნები და ა.შ., რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ან ღირებულება აქვთ და განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

(3) კომუნიკაციის უნარი

სიგნალების ან მნიშვნელობების გადაცემა და მიღება სიმბოლოთა სისტემის მეშვეობით (კოდები, ჟესტები, ენა და რიცხვები). არაჩვეულებრივი კომუნიკაციის უნარი (ვერბალური, არავერბალური, ფიზიკური, მხატვრული სიმბოლური); განსაკუთრებით შესაფერისი მაგალითების და ილუსტრაციების გამოყენება.

(4) პრობლემის გადაჭრის უნარი

პრობლემების ამოცნობისა და გადაჭრის ეფექტური სტრატეგიები. ალტერნატივების სწორი თანმიმდევრობის განსაზღვრის პროცესი სასურველ მიზნამდე ან დავალების წარმატებულად დასრულებამდე მისასვლელად. პრობლემების გადასაჭრელად

სისტემური სტრატეგიის შემუშავების და საჭიროებისამებრ, სტრატეგიის შეცვლის არაჩვეულებრივი უნარი; ახალი დიზაინების შექმნა, გამომგონებელობა.

(5) მეხსიერება

ინფორმაციის დიდი საცავი სასკოლო თუ არასასკოლო თემებზე. ინფორმაციის შენახვისა და მოპოვების განსაკუთრებული უნარი. დაოსტატებისთვის საჭიროა მხოლოდ 1-2 გამეორება; მდიდარი ინფორმაციის ფლობა სასკოლო და არასასკოლო თემებზე; დეტალებისთვის ყურადღების მიქცევა, ინფორმაციით მანიპულირება.

(6) გამოკითხვა/ცნობისმოყვარეობა

კითხვები, ექსპერიმენტები, გამოკვლევები. ცოდნის, გაგების ან ინფორმაციის ძიების მეთოდი ან პროცესი. არაჩვეულებრივი კითხვების დასმა და თავისი ასაკისთვის შეუფერებელი ქცევები, რომლებიც მიმართულია მასალების, მოწყობილობების ან სიტუაციების შესახებ ინფორმაციის მოპოვებაზე.

(7) გამჭრიახობა

ახალი ცნებების სწრაფად და იოლად გაგება/გააზრება; კავშირების დანახვა და ღრმა მნიშვნელობების წვდომა; სწორი გადაწყვეტილების უეცარი აღმოჩენა, უპირველეს ყოვლისა ცდასა და შეცდომებზე დაყრდნობით; განსხვავებული ელემენტების მოულოდნელი გზებით გაერთიანება. იდეებისა და დისციპლინების ინტეგრაცია.

(8) მსჯელობა

ლოგიკური მიდგომები გადაწყვეტილებების მოსაძებნად. უაღრესად მიზანმიმართული, კონტროლირებადი, აქტიური, წინდახედული და მიზანზე ორიენტირებული აზროვნება. განზოგადების, მეტაფორებისა და ანალოგიების გამოყენების უნარი; ლოგიკური აზროვნება; კრიტიკული მოაზროვნე; საგნებზე ფიქრის უნარი და სარწმუნო პასუხის გაცემა.

(9) წარმოსახვა/კრეატიულობა

ბევრი იდეის გენერირება; უაღრესად ორიგინალური. საგნების წარმოსახვაში ფორმირების პროცესი; იმ თვისებებისსიტუაციების ან ურთიერთობების აღქმა, რომლებიც არ არის აშკარა; პრობლემის გადაჭრა არატრადიციული ხერხით. გამორჩეული გამომგონებლობა ყოველდღიური მასალების გამოყენებაში; დაკვირვებულობა; „ველური“, ერთი შეხედვით სულელური იდეები; იდეების მოქნილი წარმოება; უაღრესად ცნობისმოყვარე.

(10) იუმორი

იუმორის კარგად განვითარებული აღქმა/გრძნობა და გამოყენების უნარი. რთულ სიტუაციებში ძირითადი იდეების ან პრობლემების იუმორისტული გზით გამოხატვის უნარი; იუმორის გრძნობა, რომელიც შეიძლება იყოს ფრთხილი ან მტრული; უჩვეულო ხედვის უნარი; იშვიათი ემოციური სიღრმე; გამოცდილებისადმი გახსნილობა.

(11) ინტენსივობა ("ზედმეტი აგზნებადობა")

რეაქციების და ქცევების ინტენსიურობა. ძალიან ძლიერი, თუნდაც ექსტრემალური რეაქცია სტიმულებზე ხუთ სფეროში: ემოციური, ინტელექტუალური, სენსორული, ფსიქომოტორული და წარმოსახვითი. ზედმეტად აგზნების, ძლიერი სტიმულაციის მიღების ინტენსიური სურვილი; ძლიერი ემოციები; ეძებს ინტელექტუალურ სტიმულაციას; სენსორული გამოცდილება იწვევს ძლიერ რეაქციას; მუდმივი ან განმეორებითი მოძრაობა ან ჟესტიკულაცია; ინტენსიური წარმოსახვითი ცხოვრება.

(12) მგრძნობელობა

ძლიერი რეაქციები ემოციურ სტიმულებზე. მოვლენები და სიტუაციები აფექტურ და სოციალურ სფეროებში ჩვეულებრივზე უფრო ძლიერ პასუხს იწვევს. თანაგრძნობის ძლიერი გრძნობა; სამართლიანობის მძაფრი გრძნობა; მორალური და ეთიკური სენსიტიურობა; სოციალურად „განსხვავებულობის“ გრძნობა; ეგზისტენციალური შფოთვა; ხშირად ზედმეტად თვითკრიტიკული.

ნიჭიერი ბავშვების დამატებით მახასიათებლებს გვთავაზობს კონექტიკუტის უნივერსიტეტის პროფესორი ჯოზეფ ს. რენზული (Joseph S. Renzulli):

- ⇨ აქვს უჩვეულოდ კარგად განვითარებული ლექსიკა.
- ⇨ აქვს ფაქტობრივი ინფორმაციის სწრაფი დამახსოვრების, დაუფლების და გახსენების უნარი. ფლობს უამრავ ინფორმაციას სხვადასხვა თემაზე.
- ⇨ ფხიზელი და დაკვირვებულია (როგორც წესი, ხედავს მეტს ან იღებს მეტს ამბიდან, ფილმიდან და ა.შ., ვიდრე სხვები).
- ⇨ ძალიან ბევრს კითხულობს დამოუკიდებლად.
- ⇨ კარგი განსჯა, ამოიცნობს კავშირებს, წვდება მნიშვნელობებს და აკეთებს ლოგიკურ ასოციაციებს.
- ⇨ დაჟინებით მუშაობს იმაზე, რაც მას აინტერესებს.
- ⇨ ადვილად ბეზრდება რუტინული დავალებები.
- ⇨ ურჩევნია დამოუკიდებლად მუშაობა; მცირე მითითებას საჭიროებს მასწავლებლებისგან.

- ⇨ ისწრაფვის სრულყოფილებისკენ, თვითკრიტიკულია.
- ⇨ ხშირად არის თავდაჯერებული, შეიძლება იყოს ჯიუტი საკუთარ რწმენებში.
- ⇨ აინტერესებს ბევრი რამ, სვამს კითხვებს ყველაზე და ყველაფერზე.
- ⇨ ავლენს ორიგინალურობას წერილობით, ზეპირ, მხატვრულ გამოხატვაში.
- ⇨ სთავაზობს უჩვეულო, უნიკალურ, ჭკვიან პასუხებს.
- ⇨ დაუბრკოლებელია მოსაზრებების გამოხატვაში.
- ⇨ ხშირად აღელვებს „საქმის“ კეთების სხვადასხვა ხერხი (ცვლის, აუმჯობესებს ან არგებს).
- ⇨ ავლენს მძაფრ იუმორის გრძნობას.
- ⇨ უჩვეულო, განსხვავებული, არ ეშინია განსხვავებულობის.

ნიჭიერი ბავშვების სწავლასთან დაკავშირებული საკითხები

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ მიუხედავად მაღალი ინტელექტუალური შესაძლებლობებისა, რომელიც ხშირად სცდება ნიჭიერი ბავშვების ქრონოლოგიურ ასაკს, ნიჭიერ ბავშვებს ესაჭიროებათ ისეთივე სრული მხარდაჭერა სახლისა თუ საგანმანათლებლო გარემოში, როგორც მათ თანატოლებს.

ნიჭიერი ბავშვების პოტენციალი უზარმაზარია, ისინი შეიძლება იყვნენ მომავალი მოაზროვნეები, მეცნიერები, მომავლის მწერლები, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში მოახდენენ საკუთარი პოტენციალის განვითარებასა და რეალიზებას, თუ მათ შესაფერისად ასწავლიან. ნიჭი ნებისმიერ დისციპლინაში, იქნება ეს სპორტი, მუსიკა, ლიტერატურა, ხელოვნება თუ მეცნიერება, სრულად განვითარდება მხოლოდ სათანადო მხარდაჭერის შემთხვევაში.

ნიჭიერი მოსწავლეები საჭიროებენ საკმარის წვდომას სათანადო სასწავლო შესაძლებლობებზე, რათა გააცნობიერონ თავიანთი პოტენციალი. მოსწავლის პოტენციალის განსაზღვრა მოითხოვს არა მხოლოდ მოსწავლის ქრონოლოგიური ასაკის ან კლასის დონის, არამედ, ინდივიდის კონტექსტისა და სწავლის წინარე შესაძლებლობების გათვალისწინებას. განვითარების უარყოფითი ეფექტები ვლინდება იმ ნიჭიერი მოსწავლეების შემთხვევაში, რომელთაც არ ჰქონიათ ადრეული განათლების ან სათანადო მხარდამჭერ პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა. მოთხოვნილებები და საჭიროებები ასევე განსხვავდება ნიჭიერ მოსწავლეებს შორის სფეროების მიხედვით. მხარდაჭერა, რომლებსაც ნიჭიერი მოსწავლეები იღებენ, უნდა ასახავდეს შესაბამისობას მათი მიღწევის ამჟამინდელ დონეს, პოტენციალსა და შეთავაზებულ სწავლებას შორის, რომელიც, თავის მხრივ, უნდა პასუხობდეს როგორც ბავშვის ამჟამინდელ, ასევე, სამომავლო საჭიროებებსაც.

ნიჭიერი ბავშვების მიერ ინფორმაციის დამუშავებისას, ცენტრალური სფეროებია მეხსიერება, ასოციაცია, კლასიფიკაცია, და შეფასება. აღნიშნული თვისებები/უნარები, ხშირად უქმნის გამოწვევას მასწავლებელს, რადგან მოსწავლეს შესაძლოა მობეზრდეს ფაქტების სწავლა და მარტივი დავალებები. შესაძლებლობებზე მნიშვნელოვნად დაბალმა დავალებებმა და ასევე, იმის ხშირად მოსმენამ, თუ რა ჭკვიანია, შესაძლოა გახადოს ნიჭიერი ბავშვი არაეფექტური და ამასთანავე, ზედმეტად თავდაჯერებული. გარდა ამისა, ნიჭიერი ბავშვები ხშირად მაღალი ნიშნებით ფასდებიან, თუმცა, აღნიშნულ შეფასებას ისინი მეტწილად საკუთარ შესაძლებლობებზე საკმაოდ დაბალი სირთულის დავალებებში იღებენ, რადგან სკოლის მხრიდან მათთვის განსაკუთრებული უნარების შესაბამისი გამოწვევები არაა შეთავაზებული.

ნიჭიერი მოსწავლეები დაბალი აკადემიური მიღწევებით

არიან ნიჭიერი მოსწავლეები, რომლებსაც დაბალი აკადემიური მოსწრება, თუმცა, ინტელექტის მაღალი კოეფიციენტი აქვთ. ზოგჯერ, ასეთი ბავშვები სკოლის პერიოდში ვერასდროს აღწევენ იმ აკადემიურ შედეგებს, რომლებიც მათი ინტელექტის კოეფიციენტით არის ნავარაუდევი.

სფეროში არსებული კვლევების თანახმად, იკვეთება ოთხი ძირითადი მახასიათებელი, რომელიც გავლენას ახდენს ნიჭიერი ბავშვების დაბალ მიღწევებზე, ესენია:

- ⇨ ძლიერი არასრულფასოვნების გრძნობა;
- ⇨ დაბალი თავდაჯერებულობა;
- ⇨ ნაკლები შეუპოვრობა;
- ⇨ ცხოვრებისეული მიზნების ნაკლებობა;

ერთ-ერთმა კვლევამ, რომელიც მიზნად ისახავდა ნიჭიერ ბავშვებში დაბალი მიღწევების განმაპირობებელი ფაქტორების იდენტიფიცირებას (McCoach & Siegle, 2003), შეისწავლა 5 ისეთი ფაქტორი, როგორიცაა:

1) აკადემიური თვით-აღქმა,
2) სკოლის მიმართ ატიტუდები,
3) მასწავლებლის მიმართ ატიტუდები,
4) მოტივაცია/თვით-რეგულაცია
5) მიზნის ღირებულების განცდა (აკადემიური მიზნების ქონა).

ბოლო ორი ფაქტორი მოტივაცია და აკადემიური მიზნები, აღმოჩნდა დაბალი მიღწევების ყველაზე ძლიერი განმაპირობებელი. საინტერესო იყო ასევე კვლევის შედეგი, რომლის თანახმადაც, დაბალი მიღწევების მქონე ნიჭიერი ბავშვების თვით-აღქმა იყო ძალიან მაღალი. ბავშვებმა იცოდნენ, რომ უნდა შეესრულებინათ დავალება/სამუშაო, ხოლო ატიტუდები მასწავლებლებისა და სკოლის მიმართ იყო შერეული. კვლევის ავტორების რეკომენდაციაა მასწავლებლებისა და სხვა სპეციალისტებისთვის, რომლებსაც შეხება აქვთ დაბალი მიღწევების ნიჭიერ მოსწავლეებთან, შეაფასონ, თუ რამდენად ღირებულია დაბალი მიღწევების მქონე ნიჭიერი მოსწავლეებისთვის სასკოლო მიზნები და რამდენად აქვთ ამ მიზნების მიღწევის მოტივაცია. ამასთანავე, ავტორები ხაზს უსვამენ, თუ მოსწავლისთვის ღირებული არ არის კონკრეტული დავალება და არც ამ დავალების შესრულებით მიღებული შედეგი (მაგალითად მაღალი ქულის მიღება), მაშინ ამ დავალების შესრულების მოტივაციაც დაბალი ექნება.

ზოგადად, ძალიან რთულია მოსწავლის არაადაპტური ქცევითი პატერნის შეცვლა, როდესაც აღნიშნული პატერნი 8-10 წლის მანძილზე ყალიბდებოდა და მოსწავლეს განუვითარდა არასათანადო დამოკიდებულება აკადემიური სტრესისა თუ გამოწვევების მიმართ. ასეთ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლებმა და ბავშვის განათლებაში ჩართულმა სპეციალისტებმა შექმნან მოსწავლისთვის ხელსაყრელი, ტრადიციულისგან განსხვავებული საკლასო გარემო სათანადო ცვლილებების განხორციელებით. მაგალითად, ასეთი ცვლილება შეიძლება ეხებოდეს მოსწავლე-მასწავლებლის თანაფარდობას (იყოს უფრო დაბალი თანაფარდობა), ტიპურისგან განსხვავებული სწავლება და სასწავლო აქტივობები - მოსწავლეებისთვის მეტი არჩევანის და თავისუფლების მიცემა აკონტროლონ კლასის ატმოსფერო, მოსწავლეების წახალისება გამოიყენონ მრავალფეროვანი სწავლის სტრატეგიები.

იმ შემთხვევაში, თუ ნიჭიერი მოსწავლეების სწავლასთან დაკავშირებული საჭიროებები უგულებელყოფილი იქნება, შედეგად, მოსწავლეს ექნება:

- ცუდი სასწავლო/სასკოლო ჩვევები
- ქცევითი პრობლემები
- აპათია და მოტივაციის არარსებობა

- შესაძლებლობების უგულებელყოფით ან დაცინვით გამოწვეული ემოციური/ფსიქოლოგიური პრობლემები
- დაბალი სასწავლო შედეგები
- სწავლისთვის თავის დანებების სურვილი (შესაძლოა შეწყვიტოს სწავლა/დატოვოს სკოლა)
- ნარკოტიკებთან, ალკოჰოლთან და კრიმინალურ ქმედებებში ჩართვის ტენდენცია
- ფსიქიკური აშლილობა

ნიჭიერი ბავშვების სასწავლო მახასიათებლები

ნიჭიერი ან პოტენციურად ნიჭიერი მოსწავლეები, როგორც წესი, განსხვავდებიან თანაკლასელებისგან სამი ძირითადი მახასიათებლით:

1. ტემპი, რომლითაც ისინი სწავლობენ
2. ინფორმაციის გაგების სიღრმე
3. თვისებები, რომლებსაც ისინი ავლენენ

ცხრილში მოცემულია ნიჭიერი ბავშვებისთვის დამახასიათებელი თვისებები, მათ შორის დადებითი და უარყოფითი ქცევები, რომლებიც შეიძლება საგანმანათლებლო პროცესში გამოვლინდეს. ამრიგად, ბავშვმა შეიძლება გამოავლინოს აღნიშნული მახასიათებლით განპირობებული როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ქცევა, გარემოდან გამომდინარე. ასევე, ბავშვებმა შეიძლება გამოავლინონ ეს მახასიათებლები სხვადასხვა დროს. მოსწავლე, რომელიც იდენტიფიცირებულია ნიჭიერად, რეგულარულად გამოავლენს რამდენიმე მახასიათებელს. ნიჭიერ მოსწავლეს სჭირდება ისწავლოს, თუ როგორ მოახდინოს საკუთარი ნეგატიური ქცევის მოდიფიცირება. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული მახასიათებლები არ წარმოადგენდნენ ბავშვისთვის პრობლემას და ხელი შეეწყოს მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებისა და ძლიერი მხარეების რესურსად და არა განათლების და თანატოლებთან ურთიერთობის ბარიერად გადაქცევას.

მახასიათებლები	პოზიტიური ქცევა	ნეგატიური ქცევა
სწავლობს სწრაფად/ადვილად	იმახსოვრებს და ეუფლება ძირითად ფაქტებს სწრაფად	ადვილად ბეზრდება, ეწინააღმდეგება ინსტრუქციებს, ხელს უშლის სხვებს
კითხულობს ინტენსიურად	კითხულობს ბევრ წიგნს და იყენებს ბიბლიოთეკას დამოუკიდებლად	უგულებელყოფს სხვა პასუხისმგებლობებს
აქვს მოწინავე, კარგად განვითარებული ლექსიკა	ნათლად გამოხატავს საკუთარ იდეებს	ეთიშება საუბრებს, იწვევს თანატოლების განაწყენებას
ინარჩუნებს დიდი რაოდენობის ინფორმაციას	ადვილად იხსენებს და მზად არის პასუხებისთვის	ახდენს დისკუსიის მონოპოლიზებას
შეუძლია ყურადღების შენარჩუნება ხანგრძლივი დროით	ეჭიდება რთულ დავალებას ან პროექტს	ეწინააღმდეგება კლასის რუტინას, არ მოსწონს როცა აწყვეტინებენ, ხელს უშლიან
ცნობისმოყვარეა, აქვს მრავალფეროვანი ინტერესები	სვამს კითხვებს, ავლენს აღელვებას, ინტერესს იდეების მიმართ	გადადის სხვა (მისთვის საინტერესო) თემებზე, არათანმიმდევრულია
მუშაობს დამოუკიდებლად	ქმნის და იგონებს დაკისრებული დავალებების მიღმაც	უარს ამბობს სხვებთან მუშაობაზე
ყურადღებიანი და დაკვირვებულია	ამოიცნობს პრობლემებს	„უზრდელად“ უსწორებს/აკორექტირებს უფროსებს
აქვს იუმორის კარგი გრძნობა	შეუძლია საკუთარ თავზე სიცილი	აქვს „სასტიკი“ ხუმრობები, ოინები
იაზრებს ურთიერთობებს	შეუძლია სოციალური პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრა	არასაჭიროდ ერევა სხვის საქმეებში
აქვს მაღალი აკადემიური მოსწრება	კარგად ასრულებს სასკოლო დავალებებს	ტრაბახობს, ეგოისტია, მოუთმენელია სხვების მიმართ
თავისუფლად, გამართულად მეტყველებს	ძლიერია სიტყვებში/ცნებებში, რიცხვებში, უძღვება თანატოლებს პოზიტიური სახით	უბიძგებს/იწვევს სხვებს ნეგატიურ ქცევაში
ინდივიდუალისტია	აქვს საკუთარი თავის, იდეების მიმღებლობა და უნიკალურობის განცდა	ჰყავს ცოტა მეგობარი, ხისტია საკუთარ შეხედულებებში
არის თვითმოტივირებული, თვითკმარი	საჭიროებს მასწავლებლის მხრიდან მინიმალურ მიმართულების მიცემას ან დახმარებას	არის ზედმეტად აგრესიული, გამომწვევი ავტორიტეტის მიმართ

Excerpt from What to Expect When You're Raising a Gifted Child: A Handbook for Parents of Gifted Children, published by the Ohio Association for Gifted Children. June Maker, 1982.

მიუხედავად იმისა, რომ ნიჭიერი ბავშვები შესაძლოა გარკვეულწილად მსგავს თავისებურებებსა და ქცევით პატერნებს ავლენდნენ, ისინი ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდებიან ინტერესებით, პიროვნული მახასიათებლებითა და კონტექსტით, რომელშიც იზრდებიან.

ქვემოთ მოცემულია სამი ბავშვის შემთხვევა, სამივე 10 წლის, მე-5 კლასის მოსწავლეა - ნია, მეტი ვარაუდით აკმაყოფილებს ინტელექტუალური, კრეატიული და ლიდერობის ნიჭის კრიტერიუმს, ელენას აქვს ინტელექტუალური ნიჭი, ხოლო ომარის ნიჭი დაფარული და ნაკლებად გამჟღავნებულია.

შემთხვევა 1

ნია მაღალი ტანის, ათლეტური აღნაგობის, ხალისიანი და ლაღი ბავშვია. ის ბუნებრივ ლიდერობას და მრავალმხრივ ინტერესებს ავლენს. მას საკმაოდ მაღალი შედეგები აქვს ინტელექტის საზომ ტესტში. მისი ინტერესები ჯერ არ არის საბოლოოდ ფორმირებული და გამყარებული. ერთი კვირის მანძილზე ის შეიძლება იყოს მოხიბლული ასტრონომიით, მეორე კვირას სპორტთან დაკავშირებული საკითხებით და მესამე კვირას კი, გეოგრაფიით და აფრიკის შესწავლით. მისი საგანმანათლებლო ისტორია ავლენს, რომ მასწავლებლებს ორი განსხვავებული რეაქცია აქვთ ნიაზე. ერთი მხრივ, მასწავლებლები ნიას კლასში ყოფნას განიხილავენ როგორც საჩუქარს და ერთგვარ სიამოვნებას. ის ძალიან თანამშრომლობითი და პასუხისმგებლიანი ბავშვია, რომელიც არამარტო თავის დავალებებს ასრულებს კარგად, არამედ, დიდი წვლილი შეაქვს მისი კლასელების მუშაობასა და ერთობლივ პროექტებში. მეორე მხრივ, ნია მასწავლებლების გარკვეულ ფრუსტრაციას და საკუთარ თავში დაურწმუნებლობას განაპირობებს, რადგან გარკვეულ თემებში/საკითხებში მისი ცოდნა მასწავლებლებისას აღემატება. მასწავლებლები ხშირად ფიქრობენ იმაზე, თუ რამდენად ახერხებენ ნიასთვის სათანადო ცოდნის მიცემას. ნიას ოჯახი საკმაოდ შეკრული და ბედნიერია. ისინი მიიჩნევენ, რომ ბავშვი კარგად ართმევს თავს დავალებებს, არის წარმატებული, სურთ ნიამ მიიღოს კარგი უმაღლესი განათლება მომავალში, თუმცა, იმასაც უსვამენ ხაზს, რომ თავად ნიაზეა დამოკიდებული, თუ რა გზას აირჩევს ის მომავალში. მათ უხარიათ, რომ ბავშვი არის ენთუზიაზმით სავსე და ადვილად ადაპტირდება სხვადასხვა სიტუაციასთან.

შემთხვევა 2

ელენას საკმაოდ მაღალი ქულები აქვს ინტელექტის საზომ ტესტში, ისევე, როგორც ნიას. ელენა ატარებს სათვალეს მსხვილი ლინზებით, რაც მას „წიგნიერი“ ადამიანის იერსახეს აძლევს. ელენას ტანსაცმელი, როგორც წესი, მუდმივად მოწესრიგებული და სუფთაა, მაგრამ არა ელეგანტური, მოდური და ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ თითქოს ელენას და მის მშობლებს საერთოდ არ ანაღვლებთ ჩაცმულობა და გარეგნული მხარე. ელენას ჰყავს შედარებით ახლო ერთი-ორი მეგობარი, მაგრამ ის არ არის კლასის უფრო ფართო სოციალური ჯგუფის წევრი და უფრო მეტიც, თითქოს, თავადაც თავს არიდებს თანაკლასელებს.

მასწავლებლები რეაგირებენ ელენაზე ორი განსხვავებული სახით. ერთი მხრივ, მათ სიამოვნებთ ელენას თავდადება სწავლაში, შესრულების მაღალი ხარისხი და ენთუზიაზმი, რომლითაც ის დავალებებს უდგება. იმავდროულად, ისინი შეწუხებულები არიან ელენას ქედმაღლური დამოკიდებულებით თანატოლების მიმართ, რომლებიც არ არიან მისი მსგავსნი და მასსავით „ჭკვიანები“. თანაკლასელებიც, როგორც წესი, ზურგს აქცევენ ელენას, როდესაც ის ცდილობს მასწავლებლის ასისტენტის როლის შესრულებას კლასში ან იყენებს მასწავლებლისთვის განსაზღვრულ უპირატესობებს.

ელენა და მისი ოჯახი ერთმანეთთან ძალიან კარგ ურთიერთობაში არიან. მშობლებს საკუთარი ღირებულებები და მოლოდინები აქვთ ჩამოყალიბებული ელენას მიმართ, რომელსაც ბავშვიც სრულად იზიარებს; თუმცა, ეს ღირებულებები გარკვეულწილად სირთულეებს უქმნის ელენას თანატოლებთან ურთიერთობაში. მშობლები აფასებენ ელენას ინტელექტუალურ შესაძლებლობებს და აკადემიურ მიღწევებს სხვა ყველაფერზე მეტად. მშობლების და ელენას ერთობლივი საღამოები მეტწილად მოიცავს საუბრებს/დისკუსიებს პოლიტიკაზე, რელიგიაზე ან მათ სამსახურთან დაკავშირებულ მოვლენებზე (ელენას ორივე მშობელი უნივერსიტეტში ასწავლის). აღნიშნული თემებზე საუბარი, როგორც წესი, უფრო უფროსებისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა, ელენას ინტელექტუალური უნარები აძლევს შესაძლებლობას სრულფასოვნად ჩაერთოს ოჯახურ დისკუსიებში, რაც თავის მხრივ, საკმაოდ წახალისებულია მშობლების მხრიდან და თან იმაზე მეტად, ვიდრე ელენას სხვა ასაკობრივი ქცევები. ნიასგან განსხვავებით, თავისი ინტელექტუალური შესაძლებლობების გამო, ელენას სოციალური სირთულეები ექმნება. ის მიუღებელია მისი თანატოლებისთვის, თუმცა, ბავშვი ვერ ხვდება ამის მიზეზს. ელენას განვითარების პატერნი განსხვავდება ნიასაგან, რაც ძირითადად მისი ოჯახური კონტექსტით არის განპირობებული.

შემთხვევა 3

ომარი მცირე ტანის, ძალიან დიდი ენერგიის მქონე ბავშვია და საკმაოდ განსხვავდება ნიასა და ელენასგან. რამდენიმე წლის წინ, მისი ნიჭი შესაძლოა შეუმჩნეველი დარჩენილიყო და ასეც იყო. ომარი დაახლოებით 5 წლის წინ ჩამოვიდა საქართველოში, თუმცა, ის ქვეყანაში ჩამოსვლამდეც გარკვეულ დონეზე ფლობდა ქართულ ენას. ომარის ოჯახს ძალიან გაუკვირდა, როდესაც სკოლისგან მიიღო ინფორმაცია, რომ ომარი განსაკუთრებული ნიჭით არის დაჯილდოვებული; თუმცა, ამჟამად მშობლები ძალიან ამაყობენ ომარით და მაქსიმალურად ცდილობენ მის ხელშეწყობას.
ომარი საკმაოდ ათლეტური და ფიზიკურად ენერგიულია. ის კარგად ასრულებს ყველა სააზროვნო დავალებას, თუმცა, შედარებით უჭირს ენასთან დაკავშირებულ დავალებებთან გამკლავება, კითხვა და წერა, რაც მის რეალურ შესაძლებლობებს ჩამორჩება. ინტელექტის ტესტში მიღებული მისი ქულები მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე ის შეფასებები, რომელსაც ის სხვადასხვა საგანში იღებს. ომარი განიხილება, როგორც ფარული ნიჭის მქონე ბავშვი. მასწავლებლის დაკვირვებამ სხვადასხვა საკლასო აქტივობების დროს, განსაკუთრებით კი პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის დროს, აჩვენა, თუ რამდენად მოაზროვნე, ჭკვიანი და ინტერესიანია ომარი. ის ისეთივე ენერგიას და ძალისხმევას დებს საკლასო აქტივობებში/დავალებებში, როგორსაც ფეხბურთის გუნდში. სწორედ ომარის ეს მახასიათებლები გახდა მიზეზი, რომ მასწავლებელმა მიმართა სკოლის ფსიქოლოგს ომარის შეფასებისთვის. ამასთანავე, მასწავლებელმა ძალიან ფრთხილად უნდა შეარჩიოს ომარისთვის დავალებები და მისცეს საშუალება დავალებაზე მუშაობისას გამოიყენოს შემოქმედებითი უნარები და არა მხოლოდ ვერბალური, რაც ბავშვისთვის შედარებით გამოწვევას წარმოადგენს. ამავდროულად, მასწავლებელმა უნდა იზრუნოს ომარის ვერბალური უნარების შემდგომ განვითარებაზეც. ის ასევე უნდა იყოს მგრძნობიარე ომარის კულტურული და ლინგვისტური თავისებურებების მიმართ.

ნიჭიერი მოსწავლეების იდენტიფიკაცია

იმისათვის, რომ ნიჭიერმა მოსწავლეებმა სათანადო საგანმანათლებლო მხარდაჭერა მიიღონ, აუცილებელია მათი შემჩნევა და აღმოჩენა, რაც ყოველთვის ადვილი არაა. მოსწავლეთა ყველა თაობებში არიან ნიჭიერი ბავშვები, რომლებმაც ისე დაასრულეს სკოლა, რომ არ იყვნენ შემჩნეულნი და მათი ნიჭი არ იყო სათანადოდ მხარდაჭერილი (Johnsen, 2004).

იმის გათვალიწინებით, თუ რა მიზნით გვინდა ნიჭიერი ბავშვების აღმოჩენა, მიდგომებიც განსხვავებულია. მაგალითად, თუ სკოლა გეგმავს სპეციალური

ჯგუფის/პროგრამის შეთავაზებას განსაკუთრებული მათემატიკური ნიჭის მქონე ბავშვებისთვის, მაშინ ძიების პროცესი განსხვავებული იქნება, ვიდრე ეს შემოქმედებითი ნიჭის (მაგ.: ხატვის) მქონე ბავშვების მოძიების შემთხვევაში იქნებოდა. მათემატიკური კლასისთვის სწორედ ამ ნიჭის მქონე ბავშვების მოძიება მოხდება სპეციალური ტესტებითა და მანამდე მოსწავლეების მიერ გამოვლენილი შედეგებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

განათლების სისტემაში მყოფი ნიჭიერი ბავშვების აღმოჩენის პროცესი შესაძლებელია ეფუძნებოდეს როგორც ობიექტურ, ასევე, სუბიექტურ შეფასების მეთოდებს. გარდა სპეციალური ტესტებისა, კლასში მოსწავლეზე დაკვირვება იძლევა ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორ აორგანიზებს და იყენებს მოსწავლე მასალას, როგორ ამუშავებს ინფორმაციას. ზოგჯერ, სასწავლო პროცესში დაკვირვება იმაზე მეტი ინფორმაციის მომცემია, ვიდრე ობიექტური ტესტი. მოსწავლის მიერ შექმნილი ისეთი პროდუქტები, როგორიცაა ესე, პრეზენტაცია და სხვადასხვა კომლექსური დავალების შესრულება, ბავშვის განსაკუთრებული ნიჭის განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.

ზოგადად, სკოლის სისტემაში ნიჭიერი მოსწავლეების აღმოსაჩენად, მნიშვნელოვანია:

- ✓ მასწავლებელმა იცოდეს თუ რას მიაქციოს ყურადღება, როგორ ამოიცნოს ბავშვის პოტენციალი;
- ✓ მასწავლებელმა იცოდეს, როგორ უზრუნველყოს საკლასო სტრუქტურა, რომელიც მოსწავლეებს ჩართულობის და თვითგამოვლენის შესაძლებლობას მისცემს;
- ✓ მასწავლებელმა იცოდეს, როგორ უზრუნველყოს ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემო, რომელშიც მოსწავლე შეძლებს საკუთარი განსაკუთრებული უნარების დემონსტრირებას;

სტრუქტურირებული დაკვირვების მიდგომა სთავაზობს მასწავლებელს იმ კონკრეტულ ქცევათა ჩამონათვალს, რომელთაც მან ყურადღება უნდა მიაქციოს. ასეთ შემთხვევაში, დაკვირვება შეიძლება იწარმოოს იმ ბავშვებზე რომლებიც:

- ⇨ ადვილად/იოლად სწავლობენ
- ⇨ ავლენენ ცნობისმოყვარეობას და კრეატიულობას
- ⇨ აქვთ ძლიერი ინტერესი
- ⇨ ავლენენ მოწინავე სააზროვნო და პრობლემის გადაჭრის უნარს
- ⇨ აქვთ განსაკუთრებული სივრცითი უნარები
- ⇨ არიან მოტივირებულები
- ⇨ ავლენენ სოციალურ გულისხმიერებას
- ⇨ აქვთ ლიდერობის უნარი
- ⇨ ავლენენ სხვა მოწინავე უნარებს

აღნიშნულ ქცევებზე დაკვირვების ძირითადი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ აუცილებელია გავცდეთ აკადემიური მიღწევების სტანდარტიზებულ საზომებს თუ ჩვენ გვინდა, რომ ფარული/დამალული ნიჭიც აღმოვაჩინოთ მოსწავლეებში.

რაც შეეხება ვიზუალურ და საშემსრულებლო ხელოვნებას, ექსპერტები თანხმდებიან იმაზე, რომ ხელოვნების ნიჭის აღმოჩენისთვის სათანადო საშუალება არაა ტესტი. ზოგჯერ საკმარისია მოსწავლის ნამუშევრების სერიაც ან პორტფოლიო იმ ნამუშევრებით, რომელიც მან შექმნა გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

ნიჭიერი მოსწავლეების მხარდაჭერის ზოგადი პრინციპები

იმის გამო, რომ მოსწავლეების საჭიროებები და საგანმანათლებლო გარემო დროთა განმავლობაში იცვლება, ნიჭიერი მოსწავლეების განათლების მხარდამჭერი მიდგომები და სერვისებიც შესაბამისად უნდა იცვლებოდეს. ნიჭიერთა განათლების პროგრამებში თანასწორობისა და წარმატების უზრუნველყოფა სათანადო ძალისხმევას მოითხოვს. ეს მცდელობები იწყება „ნიჭიერების“ დეფინიციის მიღებით, რომელიც განმარტავს არა მხოლოდ კონსტრუქციის გაგებას, არამედ იმასაც, თუ როგორ რეაგირებენ სკოლები და სასკოლო სისტემები ამ განმარტებაზე.

კარგად შემუშავებული პროგრამები, რომლებიც გამოწვევას წარმოადგენს ნიჭიერი ბავშვისთვის და იმავდროულად, უწევს მას სათანადო მხარდაჭერას, ასოცირდება მოსწავლის გაზრდილ წარმატებასთან.

საკმაოდ დიდი დისტანცია განსაკუთრებული ნიჭის მქონე მოსწავლეებსა და მათ თანატოლებს შორის, მოითხოვს ინდივიდუალური მიდგომების გამოყენებას, მსგავსად იმისა, როგორც ინდივიდუალური სასწავლო გეგმებია შეზღუდული შესაძლებლობის და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისთვის. ნიჭიერი მოსწავლეებისთვის განსაზღვრული კომპლექსური დავალებები და საგანმანათლებლო სერვისები უნდა ითვალისწინებდეს აქსელერაციას, მოსწავლის უფრო სწრაფად გადაადგილებას განათლების სისტემის ფარგლებში, ასევე, მენტორობას იმ ზრდასრულების მხრიდან, რომლებიც ნიჭიერი ბავშვის ინტერესის სფეროში ფლობენ სპეციალურ ცოდნას (Silverman, 1998 as cited in Educating Exeptional Children, 2012).

ნიჭიერი მოსწავლეების განათლებაში არსებულ გამოწვევას წარმოადგენს არამარტო ის, თუ როგორ დაიგეგმოს სასწავლო პროცესი იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც აქვთ ნიჭი ყველა შესაძლო სფეროში, არამედ, მათთვისაც, რომელთაც განსაკუთრებული ნიჭი აქვთ ერთ რომელიმე სფეროში (მაგ.: მათემატიკა, ინტერპერსონალური

ურთიერთობები) მაგრამ არა ყველაში და უფრო მეტიც, ზოგიერთ სფეროში სწავლასთან დაკავშირებულ სირთულეებსაც კი ავლენენ.

გასათვალისწინებელია, რომ მაღალი უნარი ერთ თუ რამდენიმე სფეროში არ წარმოადგენს ერთადერთ წინაპირობას/განმაპირობებელს მოსწავლის პროდუქტიულობისა, არამედ ეს არის საფუძველი, რაზეც უნდა დაშენდეს მოსწავლის პროდუქტიულობა. გაფართოებული/გაძლიერებული პრაქტიკა, თავდადება და მაღალი მოტივაცია წარმატებისთვის, არის ის მახასიათებლები, რომლებიც აუცილებელია პროდუქტიული ადამიანის პროფილის შესაქმნელად. სკოლას და მასწავლებლებს აქვთ უდიდესი როლი, რომ გაუჩინონ მოსწავლეს ინტერესი სწავლისადმი, უზრუნველყონ რესურსებით და წვდომით მოწინავე ცოდნაზე, რაც შეინარჩუნებს ნიჭიერი მოსწავლის სწავლისადმი მოტივაციას.

სხვადასხვა მეცნიერის მიერ ინტელექტუალური პროდუქტიულობის რამდენიმე კომბინაციაა შემოთავაზებული: ოპტიმიზმი (პოზიტიური გრძნობა/დამოკიდებულება რთული სამუშაოს კეთების მიმართ), გამბედაობა (მორალური რწმენა), ჟინი (ძლიერი სულიერი მღელვარება, ვნება), მგრძნობელობა ადამიანური განცდების მიმართ (ემპათია), ფიზიკური/მენტალური ენერგია (ცნობისმოყვარეობა) და დანიშნულების გრძნობა (ცვლილების მოხდენის ძალა). მთავარი აქ ისაა, თუ როგორ უნდა შექმნან და განავითარონ მასწავლებლებმა სასწავლო პროცესი, რომელიც გააძლიერებს, გააფართოებს მოსწავლეში თვისებების აღნიშნულ ნაკრებს.

გარდა ამისა, დღესდღეობით, თანამედროვე საკლასო გარემოში მოსწავლეთა საკმაოდ დიდი კულტურული მრავალფეროვნებაა წარმოდგენილი. შესაბამისად, აქტუალურია საკითხი, როგორ დავეხმაროთ სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელ ნიჭიერ მოსწავლეებს. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, სკოლამ ითანამშრომლოს ოჯახებთან და წაახალისოს ბავშვის განათლების წარმატებულობის მახასიათებლები: პოზიტიური მშობლობა, სწავლისთვის შესაბამისი პირობები (მაგ.: კითხვა ბავშვისთვის, ბავშვთან ერთად), ბავშვის თამაშისთვის საჭირო რესურსებით მდიდარი და უსაფრთხო გარემო და სხვ. Van Tassel-Baska (2004), ასევე, მნიშვნელოვანია სპეციალური სასკოლო პროგრამები, რომლებიც საშუალებას მისცემს სხვადასხვა კულტურის და სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელ ნიჭიერ მოსწავლეებს განივითარონ და გამოავლინონ კრეატიულობა და გამართული სააზროვნო უნარები, გამოიყენონ კეთებაზე დაფუძნებული სწავლა-სწავლება, რაც მისცემთ მოსწავლეებს შესაძლებლობას საკუთარი მოსაზრებები, იდეები გამოხატონ ხელოვნების საშუალებით და არა მხოლოდ ვერბალურად.

რომ შევაჯამოთ, ნიჭიერ მოსწავლეებს ისეთივე საჭიროებები და მოთხოვნილებები აქვთ, რაც მათ თანატოლებს: სიყვარული, გაგება, შემეცნების მოტივირება, პატივისცემა,

მხარდაჭერა, აღიარება და უსაფრთხოება. თუმცა, მათ ასევე დამატებითი საჭიროებებიც აქვთ, როგორიცაა:

- მოქნილი სასწავლო პროგრამა, რომელიც მოითხოვს უმაღლესი კოგნიტური პროცესების და ცნებების გამოყენებას;
- თავისუფლება სტრუქტურირებული მოთხოვნებისა და შეზღუდული დროითი ჩარჩოებისგან;
- დრო და თავისუფლება ექსპერიმენტებისთვის, მათთვის საინტერესო საგნებისა და თემების შესწავლისთვის;
- თავისუფალი წვდომა საჭირო სასწავლო რესურსებზე, როგორი სირთულისაც არ უნდა იყოს ისინი (განათლების ასაკობრივი საფეხური არარელევანტურია ნიჭიერი მოსწავლეებისთვის, რომლებსაც შეუძლიათ გაუმკლავდნენ გაცილებით რთულ მასალას);
- დაპირისპირება საზოგადოების პრობლემებსა და საკითხებთან, რომელთა წინასწარ განსაზღვრული გადაწყვეტა არ არსებობს;
- კრეატიული იდეების გაჟღერების და განხილვის შესაძლებლობა;
- კითხვების დასმის, აღმოჩენების გაკეთების, საკუთარი ინტერესის სიღრმისეულად შესწავლის წახალისება;
- სხვა ნიჭიერ მოსწავლეებთან, უფროსებთან მუშაობისა და ურთიერთობის შესაძლებლობა;
- სიღრმისეული კულტურული გამოცდილების ფართო არჩევანი მუზეუმებში, არქივებში და ა.შ.
- სხვების დახმარების შესაძლებლობა (მაგ., როგორც მოხალისე მკითხველი უსინათლოებისთვის, მოხალისე მასწავლებლები დაბალი კლასების მოსწავლეებისთვის);
- მათი ნიჭის ადექვატური აღიარება და მიღება;
- საკუთარი შესაძლებლობების გაცნობიერება (ბევრმა ნიჭიერმა ადამიანმა არასოდეს იცოდა, რომ რაღაც უჩვეულო ხდება მის თავს, სანამ ვიღაც არ დაეხმარა საკუთარი შესაძლებლობების აღმოჩენაში.)

ძირითადი რეკომენდაცია, რომელიც ამ მიმართულებით სკოლებისა და საგანმანათლებლო სისტემებისთვის არსებობს, შემდეგია:

- გამოიყენონ შესაბამისი პროტოკოლები ბავშვების განსაკუთრებული უნარების/ნიჭის საიდენტიფიკაციოდ და პროგრამირების/მიდგომების მოდელები, რომლებიც ავითარებენ ბავშვის პოტენციალს, რათა გამოავლინონ ნიჭიერი მოსწავლეები ყველა შესაძლო და ისტორიულად ნაკლებად თვალსაჩინო სოციალურ ჯგუფებში (მაგ.: სოციალურად დაუცველი, ეთნიკური უმცირესობის

წარმომადგენელი, შეზღუდული შესაძლებლობის/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და სხვ.).

- ⇨ უზრუნველყონ წვდომა კომპლექსურ/მრავალფეროვან სწავლის შესაძლებლობებზე ყველა მოსწავლისთვის, განსაკუთრებით მათთვის, ვინც უფრო მეტად შეუმჩნეველი იქნება, რათა აღმოცენებული ნიჭები იყოს აღიარებული და მაქსიმალურად წახალისებული.
- ⇨ მოახდინონ „ორმაგად განსაკუთრებული“ მოსწავლეების ნიჭის და ამავდროულად, შეზღუდული შესაძლებლობის/სპეციალური საჭიროების სფეროების ზუსტი იდენტიფიკაცია და გამოიყენონ ძლიერ მხარეებზე დაფუძნებული, ნიჭზე ორიენტირებული მიდგომა კლასში და მის გარეთ.
- ⇨ უზრუნველყონ მასწავლებლებისა და მშობლების განათლება ნიჭიერი მოსწავლეების სოციალურ-ემოციური განვითარების ხელშეწყობის სტრატეგიების შესახებ.
- ⇨ შეიმუშავონ მრავალფეროვანი ნიჭიერი საგანმანათლებლო სერვისები ნიჭის მქონე სტუდენტების მრავალმხრივი და ცვალებადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ნიჭიერი მოსწავლეები

ზოგიერთ ნიჭიერ მოსწავლეს შეიძლება ჰქონდეს შეზღუდული შესაძლებლობა, მენტალური დარღვევის ან განვითარების დარღვევის დიაგნოზი ერთ ან რამდენიმე სფეროში. ასეთ შემთხვევაში, ბავშვი ორმაგად „განსაკუთრებულია“. მაგალითად, მოსწავლის მხედველობის, სმენის ან გადაადგილების/მოტორიკის შეზღუდული უნარი ან თუნდაც სწავლის უნარის დაქვეითება/დასწავლის სირთულეები, არ გამორიცხავს განსაკუთრებული ნიჭის არსებობას. თუმცა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები წარმოადგენენ რისკ ჯგუფს, რომ მათი განსაკუთრებული უნარები და ნიჭი დარჩეს შეუმჩნეველი (Hua & Coleman, 2002).

ერთ-ერთი მდგომარეობა, რომელშიც შეიძლება შერეული იყოს ნიჭიერება სხვა ტიპის საჭიროებასთან, არის აუტიზმი. აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვების გარკვეულ ნაწილს შესაძლოა, საკმაოდ მაღალი ინტელექტი და განსაკუთრებული ნიჭი ჰქონდეს (Attwood, 1998). ბავშვი შეიძლება ფლობდეს ენციკლოპედიურ ცოდნას, მაგრამ ჰქონდეს სირთულეები სოციალურ ურთიერთობებში. ასეთ ბავშვებს სჭირდებათ სპეციალური ხელშეწყობა სოციალურ ადაპტაციაში, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად მოწინავეები არიან აკადემიურად.

არსებობს მითი, რომ აუტისტი ბავშვები ყოველთვის განსაკუთრებით ნიჭიერებიც არიან. თუმცა კვლევები ადასტურებს, რომ აუტისტი ადამიანების დაახლოებით 70%-ს აქვს შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობები, რაც ნიშნავს, რომ მათ აქვთ IQ

70-ზე დაბალი. დანარჩენ 30%-ს აქვს ინტელექტი, რომელიც მერყეობს საშუალოდან ნიჭიერებამდე[7].

აუცილებელია, გვახსოვდეს, რომ აუტიზმი და ინტელექტი ორი განსხვავებული მახასიათებელია. ნებისმიერი დონის ინტელექტის მქონე ადამიანი შეიძლება იყოს აუტისტი. მაგრამ, ხშირად, თუ ბავშვი ნიჭიერი და ამავე დროს აუტისტია, ნიჭს აუტიზმს მიაწერენ ხოლმე.

თუმცა, ნიჭიერებასა და აუტიზმს აქვს გარკვეული მსგავსი თვისებები, როგორებიცაა მაგ. ინტელექტუალური აღგზნებადობა და სენსორული თავისებურებები. საინტერესოა, რომ ნიჭიერებაც და აუტიზმიც შესაძლებელია სხვა მსგავსი თვისებებით ხასიათდებოდნენ, მაგ:

- ✓ იდეალიზმი
- ✓ ერთ კონკრეტულ თემაზე ინტენსიური ფოკუსირება
- ✓ სწავლის მაღალი მოტივაცია
- ✓ სენსორული თავისებურებები
- ✓ მდიდარი ფანტაზია
- ✓ მოუსვენრობა
- ✓ ემოციური რეგულაციის დარღვევები
- ✓ ლოგიკური და ზუსტი აზროვნება
- ✓ განსხვავებული/უცნაური აზროვნება

ზოგიერთ ბავშვს სრულად ახასიათებს ზემოთ აღწერილი თვისებები, რადგან ისინი ნიჭიერებიც არიან და აუტისტებიც. თუ მოსწავლე არ ლაპარაკობს და თავს არიდებს თვალის კონტაქტს და შეხებას, მაგრამ შეუძლია ფორტეპიანოს კონცერტების დაკვრა მხოლოდ ერთხელ მოსმენის შემდეგ, ადვილია აუტიზმისა და ნიჭიერების თანაარსებობაზე საუბარი, თუმცა მსგავსი განსაკუთრებული ნიჭი საკმაოდ იშვიათად გვხვდება. უმეტეს შემთხვევაში მასწავლებლები და მშობლები აღნიშნავენ, რომ ბავშვს აქვს შთამბეჭდავი, დეტალური ცოდნა საგნებსა და მოვლენებზე, რომლებიც მათი ვიწრო (ფოკუსირებული) ინტერესის ობიექტია.

მშობლები, მასწავლებლები და განათლების პოლიტიკის შემქმნელებიც კი, ხშირად ფიქრობენ, რომ ყველა განსაკუთრებულად ნიჭიერი ბავშვი, რომელსაც სავარაუდოდ ძალიან გაუმართლა, აუცილებლად წარმატებული იქნება სკოლაში, ისიამოვნებს ურთიერთობებით, ისწავლის ძალისხმევის გარეშე, მიაღწევს აკადემიურ წარმატებას და ემოციურადაც ჰარმონიულად განვითარდება. სამწუხაროდ, ხშირად შეცდომით ვარაუდობენ, რომ მაღალი ინტელექტუალური შესაძლებლობები და განსაკუთრებული ნიჭი იცავს ბავშვებს და ისინი არ აწყდებიან იმ სირთულეებსა და გამოწვევებს,

[7] Handbook of Autism and Pervasive Developmental Disorders, by Fred R. Volkmar 3rd edition (April 29, 2005)

რომლებსაც დანარჩენი, ტიპური განვითარების მქონე ბავშვები. ასეთივე მცდარია ვარაუდი, რომ ნიჭიერი ბავშვები საბოლოოდ წარმატებულები იქნებიან ცხოვრებაში, მიუხედავად იმისა, თუ რას განიცდიდნენ სკოლაში სწავლის დროს.

რეალობა კი საპირისპიროს ამტკიცებს, სამწუხაროდ, ყველა ნიჭიერი ბავშვი როდია წარმატებული. ბევრი განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვი ვერ აღწევს მაღალ შეფასებას, ვერ ამართლებს ნიჭიერების სტერეოტიპებს და ხშირად ეწინააღმდეგება კიდეც მათ. **ზოგიერთი ძალიან ნიჭიერი ბავშვი ყოველდღიურად ჩუმად ებრძვის ამოუცნობ, არაიდენტიფიცირებულ შეზღუდულ შესაძლებლობას, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მის სწავლაზე, აკადემიურ წარმატებებსა და ზოგად კეთილდღეობაზე.** ზოგი ნელა და მტკივნეულად კითხულობს, ვერ გეგმავს და ანაწილებს დროს ან უჭირს აზრების წერილობით გადმოცემა. ინტელექტუალური (გონებრივი) ნიჭიერება ზოგჯერ შეიძლება შეიზღუდოს ან კომპრომეტირებული იყოს მოულოდნელი გამოწვევებით, როგორიცაა მაგ. კითხვის სირთულე, რამაც ტრადიციულ საგანმანათლებლო გარემოში შეიძლება გამოიწვიოს დისონანსი და შედეგად, მოჰყვეს ბავშვის აკადემიური წარუმატებლობა და ემოციურ დისტრესი.

შეზღუდული შესაძლებლობის და ნიჭიერების მრავალი კომბინაცია შეიძლება არსებობდეს.

ვინ არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ნიჭიერი მოსწავლეები?

მაღალი ინტელექტუალური შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებს, რომლებსაც ასევე აქვთ ერთი ან მეტი შეზღუდული შესაძლებლობა - „ნიჭიერი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეები“ (ნშშმ) ან ორმაგად განსაკუთრებული მოსწავლეები ეწოდებათ.

ტერმინი ნშშმ მოიცავს იმ ინტელექტუალურად ნიჭიერ ბავშვებს, რომლებსაც აქვთ ერთი ან მეტი შეზღუდული შესალებლობა, რომელთაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მოსწავლის სწავლასა და/ ან აკადემიურ მოსწრებაზე, მათ შორის:

- სპეციფიკური სწავლის დარღვევა, როგორიცაა კითხვის დარღვევა (დისლექსია), წერილობით აზრის გადმოცემის დარღვევა (ზოგჯერ შეცდომით უწოდებენ დისგრაფიას) ან მათემატიკური უნარის დარღვევა (დისკალკულია);
- კომუნიკაციის დარღვევები;
- უყურადღებობა - ჰიპერაქტივობის სინდრომი (ADHD), განსაკუთრებით მისი უპირატესად უყურადღებო პრეზენტაცია (PIP), ჰიპერაქტიურობის, იმპულსურობის, დაუმორჩილებლობის ან დარღვევის ხილული სიმპტომების გარეშე;

- აუტიზმი, განსაკუთრებით ეგრეთ წოდებული "მაღალი ფუნქციონირების" აუტიზმი;
- მოტორული დარღვევები, როგორიცაა კოორდინაციის უნარის დარღვევა, რაც თავისთავად გავლენას ახდენს წერის უნარზე ;
- სენსორული დარღვევები (სმენის, მხედველობის);
- ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობები, როგორიცაა დეპრესია და შფოთვითი აშლილობა.

არცერთი ზემოთ ჩამოთვლილი მდგომარეობა არ არის დაკავშირებული ინტელექტთან. როგორც უკვე აღინიშნა, ნიჭიერება არ გამორიცხავს შეზღუდული შესაძლებლობების არსებობას - და პირიქით. მაღალი ინტელექტის კოეფიციენტი არაფრისგან იცავს ბავშვებს. **ინტელექტის დაბალი მაჩვენებელი, ერთადერთი შეზღუდული შესაძლებლობაა, რომელიც ლოგიკურად არ შეიძლება თან ახლდეს ინტელექტუალურ ნიჭიერებას**, თუმცა, მხოლოდ ინტელექტუალური ნიჭიერება ვერ იცავს ბავშვს ნებისმიერი სხვა შეზღუდული შესაძლებლობისგან, რომელიც ინტელექტუალურ შსაძლებლობებს არ გულისხმობს.

ამრიგად, ნშშმ მოსწავლეებში გვხვდება მაღალი კოგნიტური უნარები და თანდაყოლილი შეზღუდული შესაძლებლობის ფორმები. შესაბამისად, ნშშმ მოსწავლე არის ის, ვინც ინტელექტუალურად არის დაჯილდოვებული და ამავდროულად მის თავს „რაღაც ხდება“, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მის აკადემიურ მიღწევებს და/ან სოციალურ-ემოციურ კეთილდღეობას.

ნიჭიერი ბავშვების შემთხვევაში, შეზღუდული შესაძლებლობები ძალიან მრავალგფეროვანია. ისინი შეიძლება იყოს თვალსაჩინო/ხილული ან არა თვალსაჩინო/უხილავი. ზოგჯერ, ნშშმ ბავშვს აღწერენ, როგორც „ნიჭიერს სწავლის უნარის დარღვევით, თუმცა ზოგიერთ ნშშმ ბავშვს საერთოდ არ აქვს "სწავლის უნარის დარღვევა" და მხოლოდ გამოხატვის/გადმოცემის სირთულეს განიცდის. ერთმა ასეთმა მოსწავლემ, მულტიდისციპლინური გუნდის წევრს უთხრა: „არა, ვერ იტყვი, რომ სწავლის უნარი არ მაქვს. არ მიჭირს ახლის პირველად დასწავლა. არ მიჭირს გავიხსენო რაც ვისწავლე. რაც მე მახასითებს არის ის რომ, გამოცდაზე, ხშირად გაკვეთილზე იმის დამტკიცება მიჭირს, რომ ეს ნამდვილად ვისწავლე“. მსგავსი, გამოხატვის/გადმოცემის სირთულე, შეიძლება გამოწვეული იყოს მრავალი სხვადასხვა შეზღუდვით - უყურადღებობა-ჰიპერაქტივობის სინდრომი, წერის დარღვევა ან ინფორმაციის გადმოცემის/დამუშავების ნელი ტემპი.

ამჟამად ჩვენ არ ვიცით ინტელექტუალურად ნიჭიერი შეზრუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების რაოდენებო ან მათი პროცენტული მაჩვენებლი შეზღუდული შესაძლობლობის მქონე მოსწავლეებში. ზუსტი რიცხვის დადგენა ძალიან რთულია

რადგან უმეტეს შემთხვევაში ინტელექტუალურად ნიჭიერი ბავშვები თავად ებრძვიან არაიდენტიფიცირებულ შეზღუდულ შესაძლებლობებს.

რა ახასიათებთ ნიჭიერ შშმ მოსწავლეებს?

- ნიჭიერ შშმ მოსწავლეებს შეუძლიათ კომპლექსური ურთიერმიმართებების იდენტიფიცირება და გაგება, პრობლემის გადაჭრის დახვეწილი სტრატეგიების გამოყენება, ახალი იდეების გენერირება და ანალიზი.
- მათ შეიძლება ჰქონდეთ სრულიად განსაკუთრებული ვერბალური გამოხატვის უნარი, მოულოდნელად დახვეწილი ლექსიკა (რამაც შეიძლება შთაბეჭდილება მოახდინოს მასწავლებლებზე, მაგრამ ასევე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მსგავსი ასაკის, ტიპურ თანატოლებთან კომუნიკაციაზე).
- მათ ასევე შეუძლიათ ერთი შეხედვით მარტივი მოვლენის პოტენციური შედეგების საფუძვლიანი და მასშტაბური გააზრება.
- სხვა ტიპიური ნიჭიერების მახასიათებლები შეიძლება მოიცავდეს: აქტიურ წარმოსახვას, საოცრად მომწიფებულ ინტერესებს ან მოსაზრებებს, ფართო ზოგად ცოდნას და აღფრთოვანებას რთულ, აბსტრაქტულ პრობლემებთან შეხებისას.
- როგორც წესი, ნიჭიერი შშმ ბავშვები ერთი მხრივ, წინ უსწრებენ საკუთარ ასაკობრივ განვითარებას და მეორე მხრივ, ჩამორჩებიან მას.

შესაბამისად, ნშშმ ბავშვები შეიძლება იყვნენ ინტელექტუალურად გასაოცარი შესაძლებლობების, თუმცა, ამავე დროს, კითხვაში, მართლწერაში, წერილობით აზრის გადმოცემაში, კალმის ჭერაში, სიტყვის დამახსოვრებაში, საბაზისო გამოთვლაში და სხვა ვითომდა მარტივი და ძირითადი აკადემიური ამოცანების (განსაკუთრები ტესტები) ამოხსნაში, ძალიან წარუმატებელნი. ასევე ყოველდღიურ ცხოვრებაშიც, მაგ. ფეხსაცმლის თასმების შეკვრა, შეიძლება ზედმეტად რთული და გადაულახავი მოთხოვნა აღმოჩნდეს ნშშმ ბავშვისთვის.

ნიჭიერ შშმ ბავშვებს ხშირად ახასიათებთ დროის მართვის, თანმიმდევრული ყურადღების და ორგანიზებულობის პრობლემები. ისინი შესაძლოა ცუდად მუშაობდნენ ზეწოლის ქვეშ, ან ბუნდოვან, „აბდაუბდა“ შთაბეჭდილებას ტოვებდნენ. მათ შეიძლება გაუჭირდეთ მარტივი ნაბიჯ-ნაბიჯ ინსტრუქციების შესრულება, ან ჰქონდეთ მუდმივი პრობლემები სოციალურ კომუნიკაციასა და თანატოლებთან ურთიერთობაში.

ნშშმ ბავშვებმა შეიძლება ზოგჯერ საოცრად მაღალ შედეგებს მიაღწიონ აკადემიურ შეჯიბრებებში სკოლის გარეთ, მაგ. ოლიმპიადებზე, მაგრამ იღებდნენ საშუალო შედეგებს სკოლის ყოველდღიურ შეფასებებსა და ტესტებში. ასევე, ნშშმ მოსწავლეები შეიძლება გამოირჩეოდნენ ტესტებში, მაგრამ გაუჭირდეთ პასუხები ცარიელ გვერდზე -

ან პირიქით. მათი უნიკალური შესაძლებლობები ზოგჯერ შეიძლება არ იყოს შემჩნეული, რადგან მათ შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ, რომელნიც არაიდენტიფიცირებულია.

როგორც წესი, ნშშმ მოსწავლეების აკადემიური მოსწრება და ნიშნები არ ასახავს მათ განსაკუთრებულ ინტელექტუალურ ნიჭს და ამ შეუსაბამობამ შეიძლება გრძელვადიანი გავლენა მოახდინოს მათ თვითშეფასებაზე და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.

როგორ ამოვიცნოთ ნშშმ მოსწავლეები?

ნშშმ მოსწავლეების იდენტიფიცირება ხშირად რთულია. შესაძლოა, იმის გამოც, რომ ისინი, როგორც წესი, არ ერგებიან არც მხოლოდ ნიჭიერი ბავშვის და არც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის სტერეოტიპს. ბევრი ნშშმ ბავშვის განსაკუთრებული ინტელექტუალური ნიჭი რჩება არ აღიარებული ან ოფიციალურად არ არის იდენტიფიცირებული, როგორც ნიჭიერი შშმ მოსწავლე. თუმცა, ნიჭიერი შშმ მოსწავლეები ხშირად საგრძნობლად განსხვავდებიან თავიანთი ტიპური თანატოლებისგან, როგორც ნიჭით (ინტელექტის მაღალი კოეფიციენტით) ასევე თანმხლები შეზღუდული შესაძლებლობებით და ნამვილად, „ორმაგად განსაკუთრებულები“ არიან.

ნშშმ ბავშვის ყველაზე გავრცელებული და მნიშვნელოვანი მახასიათებელია არათანაბარი ან არათანმიმდევრული აკადემიური მოსწრება, რომელიც აუხსნელი და არაპროგნოზირებადია.
ამიტომ, უკიდურესად მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა ყურადღება მიაქციოს მოსწავლის მუდმივ არათანაბარ და უჩვეულო აკადემიურ საქმიანობას, როგორიცაა მაგალითად, აკადემიური მოსწრების შეუსაბამობა სხვადასხვა დისციპლინაში, ზეპირად ახსნის შესანიშნავი უნარი ან საგნის არაჩვეულებრივი ცოდნა, რასაც თან ახლავს უხალისობა წაკითხვის ან წერილობითი დავალების შესრულებისას.
მოსწავლის მხრიდან მსგავსი ქცევის დემონსტრირებისას აუცილებელია, ბავშვის ზეპირი კითხვის უნარის შეფასება, მათ შორის დეკოდირების, წაკითხულის გააზრებისა და მართლწერის უნარების ტესტირება, ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებისთვის. ასეთი შეუსაბამობა შეიძლება მათემატიკაშიც შეგვხდეს, მაგალითად, ბავშვს შეუძლია გადაჭრას რთული აბსტრაქტული რაოდენობრივი ამოცანები, მაგრამ გაუჭირდეს ძირითადი რიცხვების ფაქტების/მათემატიკური ცხრილების დამახსოვრება.

როგორც წესი, ნშშმ მოსწავლის ადრეულ ეტაპზე იდენტიფიკაციის სირთულე გამომდინარეობს იქიდან, რომ მათმა ძლიერმა შემეცნებითმა უნარმა შეიძლება დაჩრდილოს ან კომპენსირება გაუკეთოს მათსავე შეზღუდულ შესაძლებლობას, ხოლო თავის მხრივ, შეზღუდულმა შესაძლებლობამ შეიძლება შენიღბოს ან გადაფაროს მათი

მაღალი ინტელექტი. შესაბამისად, მოსწავლის ერთი ან რამდენიმე მახასიათებელი შენიღბულია, დაჩრდილული ან გაზვიადებულია მეორის მიერ და შესაბამისად მოსწავლე ვერც რეგულარულ მაღალ აკადემიურ მოსწრებას ავლენს და ვერც შეზღუდული შესაძლებლობის იდენტიფიცირება ხერხდება.
მსგავს შემთხვევაში, ნიჭიერი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლე შეუმჩნეველი ხდება და მისი სასკოლო მიღწევები შეიძლება ბევრად ჩამორჩებოდეს იმას, რასაც ნიჭიერი ბავშვისგან უნდა ველოდეთ. ნშშმ მოსწავლეებს სკოლაში შესაძლოა „საშუალო“ მოსწრება ჰქონდეთ და, ვინაიდან, „საშუალო“ ზოგადად მიჩნეულია ნორმად, ასეთი ბავშვები ნაკლებად იქცევენ ყურადღებას. ცოტას თუ აღმოუჩენია და შეუნიშნავს გარეგნულად საშუალო და სინამდვილეში, განსაკუთრებულად ნიჭიერი მოსწავლე.

ხშირად ნშშმ მოსწავლე ყურადღების ცენტრში პირველად რთული ქცევის გამო ექცევა. ეს უკანასკნელი, როგორც წესი, იმედგაცრუებისგან და/ან უხერხულობისგან ჩნდება, როდესაც ბავშვები ადვილად აღწევენ წარმატებას რთული და კომპლექსური დავალებების შესრულებისას, მაგრამ მოულოდნელად ვერ ასრულებენ მარტივ სასკოლო დავალებებს, რომლებიც სხვებს ძალიან უადვილდებათ. ექვსი წლის ნიკოს მაგალითი ნათლად ასახავს მსგავს შემთხვევას.

ნიკო, განსაკუთრებულად ნიჭიერი და იმავდროულად, უყურადღებო - ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე მოსწავლეა, რომელიც პირველ კლასში სიხარულით წავიდა. სკოლაში სწავლების მეთოდები რუტინული, მიდგომა არა დიფერენცირებული და ყოველგვარი ინტელექტუალური გამოწვევის გარეშე აღმოჩნდა. ნიკოს სწავლა სწრაფად მობეზრდა და გართობის სხვა ფორმებს ეძებდა. ნიკოს გართობა და კლოუნადა აღიზიანებდა როგორც მასწავლებელს, ასევე სხვა მოსწავლეებსაც. დროთა განმავლობაში, ნიკომ ქცევის პრობლემის მქონე მოსწავლის რეპუტაცია დაიმსახურა, რამაც საბოლოოდ ნიკოს გარიყულობა და დაბალი თვითშეფასება განაპირობა.

ზოგიერთ შემთხვევაში, ბავშვის ინტელექტუალური ნიჭიერება შეიძლება აშკარა გახდეს, მაგრამ შეზღუდული შესაძლებლობები არა, ან პირიქით, შეზღუდული შესაძლებლობები შეიძლება აშკარად შესამჩნევი იყოს, ხოლო ნიჭიერება შეუმჩნეველი დარჩეს. თუ რთული ქცევა არ გახდება პრობლემა, წყნარი, მოწესრიგებული ქცევის, ზრდილობიანი ნშშმ ბავშვი შეიძლება ვერავინ შეამჩნიოს სკოლაში სწავლის მთელი პერიოდოს განმავლობაში და შესაბამისად, მისი ნიჭიც და შეზღუდული შესაძლებლობებიც არაიდენტიფიცირებული დარჩება.

ნშშმ მოსწავლეები და სასკოლო გარემო

როდესაც ნშშმ მოსწავლეები სკოლაში სწავლას იწყებენ, აკადემიური მოთხოვნები მათ მიმართ იზრდება სირთულისა და მოცულობის მიხედვით. სასკოლო განათლება მოითხოვს უფრო მეტ მუდმივ ყურადღებას, ძალისხმევას და დამოუკიდებელ პროდუქტულობას. რა თქმა უნდა, სკოლამდელი ასაკის ყველა ბავშვს ელოდება მზარდი ორგანიზაციული და დროის მენეჯმენტის გამოწვევები სკოლაში, რომლებიც ახალი და რთული გრაფიკიდან, სხვადასხვა მასწავლებლისა და საკლასო ოთახების სიმრავლისგან, მრავალი სახელმძღვანელოდან გამომდინარეობს, თუმცა, ნშშმ ბავშვებისთვის ეს გამოწვევები შეიძლება სრულიად გადაულახავი აღმოჩნდეს და ისინი მათ ვერ გაუმკლავდნენ. როდესაც ნშშმ მოსწავლეები ვერ უმკლავდებიან ერთი შეხედვით მარტივ დავალებებს, მათ ხშირად შემდეგი სახელებით შერაცხავენ ხოლმე: "ზარმაცი", "გულმავიწყი", "უყურადღებო", "დაუდევარი" ან უკიდურეს შემთხვევაში, "ცუდი".

სინამდვილეში ნშშმ ბავშვებს შეიძლება მუდმივად უჭირდეთ როგორც საკუთარი მაღალი ინტელექტუალური პოტენციალის, ისევე საკუთარი ნიჭიერების და განსაკუთრებულობის აღქმა და გაგება. მათ შეიძლება შეიტანონ ეჭვი საკუთარ შესაძლებლობებში და სულ უფრო მეტად იმედგაცრუებულნი და დაკარგულნი აღმოჩნდნენ, რადგან კომპენსაციის სტრატეგიები, რომლებიც მათ გაუცნობიერებლად ჰქონდათ შემუშავებული პატარობისას, აღარ მუშაობს. ბავშვის მაღალი ინტელექტი ვეღარ ახერხებს შეზღუდული შესაძლებლობების შენიღბვას ან კომპენსირებას და წარმატებები სკოლაში სტაბილურად იკლებს, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვს სჯერა, რომ ის მნიშვნელოვან ძალისხმევას დებს დავალების შესრულებაში. სწავლის დაწყებით საფეხურზე ბავშვს შეიძლება სერიოზულად აწუხებდეს, რომ მთელი მისი ცხოვრება თავდაყირა დადგა.

მასწავლებლები და მშობლები კი ბავშვზე მეტად იბნევიან როდესაც ბავშვი ვერ აღწევს მოსალოდნელ შედეგებს სასკოლო დავალებების გართულებისას. მასწავლებელს შეიძლება უკვირდეს, თუ რატომ არ შეუძლია ერთი შეხედვით ნიჭიერ და ჭკვიან ბავშვს, რომელიც მათემატიკაში უმაღლესს შეფასებას იმსახურებს, გაკვეთილზე მშვიდად იჯდეს, იპოვოს საშინაო დავალება ან დაამყაროს და შეინარჩუნოს ურთიერთობა თანატოლებთან.

მოსწავლის განვითარებასთან დაკავშირებულმა სირთულეებმა და შეზღუდულმა შესაძლებლობებმა, შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ბავშვის განსაკუთრებული ნიჭის აღმოჩენა/დანახვაზე და შესაბამისად არსებული ნიჭის შემდგომი განვითარების შესაძლებლობაზე. როგორც ზემოთ ითქვა, „ორმაგად განსაკუთრებული“ მოსწავლეების შეზღუდული შესაძლებლობა/განვითარების შეფერხება, ხშირად გავლენას ახდენს მათ

აკადემიურ მოსწრებაზე, რაც არ ასახავს ნშშმ მოსწავლეების რეალურ შესაძლებლობებსა და პოტენციალს.

შესაბამისად, ნიჭიერი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისთვის განათლების ოპტიმალური პირობების უზრუნველყოფისა და განათლების სტრატეგიების შერჩევისთვის, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, როგორც ნიჭის, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის ადრეული იდენტიფიკაცია. ნშშმ მოსწავლეების ნიჭისა და შეზღუდული შესაძლებლობის ტიპიდან გამომდინარე, მათი ფსიქოლოგიური და აკადემიური კეთილდღობის ხელიშემწყობი მრავალი სტრატეგია და ტექნიკა არსებობს, თუმცა მრავალი კვლევა ადასტურებს, რომ მათგან ყველაზე ეფექტიანი როგორც საკლასო ოთახში, ისე მის ფარგლებს გარეთ - მოსწავლის ყველაზე ძლიერ მხარეზე, ნიჭზე ორიენტირებული სტრატეგიებია. განსაკუთრებული ნიჭი და შეზღუდული შესაძლებლობები საკმაოდ რთული გამოწვევაა ნშშმ მოსწავლეებისთვის და შესაბამისად, სტაბილურ მხარდაჭერას მოითხოვს როგორც სკოლაში მასწავლებლებისა და თანატოლებისგან, ასევე სახლში, ოჯახის წევრებისა და მეგობრებისგან.

უფრო კონკრეტულად კი ორმაგად განსაკუთრებულ, ნიჭირ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებს კვლევების თანახმად[8], სჭირდებათ:

- კონსტრუქტივისტული მიდგომა სწავლა-სწავლების მიმართ; ინფორმაციის მიღების და დამუშავების ალტერნატიული შესაძლებლობები;
- რთული და საინტერესო სასწავლო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში აქტიური მონაწილეობას და განკუთვნილია ნიჭიერებისთვის;
- ისეთი სასწავლო გარემო, რომელიც უზრუნველყოფს თანატოლებთან საუბრისა და თანამშრომლობის შესაძლებლობას. თანამშმრომლობა და იდეების გაცვლა, ყველა მოსწავლეს ერთნაირად სჭირდება. თუ ჩვენ სასწავლო პროცესს შესაბამისად დავგეგმავთ, ნშშმ და ტიპური განვითარების მოსწავლეების სასკოლო გამოცდილება და მიღწევები ბევრად გაუმჯობესდება;
- ყველა საგანში მეტი შესაძლებლობა შემოქმედებითობისა და ავტონომიური სწავლისთვის;
- თვითორგანიზებულობის, კვლევისა და საკუთარი წარუმატებლობის ანალიზის სწავლება;

[8] Teaching Gifted Children with Special Educational Needs by Diane Montgomery 2015

- დიდაქტიკური მეთოდებიდან - პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სწავლების სტრატეგიებზე გადასვლა;
- სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების ადრეული იდენტიფიკაცია როგორც დაწყებით, ასევე მომდევნო საფეხურებზე, რათა დაიგეგმოს შესაბამისი ჩარევა და თავიდან იქნეს აცილებული „ფარული“ სირთულეები და თანმდევი არასრულფასოვნების განცდა;
- საკლასო ოთახებში სტრუქტურა, წესრიგი და შეთანხმებული რუტინა. სკოლაში ქცევისა და დისციპლინის პოლიტიკა უნდა იყოს კონსტრუქციული და მხარდამჭერი, განხორციელდეს ყველა პერსონალის მიერ თანმიმდევრულად და სამართლიანად.
- ფორმალური და არაფორმალური უკუკავშირი, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს შეინარჩუნოს ან/და გააუმჯობესოს სასწავლო პროცესი.

სასკოლო გარემო აკმაყოფილებს ნიჭიერი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების განათლების პირობებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

- სკოლის ადმინისტრაცია და მასწავლებლები აღიარებენ ნშშმ მოსწავლეების არსებობას მათ სკოლაში და სჯერათ, რომ შეუძლიათ განსაკუთრებული მოსწავლეების გამოვლენა და მათთვის სწავლა-სწავლების საუკეთესიო პირობების შექმნა;
- სკოლას ჰყავს მასწავლებლები, რომელთაც არ ეშინიათ სიაახლეების და მზად არიან ახალი სასწავლო მიდგომების სწავლისა და დანერგვისთვის;
- სკოლა ყოველწლიურად ბიუჯეტში ითვალისწინებს ნშშმ მოსწავლეების და მასწავლებლების საჭიროებებს, პროგრამების აქსელერაციისთვის, დამოუკიდებელი მუშაობისთვის და პროექტებისთვის;
- სკოლაში არის ფიზიკური სივრცე, სადაც ნიჭიერი მოსწავლეები შეძლებენ შეკრებას დისკუსიითვის, კვლევის ან პროექტის დასაგეგმად;
- სკოლაში არის კეთილმოწყობილი რესურს ოთახი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის, სადაც შესაძლებელი იქნება მოსწავლის სპეციფიური საჭიროებების დაძლევაზე მუშაობა სპეციალურ მასწავლებელთან ერთად.
- თითოეულ ნშშმ მოსწავლეს ჰყავს საკუთარი „მენტორი“ - ნებისმიერი საგნის მასწავლებელი, რომელიც კარგად იცნობს ბავშვს, იცის მისი განსაკუთრებული საჭიროებები და მართავს მის საგანმანათლებლო პროცესს.

საკლასო ოთახებში სადაც ნიჭიერი და/ან ნიჭიერი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებიც სწავლობენ მაქსიმალურად უნდა მოვერიდოთ:

- კარნახით წერას, დაფიდან გადაწერას, კლასში ხმამაღლა კითხვის იძულებას;
- ხანგრძლივ წერილობით დავალებებს სპეციალური დახმარების ან დამხმარე ტექნოლოგიის გარეშე;
- მოსწავლის მხრიდან ემოციური რეაქციების გამოხატვის მკაცრ შეზღუდვებს;
- საგნის ფარგლებში მოსწავლეთა შორის დისკუსიის აკრძალვას გაკვეთილის დროს;
- მოსწავლის საჭიროებების იგნორირებას;

მეორე ნაწილი

ნიჭიერი ბავშვების განათლების მხარდამჭერი
მიდგომები და სტრატეგიები

ნიჭიერი ბავშვების საგანმანათლებლო მხარდაჭერა

ერთი მითი, რომელიც ნიჭიერი ბავშვების შესახებ არსებობს ისაა, რომ „მათთვის ყველაფერი მარტივია“, მარტივად სწავლობენ. ხშირად, ნიჭიერი ბაშვები ასრულებენ საშინაო დავალებას სკოლაშივე, სანამ სხვა მოსწავლეები ჯერ კიდევ მიცემულ დავალებას ეცნობიან და მის გაგებას ცდილობენ. ამრიგად, ხშირად ნიჭიერი მოსწავლეები სკოლის მოთხოვნებს საკმაოდ მარტივად უმკლავდებიან. სინამდვილეში, ვითარება ოდნავ განსხვავებულია იმ ნიჭიერი მოსწავლეებისთვის, რომლებსაც სრულად უნდათ თავიანთი ნიჭის განვითარება. ნიჭის განვითარებას გაზრდილი და საკმაოდ დიდი დრო სჭირდება. ნობელის ლაურეატ ჰერბერტ სიმონის თქმით, ათ და მეტ წლიან ინტენსიურ მუშაობას/პრაქტიკას მოითხოვს, რომ ადამიანი ერთ კონკრეტულ სფეროში გახდეს ექსპერტი. სფეროში არსებული კვლევების თანახმად, მათემატიკასა და მეცნიერებაში განსაკუთრებული ნიჭის მქონე მოსწავლეები კვირაში 55-60 საათს შრომობენ და მსგავსი შრომის გაგრძელებას ფიქრობენ მთელი ცხოვრების მანძილზე (Lubinski & Benbow, 2006).

არ აქვს მნიშვნელობა, თუ რომელ სფეროში აქვს ბავშვს ნიჭი, მრავალსაათიანი მუშაობა და ვარჯიშია საჭირო, რომ ეს ბაზისური ნიჭი ტრანსფორმირდეს მაღალი დონის შესრულებაში. სწორედ ამიტომ თანმიმდევრულობა და დაჟინებული მუშაობა განიხილება ნიჭიერი ადამიანების მაღალი შესრულებისთვის/მიღწევებისთვის აუცილებელ მახასიათებლად.

როდესაც ნიჭიერი ბავშვების მხარდაჭერის საკითხი დგება, რამდენიმე ძირითადი კითხვა იჩენს თავს:

- სად, რომელ გარემოში უნდა მოხდეს ნიჭიერი ბავშვებისთვის სათანადო საგანმანათლებლო ადაპტაციების უზრუნველყოფა?
- რა შინაარსობრივი ცვლილებებია აუცილებელი სკოლის სასწავლო გეგმაში?
- როგორ უნდა მოხდეს სწავლა-სწავლების პროცესის ადაპტირება?
- როგორ არის შესაძლებელი ტექნოლოგიების გამოყენებით ნიჭიერი ბავშვების უნარების გაძლიერება?
- როგორ გავუწიოთ მხარდაჭერა დაბალი მიღწევების მქონე ნიჭიერ მოსწავლეებს და გავითვალისწინოთ კულტურული განსხვავებულობა?
- როგორ შევუწყოთ ხელი ნიჭიერი ბავშვების სოციალურ განვითარებას და ემოციურ კეთილდღეობას?

აღსანიშნავია, რომ ნიჭიერი ბავშვების ნებისმიერი ნიშნის მიხედვით დაჯგუფება, რომელიც განსხვავებულია ჩვეულებრივი საგანმანათლებლო მოწყობისგან, კლასისგან,

განსაკუთრებულ გამოწვევას შეიძლება წარმოადგენდეს სკოლის ადმინისტრაციისა და მთლიანად განათლების სისტემისთვის.

ინტერვენციაზე რეაგირების მოდელი
Response on Intervention Model (RTI)

ნიჭიერი ბავშვების განათლების მხარდაჭერასთან დაკავშირებული მიდგომების/მომსახურებების განსაზღვრის მიზნით, შეგვიძლია გამოვიყენოთ ინტერვენციაზე რეაგირების მოდელი (Response on Intervention Model, RTI), რომელიც მოსწავლეების საგანმანათლებლო საჭიროებებზე რეაგირების თანამშრომლობაზე დაფუძნებულ, მოქნილ მიდგომას წარმოადგენს და მხარდაჭერის რამდენიმე იარუსისაგან/დონისგან შედგება.

ინტერვენციაზე რეაგირების მოდელი აერთიანებს ბავშვის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას (მაგ.: ბავშვის ძლიერი მხარეები და საჭიროებები) და მტკიცებულებაზე დაფუძნებულ სასწავლო მიდგომებს, რომლებიც მასწავლებელმა და სხვა დამხმარე სპეციალისტებმა შეიძლება გამოიყენონ მოსწავლის საჭიროებებზე რეაგირების მიზნით (Brown-Chidsey & Steege, 2005; Fuchs & Fuchs, 2006; Division for Learning Disabilities, 2007; Bradley, Danielson & Doolittle, 2007).

ინტერვენციაზე რეაგირების მიდგომა ცდილობს დააკავშიროს ერთმანეთთან ზოგად და სპეციალურ განათლებაში არსებული საუკეთესო გამოცდილება, რათა ყველა მოსწავლისთვის შექმნას შესაბამისი საგანმანათლებლო პირობები, შესაბამისად, აღნიშნული მოდელი ეხმიანება ინკლუზიური განათლების ძირითად პრინციპებს.

ინტერვენციაზე რეაგირების მიდგომები განსხვავებული შეიძლება იყოს, თუმცა, ყველა მათგანს რამდენიმე საერთო კომპონენტი აქვს:

- მხარდაჭერისა და მომსახურებების სხვადასხვა დონის იერარქია;
- ყოვლისმომცველი შეფასება და პროგრესის მონიტორინგი ბავშვის ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების შესახებ ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად;
- ინტერვენციის სტანდარტული პროტოკოლები, რომლებიც გამომდინარეობენ მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკიდან, როდესაც ბავშვს სჭირდება მეტი დახმარება/მხარდაჭერა;
- პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული მიდგომები, რომლებიც სათანადო მხარდაჭერისა და მომსახურებების დასაგეგმად მოიცავენ მშობლების ჩართულობასაც.

ფიგურა 1. ინტერვენციის სამ იარუსიანი/შრიანი მოდელი



I იარუსი - უნივერსალური მხარდაჭერა ჩვეულებრივ უზრუნველყოფილია კლასში ყველა მოსწავლისთვის და თავის მხრივ, სწავლის უნივერსალური დიზაინის პრინციპს ეფუძნება. ყველა მოსწავლის სწავლის თავისებურება შეფასებული და გათვალისწინებულია. საჭიროებების და შესაძლებლობების განსაზღვრის მიზნით, შესაძლოა, გამოყენებულ იქნას უნივერსალური სკრინინგი და პროგრესის მონიტორინგი. პროგრესის მონიტორინგის შედეგად შესაძლოა გამოვლინდეს, რომ ბავშვს სჭირდება უფრო მეტი მხარდაჭერა ან/და განსხვავებული მომსახურება, ვიდრე ის ჩვეულებრივ იღებს. ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა დასჭირდეს მეორე იარუსის მხარდაჭერა.

II იარუსი - სამიზნე მხარდაჭერა უზრუნველყოფილია ერთობლივად ზოგადი და სპეციალური განათლების რესურსების ამოქმედებით. საჭიროებისამებრ, ერთვება დამატებითი პროფესიული რესურსიც (მაგ.: სპეციალური მასწავლებელი). ამ დონის მხარდაჭერა უფრო ფოკუსირებული და მიზნობრივია და ეხმიანება კონკრეტული ბავშვის ძლიერ მხარეებსა და საჭიროებებს. ამ დონეზე გაწეული მხარდაჭერა შესაძლოა მოიცავდეს უფრო ინტენსიურ და ექსპლიციტურ სწავლებას, ან უფრო გაძლიერებულ და მეტი გამოწვევის მქონე სასწავლო პროგრამას, რომელიც შედარებით მცირე ჯგუფებში

ხორციელდება და პროგრესის მონიტორინგიც უფრო ხშირია. თუმცა, ზოგიერთ ბავშვს, შესაძლოა დასჭირდეს კიდევ უფრო ინტენსიური და განსხვავებული, მესამე იარუსის/დონის მხარდაჭერა.

III იარუსი - ინტენსიური მხარდაჭერა და სერვისი უზრუნველყოფილია ბავშვის სპეციფიკური ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების საპასუხოდ. აღნიშნული მხარდაჭერა შესაძლოა მოიცავდეს ბავშვებისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ან განსაკუთრებული ნიჭის მქონე სტატუსის განსაზღვრას. ამ დონის მხარდაჭერა მისადაგებულია კონკრეტული ბავშვის საჭიროებებსა და ძლიერ მხარეებზე და როგორც წესი, გულისხმობს მის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ ინდივიდუალიზებულ პროგრამას/ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

მოდელის ფიგურაში (სამკუთხედში), ცალკეულ ნაწილს/დონეს შორის კონტურები არ არის მკვეთრი, რადგან იგულისხმება, რომ ბავშვის საჭიროებების ცვლასთან თუ პროგრესთან ერთად, იცვლება მისთვის გაწეული საგანმანათლებლო მომსახურებაც. ამასთანავე, ცალკეულ ბავშვს შესაძლოა ჰქონდეს საჭიროება სამივე იარუსის დონეზე ერთდროულად და სამივე დონის შესაბამის მხარდაჭერას იღებდეს. ამრიგად, აღნიშნული მოდელი საკმაოდ მოქნილი და მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზეა მორგებული.

ინტერვენციაზე რეაგირების მიდგომის ორი მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელიც არ არის ასახული ფიგურაში, მოიცავს სწავლების სტანდარტული პროტოკოლების გამოყენებას და პრობლემაზე დაფუძნებულ მიდგომას ერთობლივი დაგეგმვისადმი. სწავლების სტანდარტული პროტოკოლები შექმნილია მასწავლებლების დასახმარებლად, რათა ის მოსწავლეები, რომელთაც აქვთ მასალის სწავლის სირთულეები ან პირიქით, სჭირდებათ უფრო გართულებული, გაძლიერებული სასწავლო შესაძლებლობები, უზრუნველყონ სათანადო მხარდაჭერით. მაგალითად, მოსწავლისთვის, რომელსაც კითხვის სირთულეები აქვს, სწავლის სტანდარტული პროტოკოლი შეიძლება მოიცავდეს მცირე ჯგუფში მუშაობას ფონემებზე, ხოლო იმ მოსწავლისთვის, რომელიც კითხვის უნარებით თანატოლებზე მნიშვნელოვნად წინ არის - სემინარულ მიდგომას რაიმე რთული წიგნის შესახებ დისკუსიების გასაძღოლად და მოსწავლის მიერ წიგნზე სარეფლექსიო ჟურნალის წარმოებას.

როგორც ის მოსწავლეები საჭიროებენ ეროვნული სასწავლო გეგმის მორგებას, რომლებიც ჩამორჩებიან კლასის შესაბამის სასწავლო გეგმას, ასევე სჭირდებათ ეროვნული სასწავლო გეგმის გაფართოება და მორგება იმ ბავშვებს, რომლებიც თავიანთი ცოდნითა და უნარებით ერთი თუ მეტი კლასით წინ უსწრებენ თანაკლასელებს.

ამრიგად, ინტერვენციაზე რეაგირების მოდელის თანახმად, ნიჭიერი მოსწავლეების ხელშეწყობა შესაძლოა შემდეგ მხარდაჭერასა და მომსახურებას მოიცავდეს:

პირველი იარუსი - მოსწავლისთვის, მისსავე კლასში უზრუნველყოფილია სპეციალური ცვლილებები. მაგალითად, გამოყენებულია პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, რომელიც ყველა მოსწავლეს სთავაზობს პრობლემაზე მუშაობას, თუმცა, ზოგიერთი მოსწავლე შესაძლოა განსხვავებული სირთულის დავალებას ან პროექტს ასრულებდეს. ასევე, მხარდაჭერა მოიაზრებს მასწავლებელს, რომელიც გამოცდილია ნიჭიერი მოსწავლეების სწავლებაში.

მეორე იარუსი - განსაკუთრებული უნარების მქონე მოსწავლეები დაჯგუფებული არიან სპეციალური აქტივობის ფარგლებში ან/და ნიჭიერი მოსწავლეებისთვის შეთავაზებულია დამატებითი მოწინავე კურსები, რაც ეროვნულ სასწავლო გეგმაში, ნიჭიერ ბავშვებზე მორგებულ გარკვეული ცვლილების შეტანას გულისხმობს. მაგალითად, მათემატიკაში, ხელოვნებაში, საბუნებისმეტყველო საგნებში, კრეატიულ წერაში (ლიტერატურაში) მოკლე, მაგრამ ინტენსიური სპეციალური საზაფხულო პროგრამა ნიჭიერი ბავშვებისთვის მეორე იარუსის/დონის ცვლილებას ასახავს. დაბალი მიღწევების მქონე ნიჭიერი ბავშვებისთვის ორგანიზებული სპეციალური საკონსულტაციო მხარდაჭერა/დამატებითი მუშაობაც ამავე დონის ცვლილებაში მოიაზრება.

მესამე იარუსი - ნიჭიერი მოსწავლეებისთვის შეთავაზებულია სხვადასხვა ტიპის აქსელერაცია. მაგალითად, ასეთია სპეციალური კლასები, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმისგან განსხვავებულ პროგრამას სთავაზობს ექსტრაორდინალური ნიჭის მქონე ბავშვებს.



სამი ძირითადი მიზანი, რომელიც ნიჭიერი მოსწავლეებისთვის ზოგადი განათლების საფეხურზე არსებულ მხარდაჭერასა და დამატებით მომსახურებას აქვს, შემდეგია:

- ⇨ ნიჭიერი მოსწავლეების ინდივიდუალური უნარების შესაბამისი, სხვადასხვა საგნობრივი სფეროს მნიშვნელოვანი ცნებათა სისტემის დაუფლების ხელშეწყობა;
- ⇨ იმ უნარების და სტრატეგიების განვითარება, რომლებიც დაეხმარება ნიჭიერ მოსწავლეებს სწავლისას იყვნენ უფრო დამოუკიდებლები და კრეატიულები;
- ⇨ სწავლის მიმართ ინტერესის და სიამოვნების განვითარება, რომელიც ნიჭიერ მოსწავლეებს დაეხმარება სასწავლო რუტინის მიყოლაში, რაც განათლების პროცესის განუყოფელი ნაწილია.

1. საგანმანათლებლო გარემოს/განთავსების ადაპტაცია (სად ვასწავლოთ ნიჭიერ ბავშვებს?)

ნიჭიერი ბავშვებისთვის საგანმანათლებლო გარემოს შეცვლის და განსხვავებული განთავსების სხვადასხვა გზა არსებობს, თუმცა, ყველა მათგანი ნიჭიერი ბავშვების ერთ ჯგუფში გაერთიანებას გულისხმობს გარკვეული დროით. ამ ტიპის დაჯგუფებების მიზანია:

- ✓ ნიჭიერი ბავშვებისთვის ერთმანეთთან ურთიერთობისა და ერთად სწავლისთვის სათანადო პირობების შექმნა, რაც ერთმანეთის ინტელექტუალური სტიმულაციის შესაძლებლობას იძლევა;

- ✓ მასწავლებლის მიერ ნიჭიერი ბავშვებისთვის მათი შესაძლებლობის და საჭიროებების შესაბამისი სწავლების უზრუნველყოფა, რაც, ჩვეულებრივ კლასში გარკვეულ გამოწვევას წარმოადგენს;

- ✓ ნიჭიერი ბავშვების უზრუნველყოფა მასწავლებლით/ინსტრუქტორით, რომელსაც აქვს მოსწავლეთა ამ ჯგუფთან მუშაობის მეტი გამოცდილება ან გააჩნია კონკრეტულ სფეროში განსაკუთრებული ექსპერტიზა (მაგ.: მათემატიკაში, ხატვაში და ა.შ.)

ნიჭიერ მოსწავლეთა განთავსებასთან დაკავშირებული აღნიშნული ტიპის ადაპტაცია, როგორც წესი, მთელი სკოლის სისტემაზე ახდენს გავლენას და ნაკლებად ეხება კლასის შიგნით სწავლების სტრატეგიებსა და ადაპტაციებს. გარდა ამისა, ამ ტიპის ადაპტაცია, შესაძლოა უბნის ან რაიონის დონეზე განიხილებოდეს. ნიჭიერი ბავშვების განთავსებასთან დაკავშირებული სტრატეგიები მრავალფეროვანი შეიძლება იყოს, თუმცა, როგორც წესი, ეს სტრატეგიები ორი ძირითადი ტიპისაა: დაჯგუფება და აქსელერაცია.

ზოგიერთ სკოლას (ძირითადად კერძოს), საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის და ინოვაციური მიდგომების გამოყენების მეტი მოქნილობა აქვს, რაც ნიჭიერ ბავშვებზე საგანმანათლებლო პროცესის მორგებისა და სხვადასხვა ტიპის მხარდაჭერის (მაგ.: გაძლიერებული წრეები კონკრეტულ მიმართულებებში) შეთავაზების მეტ შესაძლებლობას ქმნის.

ნიჭიერი ბავშვების დაჯგუფება

დაჯგუფების სტრატეგია გულისხმობს ნიჭიერი ბავშვების ერთ სივრცეში, ერთ ჯგუფად გაერთიანებას და მსგავსი მოწინავე უნარების მქონე ბავშვებს ერთად სწავლის შესაძლებლობას უქმნის, რაც ერთგვარად მასტიმულირებელიც არის ცალკეული ბავშვისთვის. დაჯგუფების სტრატეგია რამდენიმე განსხვავებულ ფორმას მოიცავს და დამოკიდებულია როგორც ცალკეული სკოლის, ასევე, რეგიონის და მთლიანად ქვეყნის კონტექსტსა და განათლების სისტემაში არსებულ რესურსებზე.

დაჯგუფების ერთ-ერთი ფორმაა სკოლის შიგნით სპეციალური კლასის ან კლასტერული დაჯგუფების მოწყობა, რომელშიც, როგორც წესი, 6-10 განსაკუთრებული უნარების მქონე/ნიჭიერი მოსწავლეა გაერთიანებული *(მეორე დონის იარუსის მხარდაჭერა).*

სკოლის შიგნით ასევე შესაძლოა არსებობდეს დიფერენცირებული კლასები, რომლებიც საშუალო საფეხურის მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას ტიპური კლასისგან განსხვავებულ კლასში გააგრძელონ სწავლა სპეციფიკური ინტერესისა და ნიჭის გათვალისწინებით; მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ფიზიკა-მათემატიკის, საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარული ან სახელოვნებო კლასები, რომლებშიც უფრო გაძლიერებულად და ფოკუსირებულად ხდება ცალკეული მიმართულების სწავლება.

ამასთანავე, შესაძლოა რომ სკოლის ფარგლებში ფუნქციონირებდეს კონკრეტული მიმართულების ე.წ. „საშაბათო სკოლა“ ან „საზაფხულო სკოლა“, რომელსაც სხვადასხვა სკოლის ნიჭიერი მოსწავლეები დაესწრებიან.

სპეციალური პროფილის, კონკრეტული მიმართულებით გაძლიერებული სწავლის მქონე სკოლები (მაგ.: მათემატიკაში, ხელოვნებაში), კიდევ ერთ შესაძლებლობას წარმოადგენს

ნიჭიერი მოსწავლეებისთვის. ამ ტიპის სკოლები შესაძლოა განათლების მხოლოდ რომელიმე საფეხურის, მაგალითად, საბაზო ან საშუალო, შესაბამის საგანმანათლებლო მომსახურებას ახორციელებდეს.

მოსწავლეების აქსელერაცია (მოქნილი გადასვლა)

აქსელერაციის სტრატეგია გულისხმობს სასწავლო პროგრამის ადაპტირებას კლასიდან-კლასში ტიპური გადასვლისთვის გვერდის ავლის და ასევე, სასწავლო გეგმის ხანგრძლივობის ვარირების გზით. ამ ტიპის პრაქტიკა შედარებით მეტად არის დამკვიდრებული აშშ-ში, თუმცა, ნაკლებად გავრცელებულია საქართველოს კონტექსტში. მეორე მხრივ, ექსტერნის გამოცდით კლასიდან კლასში გადასვლა, რის პრაქტიკაც საქართველოშიც არსებობს, ნიჭიერი მოსწავლეების აქსელერაციის ერთ-ერთ შესაძლებლობად შეიძლება განვიხილოთ.

აქსელერაცია შესაძლებლობას აძლევს ნიჭიერ მოსწავლეებს ისწავლონ მათი უნარების შესაბამის კლასში/დონეზე, ეხმიანება მათ მოწინავე უნარებსა და ინტერესებს და ანარჩუნებინებს მათ სწავლისადმი მოტივაციას.

გალაჰერმა და გალაჰერმა (1994) აღწერეს ნიჭიერი მოსწავლეების აქსელერაციის რამდენიმე გზა:

- **სკოლაში ადრეული მიღება/ჩარიცხვა** - ინტელექტუალურად და სოციალურად მომწიფებული ნიჭიერი ბავშვის სკოლაში ტიპური სასკოლო ასაკის მიღწევამდე მიღების შესაძლებლობა;
- **კლასებზე გადახტომა** - ბავშვის მიერ სკოლაში ერთი სემესტრის ან მთლიანად კლასის გამოტოვება; აღნიშნული სტრატეგიის ერთ-ერთ ნაკლს წარმოადგენს მოსწავლის ახალ კლასთან/კლასებთან შეგუების დროებითი პრობლემების გაჩენის ალბათობა;
- **კლასების „ტელესკოპირება“** - აღნიშნული სტრატეგიის გამოყენების შემთხვევაში, მოსწავლე ფარავს სტანდარტულ პროგრამას, თუმცა, ნაკლებ დროში. მაგალითად, საბაზო საფეხურის სამწლიან პროგრამას გადის ორ წელიწადში.
- **მოწინავე განთავსება** - მოსწავლე სკოლაში სწავლის პარალელურად, იღებს განათლების შემდგომი, უფრო მოწინავე საფეხურის კურსებს. მაგალითად, სკოლაში საშუალო საფეხურზე სწავლის პარალელურად, აქვს შესაძლებლობა გაიაროს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის რომელიმე კურსი/კურსები;
- **დუალური ჩართვა** - მოსწავლე სწავლობს სკოლაში და იმავდროულად, ფორმალურად ირიცხება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

- **უმაღლეს განათლებაში ადრეული მიღება** - ექსტრაორდინალური უნარების/ნიჭის მქონე მოსწავლეს ეძლევა საშუალო განათლების შემდგომი საფეხურის განათლების მიღების შესაძლებლობა ჯერ კიდევ ფორმალურ სასკოლო ასაკში (მაგ.: 14-15 წლისას).

უდავოდ, ამ ტიპის აქსელერაციები დამატებით გამოწვევებს ქმნის როგორც თავად მოსწავლისა და მისი ოჯახისთვის, ასევე, მთლიანად საგანმანათლებლო სისტემისთვის, რადგან მოითხოვს როგორც მნიშვნელოვან მოქნილობას, ასევე, შესაბამის საკანონმდებლო ბაზას.

რაც შეეხება მოსწავლის დონეზე არსებულ გამოწვევებს, ბევრი ნიჭიერი მოსწავლე მისი კლასის შესაბამის პროგრამას შესაძლოა ძალისხმევის გაწევის გარეშე ძლევდა ან საერთოდაც, სწავლის/მეცადინეობის და საშინაო დავალებების შესრულების ჩვევა არც კი ჰქონდა გამომუშავებული. როდესაც ასეთი მოსწავლე მოწინავე, უფრო მაღალი საფეხურის პროგრამაში ხვდება (იქნება ეს კლასი თუ სხვა საფეხურის პროგრამა), ის ახალი რეალობის წინაშე დგება და სხვებთან შედარებით, უფრო დაბალი მიღწევებიც კი შეიძლება გამოავლინოს. კოლემანი (2005) აღწერს მოსწავლის რეაქციას, რომელიც გაძლიერებული, სპეციალიზებული პროფილის სკოლაში მოხვდა და გაკვირვებული იყო იმით, რომ თავის სკოლაში საშინაო დავალებებს მუდმივად კლასშივე ამზადებდა, სახლში არასდროს მეცადინეობდა და მაინც ყველაზე მაღალ შეფასებებს იღებდა, ხოლო ახალ სკოლაში, ის ძალიან ბევრ ძალისხმევას დებდა საშინაო დავალებების მომზადებასა და სწავლაში და მაინც თანაკლასელებზე ნაკლები მიღწევები ჰქონდა და მათზე დაბალ შეფასებას იღებდა (გვ. 35).

სფეროს ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, ნებისმიერი ტიპის დაჯგუფება თუ აქსელერაცია, გარკვეულ კითხვებს და წინააღმდეგობებს ბადებს. შროტი (2008) აღნიშნავს, რომ ამ ტიპის ცვლილებები ზრდის საგანმანათლებლო მომსახურების ხარჯს, რადგან მოითხოვს, როგორც სპეციალურად მომზადებულ პერსონალს, ასევე, მტკიცებულებაზე-დაფუძნებულ პრაქტიკას და სასწავლო შინაარს (პროგრამას) რომლებიც უკავშირდება მოსწავლეთა სპეციალურ განთავსებას.

სფეროში არსებული კვლევების თანახმად, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის დაჩქარებულ გავლას თუ უმაღლესში ადრეულ ჩარიცხვას ეხება ბავშვებს, რომლებმაც გაიარეს აქსელერაცია, არ ჰქონიათ ახალ გარემოსთან შეგუების სირთულეები (კოლანჯელო, ასულინი და გროსი, 2004). ამ ტიპის მიგნებების მიუხედავად, მშობლებს და მასწავლებლებს, როგორც წესი, აქვთ ნეგატიური დამოკიდებულება აქსელერაციის მიმართ. ამასთანავე, განათლების ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც ხშირად ცდილობენ თავი აარიდონ მსგავსი ტიპის ცვლილებებს, მაშინაც კი, როდესაც ამის

ლეგალური საფუძვლები არსებობს ქვეყანაში. ძირითადი შიშები და წუხილები, რომლებიც ნიჭიერი ბავშვების აქსელერაციას უკავშირდება, არის ის, რომ ბავშვები მოწყდებიან თანატოლების იმ სოციალურ წრეს, რომელიც ასაკობრივად და ემოციურად მათთვის უფრო შესაბამისია. მეორე მხრივ, სფეროში დაგროვილი გამოცდილებით, ბავშვები, რომლებსაც არაორდინალური ნიჭი გააჩნიათ, ხშირად, სოციალურად ნაკლებ პროდუქტიულები არიან თანატოლების წრეში და საგანმანათლებლო სისტემაში ყოფნისას დროის დიდ ნაწილს უთმობენ თავისი ინტერესების შესაბამისი ცოდნის დაუფლებას.

მას შემდეგ, რაც ბევრი ლონგიტუდური კვლევა ჩატარდა, კიდევ უფრო მეტის გაგება გახდა შესაძლებელი, თუ როგორ გრძნობენ თავს ის მოსწავლეები/სტუდენტები, რომელთაც აქსელერებულად გაიარეს სასწავლო პროგრამა. ლუბინსკის, უების, მორლოკის და ბენბოუს 10 წლიანი კვლევის თანახმად, რომელიც შეისწავლიდა განსაკუთრებული ნიჭის მქონე 320 პირს, მოსწავლეთა 95%-მა მიიღო დიდი სარგებელი სხვადასხვა ტიპის აქსელერაციის პროცესისგან (კლასის გამოტოვება, კოლეჯში/უმაღლესში ადრეული ჩარიცხვა თუ ცალკეული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კურსის გავლა და ა.შ.). მათ საკმაოდ დიდ აკადემიურ წარმატებას მიაღწიეს და იმავდროულად, შეინარჩუნეს სფეროს მიმართ ინტერესი, რომელშიც განსაკუთრებულ ნიჭს ავლენდნენ. ამასთანავე, ამ ტიპის აქსელერაციას უმნიშვნელო ან არანაირი ნეგატიური გავლენა ჰქონდა მათ სოციალურ ცხოვრებასა და თანატოლებთან ურთიერთობაზე. მსგავსი მიგნებები აქვთ გროსსა და ვან ვლეტის (2003). მათი კვლევის თანახმად, მოსწავლეები, რომლებმაც გაიარეს რომელიმე ტიპის აქსელერაცია, არც გადაწვის ნიშნებს ავლენდნენ და არც ინტერესს კარგავდნენ მათი ნიჭის სფეროს მიმართ. ამასთანავე, მათ არ ჰქონდათ განსვლა აკადემიურ და სოციალურ ცოდნაში. პირიქით, რადიკალური აქსელერაცია დამატებით უდიდეს სარგებელს აძლევდა ნიჭიერ მოსწავლეებს როგორც ინტელექტუალური, ასევე სოციალური და ემოციური ჯანმრთელობის თვალსაზრისით.

ამ ტიპის კვლევები ხაზს უსვამს, რომ მშობლებსა და მასწავლებლებში/საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლებში გავრცელებული შიში, რომ აქსელერაცია სოციალურად დამაზიანებელია ნიჭიერი ბავშვებისთვის, არ არის ფაქტებზე დაფუძნებული.

მიზეზები, რომლებიც განაპირობებს სკოლებში განსაკუთრებული ნიჭის მქონე მოსწავლეების „უკან ჩამოტოვებას“ იმ ქვეყნებშიც კი, სადაც აქსელერაციის პრაქტიკისთვის ლეგალური საფუძვლები არსებობს (მაგ.: აშშ) შემდეგია:

- სკოლები არ იცნობენ აქსელერაციასთან დაკავშირებული კვლევის შედეგებს
- რწმენა, რომ ბავშვები აუცილებლად თავიანთ თანატოლებთან ერთად უნდა იყვნენ
- რწმენა, რომ აქსელერაცია ბავშვებს დროზე ადრე ატოვებინებს ბავშვობას
- წუხილი, რომ აქსელერაცია ბაშვებს სოციალურად და ემოციურად დააზიანებს
- განათლების პოლიტიკით განპირობებული დამოკიდებულება ყველას „თანასწორობის“ შესახებ
- წუხილი, რომ სხვა დანარჩენი მოსწავლეები იქნებიან დათრგუნული და განაწყენებულები

2. სასწავლო გეგმის ადაპტირება *(რა ვასწავლოთ ნიჭიერ ბავშვებს)*

ეფექტური სასწავლო პროგრამები

სასწავლო პრაქტიკა, რომელიც მოიცავს პრობლემის აღმოჩენასა და გადაჭრას, სხვადასხვა ტიპის პროექტს, კომპიუტერების გამოყენებას და რომელიც ეფექტიანია ყველა მოსწავლესთან, განსაკუთრებით რელევანტურია ნიჭიერი მოსწავლეების სწავლების ფარგლებში (Robinson, Shore, & Enersen, 2007).

ამჟამად, საკმაოდ მნიშვნელოვანი ინფორმაციაა ხელმისაწვდომი იმის შესახებ, თუ რა გამოწვევების წინაშე არიან ნიჭიერ ბავშვები ჩვეულებრივ კლასებში და პროგრამებში, რომლებიც სპეციალურად მათი საჭიროებების საპასუხოდ არ არის შექმნილი (მაგ.: სწავლისადმი მოტივაციის და ინტერესის დაკარგვა, მობეზრება და ა.შ.). ლიტერატურიდან ცნობილია, რომ მასწავლებლები იშვიათად ახდენენ სასკოლო სასწავლო გეგმების და სასწავლო აქტივობების დიფერენცირებას ნიჭიერი მოსწავლეების საჭიროებებზე საპასუხოდ. მეორე მხრივ, როდესაც ნიჭიერი ბავშვები დაჯგუფებულები არიან და სწავლობენ სხვადასხვა საგნობრივ სფეროში სპეციალურად მათთვის შექმნილი გეგმის მიხედვით, შედეგები საკმაოდ პოზიტიურია, როგორც ამას თავად ნიჭიერი ბავშვები აცხადებენ (Reis & Renzulli, 2009).

ხშირად ისმის კითხვა, თუ რამდენად შეუძლია მასწავლებელს ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმის დიფერენცირება ნიჭიერი მოსწავლეებისთვის? მასწავლებლებმა თავად უნდა შექმნან სასწავლო გეგმა თუ გამოიყენონ სხვის მიერ შექმნილი? შესაძლოა

მასწავლებელმა ვერ შექმნას საკუთარი გეგმა თუმცა, შეიძლება სათანადოდ განახორციელოს მაღალი ხარისხის გეგმა, რომელსაც მათ შესთავაზებენ. განათლების სფეროს ერთ-ერთი სპეციალისტი, რომელმაც სასწავლო გეგმის დიფერენცირების საკმაოდ სასარგებლო მიდგომები შემოგვთავაზა არის Van Tassel-Baska (2003). მისი ინტეგრირებული პროგრამის მოდელი შექმნილია ურთიერთდაკავშირებული სამი განზომილებისაგან, რომელიც ეხმიანება ნიჭიერი ბავშვების საჭიროებებს. აღნიშნული მიდგომები:

- ხაზს უსვამს გართულებული შინაარსის გამოყენებას, რომლებსაც სასწავლო დისციპლინები ეფუძნება;
- ხელს უწყობს უმაღლესი დონის სააზროვნო პროცესებსა და ინფორმაციის დამუშავებას;
- ახდენს სასწავლო გამოცდილების ფოკუსირებას იმ ძირითად საკითხებზე, თემებზე და ცნებებზე, რომლებიც განსაზღვრავს როგორც რეალურ სამყაროში გამოყენებას, ასევე თეორიულ მოდელირებას საგნის ფარგლებში და სხვადასხვა სფეროში.

სასწავლო გეგმის შეკუმშვა

ერთ-ერთი სტრატეგია, რათა თავიდან ავირიდოთ ნიჭიერ ბავშვებში სწავლის მობეზრება, მოწყენილობა და იმის „სწავლა“, რაც უკვე იციან, არის სასწავლო გეგმის შეკუმშვა. აღნიშნული ეფუძნება პრინციპს, რომ თუ მოსწავლემ უკვე იცის რაიმე და ფლობს ამ ცოდნის გამოყენების ბაზისურ უნარებს, მას უნდა მიეცეს შესაძლებლობა გადავიდეს ცოდნის სხვა დონეზე და სფეროზე (Reis, 2008). სასწავლო გეგმის შეკუმშვის კრიტიკული პრინციპია, ნიჭიერ მოსწავლეს მიეცეს საკუთარი ცოდნის დემონსტრირების შესაძლებლობა მაშინ, როდესაც ის ამისთვის უკვე მზადაა და არ მოუწიოს შეფასებისთვის განსაზღვრული სტანდარტული დროისთვის და იმისთვის მოცდა, თუ როდის იქნებიან შეფასებისთვის მზად სხვა დანარჩენი მოსწავლეებიც (Renzulli & Reis, 1997).

სასწავლო გეგმაში შესაკვეცად ყველაზე შესაბამისი ის სფეროებია, რომლებიც ბაზისური ცოდნისა და უნარების დაუფლებაზეა ორიენტირებული. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ანბანი, ბაზისური გამოყენებითი უნარები (დამარცვლა, გრამატიკა, არითმეტიკა), ფაქტობრივი ცოდნა კონკრეტულ საგანში, წაკითხულის გააზრების ბაზისური უნარი და სხვ. მას შემდეგ, რაც მოსწავლე გამოავლენს ბაზისური ცოდნისა და უნარების დაუფლებას, ის შეიძლება განთავისუფლებული იყოს შემდგომი პირდაპირი სწავლებისგან (მაგ.: საკლასო სამუშაო) და დამოუკიდებელი პრაქტიკისგან (საშინაო დავალება) დაუფლებულ ცოდნასა და უნარებში. სასწავლო გეგმის შეკუმშვაში მთავარი ისაა, რომ მოსწავლე „მოიპოვებს დროს“ სხვა, მისთვის უფრო შესაბამისი სასწავლო

გამოცდილებისთვის. თუმცა, აქვე ჩნდება ახალი გამოწვევა, თუ როგორ უნდა გამოიყენოს მოსწავლემ ეს მოპოვებული დრო.

დროის ფაქტორი

დრო წარმოადგენს განათლებაში არსებულ ერთ-ერთ საყურადღებო გამოწვევას. კითხვა, რომელიც ხშირად იჩენს თავს ნიჭიერი მოსწავლეების განათლებაში მდგომარეობს შემდეგში: *შეუძლია თუ არა ტიპურ მოსწავლეს იგივე სირთულის ინფორმაციის სწავლა, რაც ნიჭიერ მოსწავლეს?* მაგალითად, გაფართოებული/გამდიდრებული გაკვეთილების ფარგლებში, საბაზო საფეხურის ნიჭიერ მოსწავლეებს შეიძლება ვასწავლოთ მზის სისტემის და მისი წარმოქნის სხვადასხვა თეორიის შესახებ, რადგან მათ უკვე დაძლიეს მოთხოვნილი სასწავლო გეგმა იმაზე ნაკლებ დროში, ვიდრე, ამ პროგრამისთვის იყო განსაზღვრული. რასაკვირველია, სხვა მოსწავლეებსაც შეუძლიათ მზის სისტემის შესახებ თეორიის სწავლა თუ მათ საკმარისი დრო მიეცემათ. მეორე მხრივ, მათ არ აქვთ დროზე ადრე დაძლეული ის აუცილებელი თემები, რომლებიც ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმით მათი კლასისთვის არის განსაზღვრული. ამასთანავე, მათ ჯერ კიდევ აქვთ დისტანციის ცნების, ორბიტის, ცენტრიდანული ძალის გაგების გარკვეული სირთულეები, რაც მეტ დროს მოითხოვს მათ მიერ მზის სისტემის და მისი წარმოქნის სხვადასხვა თეორიის გასაგებად.

დრო ფიქსირებულ მუდმივას წარმოადგენს. სკოლის დრო, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებმა უნდა შეიძინონ საჭირო ცოდნა და უნარები, შეუზღუდავი არ არის. იმ მოსწავლეებს, რომლებიც უფრო სწრაფად სწავლობენ, ვიდრე მათი თანატოლები, აქვთ შესაძლებლობა დაეუფლონ მეტ ცოდნას და გაავარჯიშონ მეტი აუცილებელი უნარები, ვიდრე მათ თანატოლებს იმავე დროის პერიოდში.

შინაარსის გართულება

შინაარსის გართულება გამოწვევას სთავაზობს ნიჭიერ მოსწავლეს გამოიყენოს მაღალი დონის აზროვნება იმ იდეების გასააზრებლად, რომლებიც იმავე ასაკის სხვა მოსწავლეებისთვის (ტიპური განვითარების), როგორც წესი, რთულად გასაგებია. შინაარსის გართულების მიზანია, ნიჭიერი ბავშვების წახალისება, რომ გაიაზრონ მნიშვნელოვანი აბსტრაქტული იდეები, სამეცნიერო კანონები ან ძირითადი პრინციპები, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია სხვადასხვა გარემოებაში.

მოწინავე განთავსება და საერთაშორისო ბაკალავრიატი

ორი მიდგომა, რომელიც გამოიყენება ნიჭიერი ბავშებისთვის სასწავლო პროგრამის სისტემატური ადაპტაციისთვის აშშ-ში არის მოწინავე განთავსების (Advanced Placement, AP) კურსი და საერთაშორისო ბაკალავრიატის (International Baccalaureate, IB) კურსი.

მოწინავე განთავსების პროგრამა მოიცავს 30-ზე მეტ კურსს და გამოცდას, რომლებსაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საბჭო სთავაზობს განათლების საშუალო საფეხურის მოსწავლეებს. ამრიგად, მოსწავლეებს, რომლებიც ასრულებენ სკოლას, პარალელურად ეძლევათ საუნივერსიტეტო კურსების გავლის შესაძლებლობა და თუ მოსწავლე კურსის ფარგლებში გამოცდაზე მიიღებს მაღალ შეფასებას, მას შეეძლება იმ უნივერსიტეტის კრედიტის მოპოვება, რომელშიც აპირებს ჩაბარებას.

საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამა შეიქმნა, რათა სკოლის მოსწავლეებისთვის შეეთავაზებინა აქტიურ სწავლაზე, მოქალაქეობაზე, ინტერნაციონალიზმსა და სხვა კულტურებისადმი პატივისცემაზე ფოკუსირებული საუნივერსიტეტო კურსი. საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამა ზოგიერთ სფეროში საკმაოდ ადრე, დაწყებითი განათლების საფეხურზეც კი იღებს სათავეს. თეორიული ცოდნის კურსი შეთავაზებულია საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამის ყველა კანდიდატისთვის, რომლებმაც უნდა დაწერონ გაფართოებული ესე დამოუკიდებელ სასწავლო თემაზე და მოამზადონ ანგარიში კურსის ფარგლებში შესრულებულ აქტივობაზე.

3. სასწავლო სტრატეგიების ადაპტირება (როგორ ვასწავლოთ)

ნიჭიერი ბავშვების განათლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს იმ უნარების გამოყენების ხელშეწყობა, რომლებიც მათ უკვე შეიძინეს ანუ ახალი ინფორმაციის გენერირება უკვე არსებულის გამოყენებით.

ზოგადად, ახალი ინფორმაციის გენერირება უკვე არსებულზე დაფუძნებით, უკიდურესად ღირებულია და შესაძლოა იყოს მარტივი სავარჯიშოს სახითაც. მაგალითად, მოცემულობიდან მარი უფრო მაღალია, ვიდრე ჯული და ჯული უფრო მაღალია, ვიდრე ნინა, დასკვნის გამოტანა, რომ მარი უფრო მაღალია, ვიდრე ნინა, არსებული ცოდნიდან ახალი ინფორმაციის გენერირებაა. თუმცა, არსებული ცოდნიდან ახლის გენერირება უფრო კომპლექსურიც შეიძლება იყოს და მივყავდეთ ახალ აღმოჩენამდე, მაგალითად, გლობალურ დათბობაზე, კიბოსთან ასოცირებულ ახალ გენებზე, ან გაუმჯობესებულ სატრანსპორტო სისტემაზე. ნიჭიერ ბავშვებს აქვთ უფრო

კომპლექსურ პრობლემებზე მუშაობის უნარი, ვიდრე ტიპური განვითარების მათ თანატოლებს (Linn & Shore, 2008), შესაბამისად, მნიშვნელოვანია, მათთვის სათანადო დავალებებისა და სავარჯიშოების შეთავაზება.

მხოლოდ ნიჭიერ მოსწავლეთა მცირე ნაწილს, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად ექსტრაორდინალურ უნარს ფლობს, შეუძლია დამოუკიდებლად ისეთი რამის აღმოჩენა, როგორიცაა ორგანიზმში სხვადასხვა ტიპის დანალექი, ნახატში ღრმა პერსპექტივის შექმნა და ა.შ. როგორც წესი, ნიჭიერ მოსწავლეებსაც სჭირდებათ ამ ყველაფრის სწავლება. ამ სწავლების შედეგად შეიძლება გვქონდეს მათ მიმართ მოლოდინი, რომ შეძლებენ დასკვნების და შედეგების წარმოებას, რომლებიც იქნება იმის დემონსტრირება, რომ მათ შეიძინეს ძველი ცოდნიდან ახალი ინფორმაციის გენერირების უნარები.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება

არსებობს სპეციფიკური სტრატეგიები, რომლებიც ეხმარება მოსწავლეებს იმ ტექნიკების მოძიების სწავლაში, რომელთა საშუალებითაც დამოუკიდებლად შეძლებენ ინფორმაციის მოგროვებას პრობლემის გადაჭრის მიზნით. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების არსი მდგომარეობს შემდეგში:

- მოსწავლეს ეძლევა პრობლემა, რომელშიც მისი გადაწყვეტა იმთავითვე მოცემული არ არის. მაგალითად, რაღაც საგანმა განიცადა ტრანსფორმაცია, თუმცა, ამის მიზეზები პირდაპირ მოცემული არ არის ან მაგალითად, ერთ-ერთ დასახლებაში მოსახლეობას გამოუვლინდა მსგავსი სამედიცინო სიმპტომები, თუმცა, ამის მიზეზები ცხადი არ არის.

- მოსწავლეებს ეძლევათ დაინტერესებული მხარის ფუნქცია ამ პრობლემის გადაჭრაში. მაგალითად, ისინი ასრულებენ მკვლევრის როლს და უნდა გამოიყენონ ინფორმაციის მოძიების მრავალმხრივი ტექნიკა (მაგ.: ინტერნეტის გამოყენება, დოკუმენტების დამუშავება), რათა იპოვონ პასუხი.

- მასწავლებელი ამ შემთხვევაში ასრულებს არა ინფორმაციის პირდაპირ მიმწოდებლის, არამედ, მეტაკოგნიტური ქოუჩის როლს. მასწავლებელმა, შესაძლოა, მოსწავლეებს მიუთითოს ინფორმაციის მოძიების შესაძლო წყაროებზე და მათი მოპოვების გზებზე, რაც შეიძლება სხვადასხვა სფეროს სპეციალისტთან ინტერვიუსაც კი გულისხმობდეს (მაგ.: ფიზიკოსთან, ქიმიკოსთან, სამედიცინო პერსონალთან), მაგრამ მასწავლებელი არ აწვდის მოსწავლეებს გამზადებულ პასუხებს.

სხვადასხვა ტიპის სამუშაოს კომბინირებით (მაგ.: ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობა), მოსწავლეები ცდილობენ პასუხების მოპოვებას. წარმოდგენილი ერთ-ერთი პრობლემის ფარგლებში (საგნის ტრანსფორმაცია), მოსწავლეებმა საბოლოოდ გადაწყვიტეს, რომ მიზეზი იყო ტემპერატურის ცვლილება, რამაც გამოიწვია საგნის ტრანსფორმაცია. მეორე პრობლემის ფარგლებში (მოსახლეობაში ავადობის სიმპტომების გამოვლენა), მოსწავლეებმა საბოლოოდ გადაწყვიტეს, რომ მიზეზი იყო დასალევი წყლის დაბინძურება, რამაც მოსახლეობის მოწამვლა გამოიწვია.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მოდელი მოითხოვს, რომ მასწავლებელს გავლილი ჰქონდეს სპეციალური ტრენინგი/მომზადება ქოუჩინგში. პრობლემაზე დაფუძნებული მიდგომა გამოიყენება ეკონომიკის, სოციალური მეცნიერებების, ენის ხელოვნების, მეცნიერების და მედიცინასთან დაკავშირებული საგნების სწავლებისთვისაც.

სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში წარმოებული დაკვირვების თანახმად, პრობლემაზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებას მსგავსი პოზიტიური შედეგები აქვს მოსწავლეებისთვის: მოსწავლეების ინტერესი, ჩართულობა და ენთუზიაზმი იზრდება, ისინი ასრულებენ აქტიურ როლს ახალი ცოდნის მიღებასა და პრობლემის გადაწყვეტაში (Barrows, 1988; Doig & Werner, 2000; Gallagher & Stepien, 1996; Maxwell, Bellisimo & Mergendoller, 2001).

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მაგალითი (Gallagher & Bray, 2002).

მთელი კლასი ასრულებს ერთ-ერთი ზღვისპირა ქალაქის საბჭოს წევრების როლს, როდესაც ვრცელდება ინფორმაცია, რომ ქალაქში საშინელი დაავადების გავრცელების რისკია. მოსწავლეების ამოცანაა იპოვონ მოსახლეობის დაცვისა და დაავადების პრევენციის გზები და იმოქმედონ როგორც ადგილობრივი საბჭოს წევრებმა. მოსწავლეები მუშაობენ მცირე ჯგუფებში, იკვლევენ ინფორმაციას ინტერნეტის საშუალებით, აქვთ განხილვები ერთმანეთში და ზოგჯერ დებატებიც იმის თაობაზე, თუ რა უნდა მოიმოქმედონ. საბოლოოდ საბჭო შეიმუშავებს დაავადების გავრცელების პრევენციის გეგმას, იმ თავისებურების გათვალისწინებით, რაც იმ კონკრეტულ დასახლებას აქვს (მათ შორის გეოგრაფიული მახასიათებლები, მოსახლეობის რაოდენობა, დასახლების სიმჭიდროვე და სხვ.). ამ ტიპის დავალებაზე მუშაობა შეიძლება მოსწავლეთა ჯგუფებში განხორციელდეს, ანუ რამდენიმე ალტერნატიული საბჭო იქნას შექმნილი მოსწავლეებისგან. თითოეულმა საბჭომ შესაძლოა საკუთარი ალტერნატიული გეგმა წარმოადგინოს რომელთა განხილვაც, ასევე სასწავლო პროცესის და პრევენციის საბოლოო გეგმის შემუშავების მიზანს ემსახურებოდეს.

4. დამხმარე ტექნოლოგიების როლი ნიჭიერი მოსწავლეების განათლებაში

ტექნოლოგიების განვითარებამ და გამოყენებამ საგანმანათლებლო პროცესში/საგანმანათლებლო მიზნებისთვის, ხელმისაწვდომი გახადა ცოდნის დიდი მოცულობა იმ მოსწავლეებისთვის, რომელთაც კომპიუტერზე და ინტერნეტზე ადვილად მიუწვდებათ ხელი.

ტექნოლოგიები განსაკუთრებულ სიკეთეს წარმოადგენენ ნიჭიერი ბავშვებისთვის, რადგან მათ შეუძლიათ ენციკლოპედიური ცოდნის მიღება და საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილება შედარებით მარტივად და დამოუკიდებლად. ერთ-ერთი უპირატესობა, რომელიც ინტერნეტს ინფორმაციის შენახვის მოცულობით და საძიებო ძრავებით გააჩნია, აძლევს მოსწავლეს შესაძლებლობას დამოუკიდებლად მოიძიოს ინფორმაცია და ჩაატაროს საკუთარი კვლევა, შეისწავლოს მისთვის საინტერესო საკითხი, რადგან ზოგჯერ, ნიჭიერი მოსწავლეების ცოდნა რაიმე კონკრეტულ სფეროში აღემატება მასწავლებლისას.

მასწავლებლის ძირითადი ამოცანაა, მოსწავლისთვის იმის სწავლება, თუ როგორ გამოიყენოს კომპიუტერი და ინტერნეტში არსებული მრავალფეროვანი წყაროები და ინფორმაცია საუკეთესო სახით. მასწავლებელმა უნდა იცოდეს არსებული მრავალფეროვანი პლატფორმები, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია სასწავლო პროცესში და რომლებიც იძლევა სხვადასხვა ტიპის კრეატიული პროექტების შექმნის შესაძლებლობას.

ტექნოლოგიების საშუალებით მასწავლებლის როლი იცვლება პირდაპირი სწავლებიდან სასწავლო ქოუჩინგზე. მასწავლებლები ასევე უნდა დაეხმარონ მოსწავლეებს შეაფასონ ინფორმაცია, რომელიც დამოუკიდებლად მოიპოვეს ინტერნეტით. ინტერნეტში შესაძლოა იყოს მოპოვებული მრავალფეროვანი ინფორმაცია, მათ შორის გადაუმოწმებელი და მცდარი. მოსწავლეების სწავლების ახალ გამოწვევას, სწორედ ლეგიტიმური ინფორმაციის ყალბი ინფორმაციისგან დიფერენცირების მოხდენა წარმოადგენს.

დისტანციური სწავლება

ტექნოლოგიების გამოყენებასთან არის დაკავშირებული დისტანციური სწავლებაც, რომელიც ნიჭიერი მოსწავლეებისთვის ერთ-ერთ ხილულ საშუალებას წარმოადგენს და დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია. დისტანციური სწავლების მაგალითი შეიძლება იყოს ინტერაქტიული ტელე-გადაცემა, რომელიც კომპლექსურ მოსაზრებებსა და თემებს სთავაზობს მაყურებელს.

5. კულტურულ განსხვავებულობაზე ადაპტირება

მოსწავლეები, რომლებიც განსხვავებული კულტურიდან არიან და რომელთაც განსაკუთრებული ნიჭი აღმოაჩნდათ, სპეციალურ ხელშეწყობას საჭიროებენ სასწავლო პროცესში. აღნიშნული მხარდაჭერა აუცილებლად უნდა მოიცავდეს ამ მოსწავლეების კულტურული წარმომავლობის გაგებას და გათვალისწინებას სასწავლო პროცესის და მხარდაჭერის დაგეგმვისას.

როგორც უკვე აღინიშნა, ეთნიკური უმცირესობის/განსხვავებული კულტურული წარმომავლობის ნიჭიერ მოსწავლეებს, შესაძლოა დაბალი მიღწევები ჰქონდეთ სხვადასხვა სასკოლო საგანში. ისინი ასევე შესაძლოა ვერ იღებდნენ თავიანთი ნიჭის განვითარებისთვის სათანადო მხარდაჭერას ოჯახებში, რადგან სკოლის და ოჯახის კულტურა/ენა ერთმანეთისგან განსხვავებული იყოს.

მოსწავლეთა აღნიშნული ჯგუფის მხარდაჭერა შესაძლოა მოიცავდეს:

- მიზნობრივ/ფოკუსირებულ დამატებით (მაგ. „საშაბათო“ „საზაფხულო“ სკოლა) გამაძლიერებელ პროგრამებს კონკრეტულ სფეროში (მაგ.: მათემატიკა, ხელოვნება);
- ერთი-ერთზე სწავლებას/გაძღოლას გამოცდილი უფროსების მერ, მათ შორის უმაღლესის სტუდენტების მიერ გაწეულ მენტორობას;
- ოჯახის კონსულტირებას ბავშვის ნიჭის ხელშეწყობის მიმართულებით და სხვა.

ნიჭიერ მოსწავლეთა იმ ჯგუფთან, რომლებსაც დაბალი აკადემიური მიღწევები და სხვადასხვა საგანში სწავლის სირთულეები აქვთ (მაგ.: მეორე ენაში წერა-კითხვის), ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ის, თუ როგორ დავანახოთ მათ საკუთარი ნიჭი, როგორ დავეხმაროთ განსაკუთრებული უნარების გააზრებასა და განვითარებაში.

განსხვავებული კულტურული წარმომავლობის ნიჭიერი მოსწავლეების საგანმანათლებლო მხარდაჭერის მიზანია:

- ✓ ბავშვებმა დაინახონ და გააცნობიერონ საკუთარი ნიჭი და უნარები;
- ✓ დაისახონ მაღალი მოლოდინები საკუთარი თავის მიმართ;
- ✓ გაეზარდოთ სწავლისადმი პასუხისმგებლობა;
- ✓ გაეზარდოთ საკუთარ თავში რწმენა და მზაობა შედარებით კომპლექსური დავალებების შესასრულებლად;
- ✓ აიმაღლონ საგნობრივი შინაარსის ცოდნა და უნარები;
- ✓ სათანადოდ მოემზადონ სკოლის შემდეგი საფეხურისთვის;

6. სასწავლო გარემოს ემოციური კლიმატი და ემოციური კეთილდღეობა

ატმოსფერო, რომელიც საკლასო ოთახში და მთლიანად, საგანმანათლებლო გარემოში იქმნება, თანაბრად ხელშემწყობი უნდა იყოს როგორც ნიჭიერი ბავშვისთვის, ასევე, სხვა დანარჩენი მოსწავლეებისთვისაც. მაგალითად, მასწავლებელმა ისე უნდა მისცეს ნიჭიერ მოსწავლეს/მოსწავლეებს განსხვავებული დავალება, ისე უნდა წაახალისოს აზრის გამოხატვის შესაძლებლობა, რომ იმავდროულად, სხვა მოსწავლეებისთვის არ იყოს დამთრგუნველი.

ნიჭიერი მოსწავლეების ეფექტური მასწავლებლები ქმნიან უსაფრთხო სასწავლო გარემოს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის ემოციურ კეთილდღეობას, პოზიტიურ სოციალურ ინტერაქციას, ლიდერული უნარების განვითარებას მომავალი სოციალური ცვლილებებისთვის და კულტურულ გაცნობიერებას, რომელიც მნიშვნელოვანია მრავალფეროვან საზოგადოებაში წარმატების მისაღწევად.

აშშ-ის ეროვნული ასოციაციის ნიჭიერი ბავშვებისთვის

ემოციური კეთილდღეობა

ემოციები რეგულირება და თვით-გარკვევა ზრდისა და განვითარების რთული ასპექტებია. ნიჭიერი ბავშვებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია სწორო გზების პოვნაში სათანადო მხარდაჭერის გაწევა და სათანადო რჩევის მიცემა. მაგალითად, კლასების გავლის ან ზოგადად, სწავლის დაჩქარებული ტემპი, ისევე, როგორც გართულებული სასწავლო გეგმა, შეიძლება ადვილად დამღლელი და დამთრგუნველი აღმოჩნდეს ყველაზე ჭკვიანი და ნიჭიერი ბავშვებისთვისაც კი. ბავშვმა შეიძლება თავი იგრძნოს

საკმაოდ დიდი ტვირთის ქვეშ ან შფოთვას განიცდიდეს აკადემიური თუ სოციალური წნეხის შედეგად, რომელიც მის მიმართ იქნება.

დაძლევის პოზიტიური მექანიზმების შეთავაზებით და იმის ჩვენებით, თუ რას და ვის უნდა მიმართონ საჭიროების შემთხვევაში, ნიჭიერი ბავშვები სწავლობენ უარყოფით ემოციებთან და სტრესთან გამკლავებას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული წარმოადგენს სათანადო სასწავლო გარემოს საფუძველს, შესაბამისი ემოციური მხარდაჭერის მიღება ბავშვს პირველ რიგში სახლში უნდა შეეძლოს. მშობლებს უნდა შეეძლოთ საკუთარ შვილთან საუბარი და მისთვის იმის დემონსტრირება, რომ ყოველთვის შეუძლია მშობელთან მისვლა და საკუთარი წუხილის გაზიარება.

პოზიტიური სოციალური ინტერაქცია

ნიჭიერი მოსწავლეები ხშირად სტიგმატიზებულნი არიან როგორც „მარტოხელა“ ან „მორცხვი“ ბავშვები. ისეთი მეგობრების პოვნა, რომლებიც იზიარებენ მათ ინტერესს, ცოდნას (განსაკუთრებით, სპეციფიკურ სფეროში) და სიყვარულს ინტელექტუალური კვლევის მიმართ, ხშირად გამოწვევას წარმოადგენს. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგიერთი ნიჭიერი ბავშვისთვის საკმაოდ „მტკივნეულია“ ზედმეტი სოციალური ინტერაქცია. სკოლის სასწავლო გარემომ უნდა წაახალისოს ჯანსაღი სოციალური კომუნიკაცია, მაგრამ ასევე, პატივი სცეს თითოეული ბავშვის უნიკალურ საჭიროებას პირადი სივრცის მიმართ.

რაც შეეხება მშობლებს, მათთვის პრიორიტეტი უნდა იყოს ბავშვისთვის დახმარების გაწევა სოციალური ურთიერთობების ფორმირებაში. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს მეგობრები აკლია ან სოციალურად იზოლირებულია, ოჯახმა უნდა მოიძიოს ისეთი სოციალური აქტივობები, რომლებიც დაეხმარება ბავშვს კომფორტის ზონის მიღმა უსაფრთხო, სასიამოვნო გზებით ურთიერთობაში. მაგალითად, სკოლის გარე აქტივობები, როგორიცაა რობოტიკის კლუბები, ხელოვნების, სპორტის ან ლიტერატურის წრეები, სხვადასხვა სახალისო დებატების გუნდები ან შეჯიბრებები, რომლებიც ეხმიანება ნიჭიერი ბავშვის სპეციფიკურ ინტერესებსა და ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, მისცემს მას საშუალებას სოციალური ურთიერთობები დაამყაროს მსგავსი ინტერესების მქონე ბავშვებთან მისთვის სასიამოვნო გარემოში.

ლიდერობა სოციალური ცვლილებისთვის

ნიჭიერ ბავშვებს აქვთ უზარმაზარი პოტენციალი გახდნენ მომავალი ლიდერები სხვადასხვა სფეროში. პოლიტიკოსები, ექიმები, მეცნიერები და მკვლევარები ხშირად

იღებენ თავიანთ ფესვებს სკოლაში საგანმანათლებლო პროცესში მათთვის შექმნილი შესაძლებლობებიდან. მნიშვნელოვანია, როგორც სკოლაში, ასევე ოჯახში, ნიჭიერ ბავშვს გაეწიოს დახმარება საკუთარი მომავალი პოტენციალის გაცნობიერებასა და მისი რეალიზებისთვის შესაბამისი ინსტრუმენტების გამონახვაში.

ნიჭიერ ბავშვთან მნიშვნელოვანია მის სამომავლო გეგმებზე საუბარი, თუმცა, ყოველგვარი ზეწოლის გარეშე. ბავშვს უნდა ჰქონდეს პირობები იკვლიოს და შეისწავლოს ყველა შესაძლო ვარიანტი და აქტიური მონაწილეობა მიიღოს საკუთარი მომავლის დაგეგმვაში.

მიუხედავად იმისა, რომ ნიჭიერი ბავშვებისთვის ყოველმხრივ ხელშემწყობი სასწავლო გარემოს შექმნა რთულია, შედეგები, რომლებიც ამგვარ გარემოს მოაქვს, ღირს ძალისხმევად. ნიჭიერი ბავშვები ბუნებრივად არიან საკმაოდ თვითმოტივირებულები, თუნდაც მცირე ასაკში. სწავლისა და განვითარების პროცესში სწორი ინსტრუმენტების და გარემოს შეთავაზებით, ნიჭიერ ბაშვებს შესაძლებლობა ეძლევათ უმაღლეს დონეზე განივითარონ საკუთარი ნიჭი და იმავდროულად, შეინარჩუნონ ემოციური კეთილდღეობა.

პრაქტიკული რეკომენდაციები და ინტერვენციები ნიჭიერი მოსწავლეების მასწავლებლებისთვის

არსებული საერთაშორისო სტატისტიკის თანახმად, ნიჭიერი/არაორდინალური ნიჭის მქონე მოსწავლეები შეადგენენ სკოლის ასაკის ბავშვების პოპულაციის 5-დან 15%-მდე. მოსწავლეთა ამ ჯგუფს, შეუძლია თავიანთი შესაძლებლობების გაზრდა და მაღალი მიღწევების ქონა აკადემიურ საგნებში, ხელოვნებასა თუ ლიდერობაში. თუმცა ამისთვის, მათ სათანადო საგანმანათლებლო მხარდაჭერა ესაჭიროებათ, როგორიცაა:

- **სასწავლო გეგმის შეკუმშვა და აქტივობებით გამდიდრება.** ნიჭიერი მოსწავლეების კოგნიტურ, ფიზიკურ, ემოციურ და სოციალურ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გეგმის და პროცესის შეთავაზება. ნიჭიერი მოსწავლეებისთვის საშუალების მიცემა სწრაფად გადალახონ სასწავლო გეგმის შინაარსი და გადავიდნენ უფრო მოწინავე მასალაზე. აკადემიური წინსვლის შესაძლებლობის მიცემა.
- **მრავალდონიანი და მრავალგანზომილებიანი სასწავლო გეგმის განხორციელება.** სასწავლო გეგმის დიფერენცირება ტემპის, სირთულის და სხვა მახასიათებლების მიხედვით, მოსწავლეებს შორის არსებული განსხვავებულობის

გათვალისწინებით. ეს საშუალებას მისცემს კლასის ყველა მოსწავლეს ისწავლოს კონკრეტული სფერო პროექტების შექმნის გზით, რომელთა სირთულეც შეესაბამება მისი შესაძლებლობების დონეს. მაგალითად, ერთი და იმავე თემის ფარგლებში სხვადასხვა უნარების მქონე მოსწავლეებისთვის განსხვავებული კომპლექსური დავალების შეთავაზება. გაკვეთილის დასასრულს, ყველა მოსწავლეს შეეძლება წარმოადგინოს ის, რაც ისწავლა.

- **სასწავლო გეგმის მოქნილობა.** სასწავლო პროცესში რეალური გამოცდილებისა და ცხოვრებისეული მოვლენების გამოყენება, რაც თავის მხრივ, შეიძლება ყველა მოსწავლისთვის ითარგმნოს პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებულ დავალებად ცალკეულ აკადემიურ საგანში. მაგალითად, ქალაქში მოსალოდნელი თოვლის ქარბუქი, შეიძლება გამოყენებულ იქნას მოსწავლეების სწავლების მიზნით. სხვადასხვა უნარების მქონე მოსწავლეებს შეიძლება მიეცეთ სხვადასხვა ტიპის ამოცანები. მაგალითად, თოვლის შემადგენლობის გარკვევა, თოვლის (ნალექის) რაოდენობის პროგნოზირება, ან იმის დადგენა, თუ რამდენი ურიკა იქნება საჭირო, თუ 120 სმ თოვლი მოვა და სხვა.
- **ნიჭიერი მოსწავლეებისთვის საშუალების მიცემა განახორციელონ დამოუკიდებელი პროექტები საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე.** დამოუკიდებელი პროექტების მიცემა უნარების განვითარების დონის მიხედვით. კრეატიულობისა და ორიგინალური აზროვნების წახალისება ნიჭიერ მოსწავლეებში. შეუსაბამო საკითხების შემოქმედებითი გზებით დაკავშირების და გამოკვლევის შესაძლებლობის მიცემა.
- **ნიჭიერი ბავშვების ხელშეწყობა გაუჩნდეთ პასუხისმგებლობა საკუთარ სწავლაზე.** ნიჭიერი ბავშვისთვის იმის სწავლება, თუ როგორ იმუშაოს იმ პრობლემებზე, რომელთა შესრულების უნარი მას ჯერ კიდევ არ აქვს. ცოდნის მიღების გააზრებაში დახმარება და საკუთარი თავისთვის სწავლის წახალისება, ვიდრე მხოლოდ საბოლოო შედეგებსა ან მიღწევებზე ორიენტირება. ნიჭიერი ბავშვებისთვის ინფორმაციის მოპოვებისა და კვლევის უნარების სწავლება; ინფორმაციის დასამუშავებლად უმაღლესი სააზროვნო უნარების გამოყენების ხელშეწყობა; შემოქმედებითი აზროვნების, პრობლემის გადაჭრის და კომუნიკაციის უნარების გამოყენების წახალისება.
- **მოსწავლეების პოტენციალის მაქსიმალურად** გამოყენების წახალისება და **გაზრდა მათ მიმართ მაღალი მოლოდინებით.** მოსწავლეების წახალისება, რაც შეიძლება სწრაფად წავიდნენ წინ. პროექტების განვითარებაში დახმარება, რომლებიც მისცემს მათ საშუალებას მიაღწიონ წარმატებას ნაბიჯ-ნაბიჯ.
- **ინტერაქტიულად სწავლება.** მოსწავლეებისთვის საშუალების მიცემა ერთად იმუშაონ, ასწავლონ ერთმანეთს და აქტიური მონაწილეობა მიიღონ საკუთარი და თანაკლასელების განათლებაში. შენიშვნა: ეს მიდგომა არ უჭერს მხარს და არ გულისხმობს, რომ ნიჭიერი ბავშვები გახდნენ თანატოლების „დამრიგებლები“

კლასში. ნიჭიერ მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ სათანადო გამოწვევები და აქცენტი უნდა გაკეთდეს კლასში ერთად მუშაობაზე. შესაძლოა, მოხდეს ნიჭიერი მოსწავლეების ერთად, ერთი მაგიდის გარშემო დაჯგუფება საკლასო ოთახში და შედარებით რთული მასალების გამოყენება, ასევე, სხვა რესურსების და მოდიფიკაციების შეთავაზება მათი განსაკუთრებული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

- **თანამედროვე თემებზე მრავალი თვალსაზრისის შესწავლა და მასალის შეფასების და გაანალიზების შესაძლებლობის მიცემა.** საკამათო/ურთიერთსაწინააღმდეგო საკითხებზე ღია ფორუმების და დებატების წარმართვა საკლასო ოთახში. ნიჭიერი ბავშვების მასწავლებლის მიერ აქტიური პოზიციის გამოჩენა. პირადი ინტერესების გაზიარება ყველა მოსწავლისთვის, მათი სამყაროს გამდიდრებისა და გაფართოებისთვის.
- **გუნდური სწავლება, თანამშრომლობა და კონსულტაცია სხვა მასწავლებლებთან.** სკოლაში სხვა პედაგოგების და პროფესიონალების ცოდნის, უნარების და მხარდაჭერის გამოყენება ნიჭიერი ბავშვის სწავლების პროცესში.
- **ნიჭიერი ბავშვებისთვის სხვა ნიჭიერ ბავშვებთან ურთიერთობის შესაძლებლობის მიცემა კლასებში და სკოლების კონკურსების ან ერთობლივი პროექტების მეშვეობით.**
- **ნიჭიერი მოსწავლეების წახალისება მონაწილეობა მიიღონ კლასგარეშე აქტივობებში, რომლებიც მოიცავს აკადემიურ უნარებს.** ამ ტიპის კლასგარეშე აქტივობები მოიცავს მათემატიკის და დებატების გუნდებს, სახელოვნებო წრეებს და სხვ. რადგან ნიჭიერი ბავშვები ხშირად ბუნებრივი ლიდერები არიან, მნიშვნელოვანია მათი ხელშეწყობა ლიდერული უნარები გამოიყენონ თავიანთი ნიჭისა და შესაძლებლობებისთვის მომგებიანად, ვიდრე დესტრუქციული სახით. მაგალითად, ნიჭიერი მოსწავლე შეიძლება წავახალისოთ კენჭი იყაროს მოსწავლეთა საბჭოში, ან სხვა კლასგარეშე აქტივობას გაუწიოს ლიდერობა.
- **ნიჭიერი მოსწავლეების წახალისება ჩაერთონ მოსწავლეთა აკადემიურ კონკურსებში.** ნიჭიერი მოსწავლეები თავიანთი ბუნებით ხშირად კონკურენტულები არიან. ამიტომ, რეგიონულ და ეროვნულ კონკურსებში მონაწილეობა, როგორიცაა სამეცნიერო ბაზრობები, ესეების და მათემატიკის კონკურსები/ოლიმპიადები სახალისო გამოწვევა იქნება მათთვის.
- **ნიჭიერი ბავშებისთვის საკუთარი ნამუშევრების გამოქვეყნების შესაძლებლობის მიცემა.** მაგალითად, ეს შეიძლება იყოს კლასის ან სკოლის გაზეთი, სხვადასხვა ტიპის სასკოლო ან სკოლებს შორის გამოფენა. ამ ტიპის ღონისძიებები დაეხმარება ნიჭიერ ბავშვებს თავიანთი პოტენციალის გააზრებასა და რეალიზებაში.
- **ინდივიდუალური მიზნების დასახვა.** მოსწავლისთვის დახმარების გაწევა საკუთარი მიზნების დასახვაში, რომლებიც იქნება სპეციფიკური, გაზომვადი, რეალისტური და გონივრულ ვადებში განსაზღვრული. მნიშვნელოვანია, რომ

ბავშვის მიერ დასახული მიზანი/მიზნები და მოლოდინები იყოს მისი უნარებისა და შესაძლებლობებისთვის ოპტიმალური, არც ძალიან მაღალი და არც ძალიან დაბალი.

- **მშობლების აზრისა და ხედვის გათვალიწინება მათი ნიჭიერი შვილების განათლების შესახებ.**
- **გათვალისწინება, რომ ნიჭიერი ბავშვები ბევრ რამეში ჰგვანან კლასის თანატოლებს.** სასწავლო პროცესში ნიჭიერი მოსწავლეების მიმართ არსებული მოლოდინები არ უნდა იყოს არარეალისტური და ბავშვზე ზეწოლის მქონე.
- **ცალკეული ნიჭიერი მოსწავლის საკონსულტაციო საჭიროებების გათვალისწინება ემოციური ზრდისა და განვითარების მხარდასაჭერად.** ზოგიერთ ნიჭიერ მოსწავლეს სჭირდება სპეციფიკური, პროფესიული მხარდაჭერა ისეთ გამოწვევებზე საპასუხოდ, როგორიცაა: ბრაზი, მოწყენილობა, შფოთვა, ჩაგვრა, იზოლაცია, დეპრესია, თანატოლებთან ურთიერთობის სირთულე, პერფექციონიზმი, სკოლის მიტოვება, სტრესი, იმედგაცრუება და წარუმატებლობა.
- **ნიჭიერი ბავშვები შეიძლება ყველა სფეროში არ გამოირჩეოდნენ.** ნიჭიერი მოსწავლეები შეიძლება წინ იყვნენ სხვა მოსწავლეებზე ზოგიერთ სფეროში და იმავდროულად, ჩამორჩებოდნენ სხვაში. მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების ზედმიწევნითი ცოდნა, მნიშვნელოვანია მისთვის სათანადო მხარდაჭერის გასაწევად.
- **ერთი და იმავე შინაარსის დამატებითი სამუშაოების მიცემისგან თავის შეკავება, როდესაც ნიჭიერი მოსწავლე დროზე ადრე ასრულებს დავალებას.** ერთი და იმავე შინაარსის დამატებითი დავალების სანაცვლოდ, უმჯობესია მოსწავლისთვის მისი ინტერესების შესაბამისი დამოუკიდებელი პროექტების ან სხვა დაუმთავრებელი სამუშაოს შეთავაზება, როდესაც ის ადრე ასრულებს საკლასო დავალებას.
- **თუ ბავშვი დადის რესურსოთახში, დამხმარე სპეციალისტთან თანამშრომლობა ყოველდღიური საკლასო დავალებების გასამდიდრებად.**
- **ნიჭიერი ბავშვებისთვის მრავალფეროვანი შესაძლებლობების შექმნა ტიპური განვითარების თანატოლებთან ერთად სოციალურ აქტივობებში ჩართვისთვის.** ზოგიერთ ნიჭიერ ბავშვს შეიძლება დასჭირდეს დახმარება სოციალური უნარების განვითარებაში.
- **თითოეულ მოსწავლეში გამორჩეულობის და ინტერესის წყაროს პოვნა.** ბავშვები შესაძლოა ტიპურად არ ავლენდნენ საკუთარ ნიჭს, მაგალითად, კონკრეტულ აკადემიურ საგანში. გასათვალისწინებელია, რომ ყველა ბავშვს მოთხოვნილებებისა და შესაძლებლობების გამოვლენის განსხვავებული გზები აქვს.
- **რესურსების ისე ორგანიზება, რომ გათავისუფლდეს დრო ცალკეულ ბავშვებთან მუშაობისთვის და ასევე, მოსწავლეებს მიეცეთ უფრო მეტი კონტროლი საკუთარ სასწავლო სიტუაციაზე.** დამატებითი წიგნების და სასწავლო ინსტრუმენტების,

საზოგადოებრივი რესურსების და მოწვეული მენტორების გამოყენება, შეიძლება სასარგებლო იყოს საკლასო პროცესების ეფექტიანად წარმართვისთვის.

- **კლასში თბილი და კეთილგანწყობილი ატმოსფეროს ჩამოყალიბება.** მოსწავლეებისთვის მრავალფეროვნებისა და განსხვავებულობის პატივისცემის სწავლება. ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა, რომელიც ბავშვს მისცემს შესაძლებლობას გამოავლინოს სწავლის პოტენციალი და არსებული უნარები. არა შეჯიბრზე, არამედ მოსწავლის ინდივიდუალურობაზე მორგებული საკლასო გარემოს წახალისება, რაც საშუალებას მისცემს ყველა მოსწავლეს განვითარდეს სწავლის საკუთარი ტემპით.

გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულ სტრატეგიათა უმეტესობის განხორციელება სარგებელს მოუტანს კლასში ყველა ბავშვს და არა მხოლოდ ნიჭიერ მოსწავლეებს.

წყარო: Practical Recommendations and Interventions: Gifted Students. Contributors: Stephanie Bauer, Polly Benkstein, Amy Pittel & Gabi Koury.

გამოყენებული წყაროები:

- Adams, J., Eyre, D., Howell, J. and Raffan, J. 1993 The Motorway Project; Village of Edenfield; and Townscapes Wisbech: Learning Development Aids Addy, L.
- Allcock, P. 2001 'The importance of handwriting skills in Keystage 3 and GCSE Examinations of more able pupils' Educating Able Children 5 (1) 23–5
- Alloway, T. P. 2009 'Cognitive training: Improvements in attainment' PATOSS Bulletin 22 (1) 57–61
- Asperger, H. 1979 'Problems with infantile autism' Communication 13 45–52
- Attwood, T. 2008 The Complete Guide to Asperger's Syndrome London
- Baddeley, A. 2007 Working Memory: Oxford University Press
- Bauer, S., Benkstein, P., Pittel, A. & Koury, G. (2013). Practical Recommendations and Interventions: Gifted Students. https://www.education.udel.edu/wp-content/uploads/2013/01/GiftedStudents.pdf
- Benner, G. J. 2002 'Language skills of children with EBD: A literature review – Emotional and Behavioural disorders' Journal of Emotional and Behavioural Disorders 10 43–56
- Berninger, V. W. 2004 'The role of mechanics in composing of Elementary
- Carper, J. 2000 Your Miracle Brain New York: Harper Collins
- Cefai, C. 2007 'Resilience for all: a study of classrooms as protective contexts'
- Emotional and Behavioural Difficulties 12 (2) 119–34
- Freeman, J. 1991 Gifted Children Growing Up London: Cassell
- Gardner, H. 1993 Multiple Intelligences. The Theory in Practice New York
- Kirk, S. A. et. al. (2011). Educating Exceptional Children. Thirteenth edition. USA, Hougthon Mifflin Company.
- Maker, J. (1982). What to Expect When You're Raising a Gifted Child: A Handbook for Parents of Gifted Children. Ohio Association for Gifted Children. Routledge.
- Montgomery, D 2015 - Teaching Gifted Children with Special Educational Needs
- Montgomery, D. (2015). Teaching Gifted Children with Special Educational Needs. Routledge.
- Munro, J. 1996 Gifted Students' Learning. Basing the Teaching of Gifted Students on a Model of Learning
- Neihart, M. (2016). The Social and Emotional Development of Gifted Children: What Do We Know?
- Niehart, M. 2011 'The revised profiles of the gifted: A research-based approach'
- Perry, B. D. 2002 'Childhood experience and the expression of genetic potential, 79–100
- Radford, J. 1990 Child Prodigies and Exceptionally Early Achievers
- Ross, P. (Ed.) (1993). National Excellence, D.C.: U.S. Department of Education.
- Speed Up Wisbech: Learning Development Aids. 2004
- ეროვნული სასწავლო გეგმა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 3 მაისის ბრძანება №63/ნ - ვებგვერდი, 11.05.2018წ.
- ქართული ენა და ლიტერატურა დაწყებითი საფეხური (I-IV კლასები), კომპლექსური დავალებების ბანკი ანბანის შემდგომი პერიოდიდან IV კლასის ბოლომდე (მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტი, 2022.
- აშშ-ის ეროვნული ასოციაცია ნიჭიერი ბავშვების https://www.nagc.org/